# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 30 მარტი 2002 №55 (1577) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახეზე გაჭყობთ კმაყოფილებას? ვიწყებთ მეორე გაყოფილებას



[illegible] ფოტო

„დინამო" – „კოლხეთის" მატჩებმა მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი და მეორე ეტაპები გამიჯნა

## ცხადაძე — ძოძუაშვილი





საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
13
მეორე ეტაპი

ხვალიდან საქართველოს ხავსიან საფეხბურთო ჩემპიონატში ოდნავი სიო დაიძვრება, ზე და ქვეექვსეულების მატჩები ინყება და მეტისმეტად მნიშვნელოვანი თამაში შედგება ვაკის პარკის გვერდით, „ლოკომოტივის" სტადიონზე, სადაც ადგილობრივი და ქუთაისის „ტორპედოს" ბიჭები იბურთავებენ.

ერთიც ვნახოთ და, „ტორპედოს" იმ სოლიდური უპირატესობიდან, რომლითაც ჩემპიონატის ცხრილში მდევრებს უსწრებდა, ალარაფერი დარჩენილა. ჯერ პირველი ეტაპის ფინიშზე რკინიგზის სამმოს ყოჩალმა თამაშმა და მეორეში კი ქულათა ორზე გაყოფის უცნაურმა პრინციპმა ის მოიტანა, რომ ქვეყნის ჩემპიონს საქმის კვლავ სუფთა ფურცლიდან დაწყება უწევს: „ტორპედო" „ლოკომოტივს" ცალი ქულითღა უსწრებს და თუ ხვალ კახა ცხადაძის ტაქტიკა რევაზ ძოძუაშვილისას გადასძალავს, ეროვნულ ჩემპიონატს ახალი ლიდერი ეყოლება, რაც ბოლო სამი სეზონის ახალი ამბავი უნდა იყოს.

სიღრმეებიდან მოიწევს ივო შუშაკის „დინამო", რომლის ამოცანა აქამდე მოწინავე ექვსეულში მოხვედრა იყო, რასაც გუნდმა თამაშის თამაშზე მოგებით მიაღწია და „დინამოს" ერთხელ უკვე ემსხვერპლა ხვალინდელი მეტოქე „კოლხეთიც". აიეტის მემკვიდრეებს სალაზარეთო პრობლემათა მიუხედავად იმედი არ დაუკარგავთ, ყოჩალი ვალტერ გუჩუა შეემატათ ამერიკიდან და ბრძოლას აპირებენ. ბრძოლა იქნება „სინათლეზეც", სადაც ოთარ გაბელიას გუნდი-გამოცანა „მერანი" ზღვისპირიდან მოსულ „ბათუმს" დახვდება. მერანელებს ფინანსური ყულფი ოდნავ შემსუბუქებიათ და მონდომებული სირბილით იმუქრებიან.

## შუშაკი — ფილია





## გაბელია — ბალაძე





# თავდასხმა თავდამსხმელზე



სპორტსმენები და ყაჩაღები: ვასილ ლუჭაშვილი მორიგი მსხვერპლია

კახა კალაძე, გიორგი ქინქლაძე, მამუკა წერეთელი... ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუმც თავს მეტად აღარ შეგაწყენთ. ამ ფეხბურთელებმა კრიმინალური სამყაროს მსხვერპლობა საკუთარ თავზე გამოსცადეს...

მათ რიცხვს გუშინ კიდევ ერთი ფეხბურთელი, საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი ვასილ ლუჭაშვილი შეემატა.

— დილის თერთმეტ საათზე ვარჯიშზე მივედი. ჩვეულებრივად ვივარჯიშეთ და მერე სადილი გველოდა. დაახლოებით ოთხის ნახევარზე ვისადილეთ და ორ თანაგუნდელთან ერთად სასტუმროდან გამოვედი (მათი ვინაობის გამხელა ლუჭაშვილმა არ ისურვა). იქვე ორი ბიჭი მოგვიახლოვდა და მანეჟის შესასვლელი სადაა, გვკითხა. ჩვენც მივასწავლეთ და გზა გავაგრძელეთ. თუმც ამ დროს ერთ-ერთი უკნიდან მომეპარა, ტმებში მომქაჩა და წამაქცია. ფეხზე იარაღი დამიმიზნეს და მითხრეს: ყელსაბამი და სამაჯური მოგვეცი, თორემ ფეხბურთს დაგავიწყებთო. რაღას გავაწყობდი? რაც მქონდა, ყველაფერი წამართვეს. ტანსაცმელიც და სპორტული ფეხსაცმელიც კი გამხადეს და თან გაიყოლეს — გვითხრა გუშინ დაზარალებულმა.

**კახა ზალამბერიძე**

# სერგო კუტივაძემ შარბათი არ შესვა

ჩვიდმეტწლამდელები. ამხანაგური მატჩი

## საქართველო 2:1 აზერბაიჯანი

თბილისი. „ეროვნული". 29 მარტი. 15 საათი. 500 (ტევადობა 70 900)

1:0, 2:0 დვალიშვილი (40, 53), 2:1 ნადიროვი (80)

**საქართველო:** გაგაშელი (იაშვილი 41), დანგაძე (ჯიშკარიანი 57), ბერიძე, გიგაური, ქემაშვილი, ბეტანიძე (გეგეჭკორი 66), მუკბანიანი (გაგუა 60), დვალიშვილი, გაბლაია (სულაბერიძე 41), გოროზია (მეტრეველი 41), მახარობლიძე (რეხვიაშვილი 41)
**მწვრთნელი:** სერგო კუტივაძე

**აზერბაიჯანი:** აგაევი, ამირჯანოვი, მაგერამოვი, იუსიფოვი, მეხრალიევი, მამედოვი (ალიევი 26), იუსიფლი, აბდულაევი (ნადიროვი 73), აგაკიშიევი, რაჯაბოვი (ყურბანოვი 80), გაშილოვი
სათადარიგონი: ბაგიევი; გულიევი, გასიმოვი
**მწვრთნელი:** სლავკე კირიმოვი

**გაფრთხილება:** მაგერამოვი (67)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი; კ. თბილელი, ხ. გაგნიძე (სამივე საქართველო)

ჯარიმა: 11-16; კუთხური: 1-3; კარისკენ დარტყმა: 2-7; კარში დარტყმა: 2-7; თამაშგარე: 0-1



აზერბაიჯანელებმა ლადო დვალიშვილი (№8) ვერ გააჩერეს

**კახა ზალამბერიძე**

— დიდი მადლობა მინდა მოვუხადო ქართველებს ასეთი მასპინძლობისთვის. ძალიან კარგი გუნდი გყავთ. ჩვენთვის საქართველო პატარა ბრაზილიაა. ქართველმა ჭაბუკებმა ძლიერად ითამაშეს და დამსახურებულად მოიგეს. მართალია, ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ ეს ფაქტი თქვენს სიძლიერეს ოდნავადაც ვერ ჩრდილავს — ასე დაიმაქრა სტუმართა გუნდის თავკაცი სლავკე კირიმოვი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე. ამის შემდეგ ავღანეთის ომის მონაწილემ და აზერბაიჯანის ეროვნულმა გმირმა კირიმოვმა თავისი გუნდის მომავალი ტურნეებითაც მოგვხიბლა (ლამის ოცამდე საერთაშორისო ტურნირი ჩამოთვალა, სადაც ჩვენი მეზობლები ითამაშებენ), თუმც ქართველთა სიძლიერე კვლავაც პირზე ეკერა. არადა...

ვითარებას უფრო რეალურად ქართველთა დამრიგებელმა სერგო კუტივაძემ შეხედა:

— ჩემი კოლეგა კარგი დიპლომატიური ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. ფაქტობრივად, მეტოქემ ყველა კომპონენტში დაგვჩაგრა. დღევანდელ თამაშში საიმედო ბევრი ვერაფერი დავინახე. თუმც ისიც სათქმელია, რომ ბიჭები მხოლოდ გუშინ შევკრიბე. ერთი ვარჯიშიც კი არ ჩაგვიტარებია, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი არ ღირს. დრო კიდევ გვაქვს და შევეცდებით, უკეთ მოვემზადოთ. სხვაგვარად არაფერი გამოგვივა. მართალია, ტალანტები საქართველოში ახლაც მრავლად მოიძებნება, მაგრამ დღესაც კარგად გამოჩნდა, რომ მათ მაღალ დონეზე თამაში ჯერ არ შეუძლიათ. ისინი მოუმზადებელნი არიან. რაც შეეხება აზერბაიჯანის ნაკრებს, კარგი გუნდია. დაგვჩაგრეს, მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა. იღბალმა ჩვენ გადმოგვხედა.

თუკი აზერბაიჯანელთა თავკაცის ნათქვამს ყურადღებას არ მიაქცევთ და სერგო კუტივაძის ნაამბობს მიიღებთ მხედველობაში, გუშინდელი მატჩის მიმდინარეობასაც გაიგებთ. ჩვენ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ქართველებმა მეტოქის კარში მხოლოდ ორჯერ დაარტყეს, თუმც ორივე მოქნეული შედეგიანი აღმოჩნდა. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე აზერბაიჯანელთა საჯარიმოში შეჭრილი ლადო დვალიშვილი ბევრს ვერაფერს გამორჩებოდა, აგაევი კარიდან უაზროდ რომ არ გამოსულიყო. ქართველმა დროულად შენიშნა მეკარის შეცდომა და თავზე გადაუგდო ბურთი — 1:0.

53-ე წუთზე კი მოედნის ცენტრში დანიშნული საჯარიმო დავით გიგაურმა ჩააწოდა, რომელსაც კვლავ დვალიშვილი გამოეხმაურა და ამჯერად თავით გადაავლო ბურთი აგაევს.

ეს იყო და ეს. მეტი მომენტი საქართველოს ნაკრებს არ შეუქმნია. სტუმრებს კი რამდენჯერმე შეეძლოთ გოლის გატანა, თუმც ეს მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე მოახერხეს. თავი შეცვლაზე შესულმა ნადიროვმა გამოიჩინა.

ქართველი და აზერბაიჯანელი ჭაბუკები დღეს ერთხელაც გაეჯიბრებიან ერთმანეთს. მატჩი „ეროვნულზე" 13 საათზე დაიწყება.

**კახა ზალამბერიძე**

სარბიელელები სამძიმარს
გუცხადებთ ჩვენს კოლეგას,
ფოტორეპორტიორ
ალექსანდრე კოტორაშვილს
**დედის**
გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია
თანაუგრძნობს მიხეილ
კაკაბაძის პრემიის ლაურეატს
ალექსანდრე კოტორაშვილს
**დედის**
გარდაცვალების გამო

ვეტერან მორაგბეთა კავშირი
მწუხარებით იუწყება,
რომ გარდაიცვალა
ვეტერანი მორაგბე
**გელა ჩიქვაიძე**
და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ჩემპიონატი 13 უმაღლესი ლიგა მეორე ეტაპი

1 ტური

# ვიწყებთ მეორე გაყოფილებას

*დაიყო, განახევრდა და ხვალიდან განახლდება საქართველოს მეცამეტე ეროვნული. მეორე ეტაპის წინ ყველას თავისი წილი პრობლემები მოსძალებია. ხვალ თითოეული ბრძოლას, სამართლიანი თამაშის პრინციპის დაცვას გვპირდება და ,ვნახოთ ,ამ საქმიდან რა გამოვა.*

| I-VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 26 |
| ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 25 |
| დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 19 |
| ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 19 |
| კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 18 |
| მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |
| სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| მეტალურგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| გურია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |
| სამგურალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |

თბილისი. ლოკომოტივი. 31 მარტი. 15.00 საათი

## ლოკომოტივი — ტორპედო

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

*რევაზ ძოძუაშვილი, „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი:*

ჩემი აზრით ეს ტურის საუკეთესო მატჩი იქნება. თუმც, ალბათ, ხვალ სამივე თამაში საინტერესო უნდა გამოდგეს. ასე რომ, საკმაოდ დაძაბული მატჩები გველის. ამიტომ ვთხოვ ფეხბურთის ფედერაციას და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს მაქსიმალური ყურადღებით ჩაატარონ ეს შეხვედრები. ვფიქრობ, ყველა გუნდის შანსი თანაბარია. ჩვენ სერიოზულად ვემზადებით. დანაკლისი მხოლოდ მალხაზ ასათიანი იქნება, რომელიც ავადაა.

თბილისი. ეროვნული. 31 მარტი. 18.00 საათი

## დინამო — კოლხეთი

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. სილაგავა (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

*ივო შუშკა, „დინამოს" მთავარი მწვრთნელი:*

— ორი კვირის მანძილზე ერთი და იგივე გუნდის ორჯერ დამარცხება ძნელია, ამიტომ ფეხბურთელებისგან ძალების სრული მობილიზება და მაქსიმალური ყურადღება მოვითხოვე. ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ჩვენ ასპროცენტიანი შედეგისთვის ვიბრძოლებთ და დაძაბული თამაშებისთვისაც მზად ვართ.

„კოლხეთს" „დინამოსთან" ბოლო დაპირისპირებისას შესაძლებლობების მაქსიმუმი არ გამოუვლენია და წინ ურთულესი მატჩი გველის. მათ ძალუძთ სიურპრიზების შემოთავაზება. ხვალ „დინამო" მხოლოდ მოსაგებად ითამაშებს.

*სოსო ფილია, „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი:*

ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩავვარდით. ვალერი ტორჩინავას, ელდარ გვასალიას და დავით ოდიკაძეს ვირუსი შეეყარათ. დავით კვირკველიამ კი მხოლოდ გუშინ განაახლა ვარჯიში. ეს სამეული ჩვენთვის დიდი დანაკლისია, თუმც მათ რიცხვს გიორგი კრასოვსკიც შეემატა. მას ფეხის ცერა თითი ჰქონდა გაბზარული და თითქოს გამოჯანმრთელდა კიდეც, მაგრამ ახლახან ტრავმამ თავი კვლავ შეახსენა. სასიხარულო მხოლოდ ისაა, რომ ამერიკიდან ვალტერ გუჩუა დაგვიბრუნდა.

თბილისი. სინათლე. 31 მარტი. 15.00 საათი

## მერანი — ბათუმი

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

*ოთარ გაბელია, „მერანის" მთავარი მწვრთნელი:*

— ავჭალიდან ვერც ერთი გუნდი უბრძოლველად ვერაფერს წაიღებს. ჩვენ ყველა თამაშში მაქსიმუმს გავიღებთ და შეძლებისდაგვარად დაწინაურებას ვეცდებით.

„მერანმა" მონდომებისა და უტეხი ნებისყოფის ხარჯზე ზეექვსეულში შეაღწია. დღეს ფინანსური ვითარებაც გამოსწორდა და უკეთესის იმედიც გვაქვს.

ხვალ გამოცდილი და კარგი გუნდი გვყავს მეტოქედ, თუმც ჩვენ თითქმის ყველა პრობლემა უკან მოვიტოვეთ (ტრავმები, დისკვალიფიკაციები...) და „ბათუმთან" არაფერს დავთმობთ.

*ასლან ბალაძე, „ბათუმის" მთავარი მწვრთნელი:*

— თამაშისთვის სერიოზულად ვემზადებით. მეტოქედ შეკრული გუნდი გველის და ძნელი თამაშისთვისაც განვეწყვეთ.

„ბათუმი" ეცდება უპირველესად კარგი ფეხბურთი ითამაშოს. როგორ შედეგს მოიტანს ჩვენი მცდელობები, ამას დრო გამოაჩენს.

ერთი კვირაა, მოედანს არ გავკარებივართ, ბიჭები მხოლოდ დარბოდნენ. უამინდობამაც გარკვეული დაღი დაასვა „ბათუმს", თუმც ხვალ ჩვენსას ვეცდებით.

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 31 მარტი. 15.00 საათი

## სიონი — მეტალურგი

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე
**დისკვალიფიცირებულნი:** ვოლკოვი, სიდამონიძე, ნინუა (სამივე სიონი)

თბილისი. შევარდენი. 31 მარტი. 15.00 საათი

## გორდა — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
**დისკვალიფიცირებულნი:** ლაშა სილაგაძე (გორდა), ინწკირველი (ვიტ ჯორჯია)

წყალტუბო. 26 მაისი. 31 მარტი. 15.00 საათი

## სამგურალი — გურია

**მსაჯები:** ა. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კეკელიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე
**დისკვალიფიცირებული:** გ. ბაბუნაშვილი (სამგურალი)

# შუშაკის 3/4

## თბილისის კი არა, პალერმოსი არ მეშინია

## ხორვატი ქართულ კორუფციაზე და ნაყროვანებაზე

*მას შემდეგ, რაც „დინამოში“ ახალი ხელმძღვანელობა მივიდა, კლუბის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა — საკადრო ცვლილებებსა და ჩადებულ მილიონებს უცხოელი მწვრთნელის მოწვევაც მოჰყვა.*

*ხორვატი ივო შუშაკი სულ რაღაც ორი თვეა, რაც ჩვენს ყველაზე სახელიან და ტიტულიან კლუბს წვრთნის, „დინამოც“ შუშაკის თავკაცობით მეექვსედან მესამე ადგილზე ალზევდა.*

*შუშაკს დილმის ბაზაზე, თავის კაბინეტში ვეწვიეთ. ხორვატმა თბილი, გულიანი მასპინძლობა გაგვიწია. მანამდე კი ყავა ოდნავ მოწრუპა, „მალბორო ლაითი“ მადიანად გააბოლა, თუმც ოდენ რამდენიმე ნაფაზს დასჯერდა და ინტერვიუსთვისაც განეწყო.*



**— როცა თქვენ, როგორც „დინამოს“ მწვრთნელმა, პირველი პრესკონფერენცია გამართეთ, თქვით, რომ ჩვენი მიზანი ჯერ ზეექვსეულში მოხვედრააო. ეს ამოცანა უკვე შეასრულეთ და, ალბათ, ახლა საჩემპიონო მადაზე ხართ...**

— ჩემპიონატის მომდევნო ეტაპი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სელექციისთვის. ჩვენი პირველი გუნდის გარდა, „დინამო 2“-ის და „დინამო 3“-ის მოთამაშეებიც უნდა შევაფასო, ანუ მათაც ჩავუტარო ტესტირება. უნდა შევაფასო სხვა ქართულ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებიც. უკვე ვხედავ ისეთ მოთამაშეებს, რომლებსაც შეუძლიათ „დინამოს“ გაძლიერება, მაგრამ მათი „დინამოში“ გადმოყვანა ჩემი გადასაწყვეტი არ არის.

პირველი დასახული მიზანი კი მართლაც წარმატებით შევასრულეთ. მომდევნო მიზანი თასის ფინალში გასვლაა. რაც შეეხება ჩემპიონატს, ვერ ვიტყვი, რომ „დინამო“ პირველი იქნება, მაგრამ ჩვენ ჩემპიონობისთვის მაქსიმალურად ვიბრძოლებთ, ყველა მატჩს მოგებაზე ვითამაშებთ. ჩემი პრინციპია, მომავალზე ვიზრუნო. მე სპორტსმენი ვარ, სპორტსმენი კი ყოველთვის მომავალზე და კარგ შედეგზე ფიქრობს.

**— თქვენ სხვა გუნდების მოთამაშეებზე ჩამოაგდეთ სიტყვა, იქნებ დაგვიკონკრეტოთ.**

— მათი დასახელება ჯერ უადგილოა. ახლა მე ყველაზე მეტად ჩემი ფეხბურთელები მომწონს.

**— თუ ამ სეზონში „დინამო“ ჩემპიონი ვერ გახდება, თქვენს მიერ გაწეულ სამუშაოს წარუმატებლად ჩათვლით?**

— ვფიქრობ, არ არის სწორი, რომ „დინამოს“ აუცილებლად ჩემპიონება მოვთხოვოთ. ჩემპიონობისთვის, ცხადია, ვიბრძოლებთ, მაგრამ მიზანი სამეულში შესვლაა. თუმც თუ ჩვენს წინ მყოფი გუნდები თამაშებს ჩააგდებენ და სისუსტეებს გამოამჟღავნებენ, შევეცდებით, ამით ვისარგებლოთ. მომავალი სეზონისთვის კი ისეთი გუნდის შექმნა გვწადია, რომელსაც ჩემპიონობა არ გაუჭირდება.

**— „დინამომ“ ამ ცოტა ხნის წინ სტუმრად ითამაშა „ტორპედოსთან“. კონკრეტულად ამ მატჩიდან გამომდინარე რას იტყოდით თქვენი გუნდის საჩემპიონო შანსებზე?**

— „ტორპედოს“ თამაში სულ ორჯერ ვნახე — ჩვენს წინააღმდეგ და მანამდე „ვიტ ჯორჯიასთან“. ქუთაისელებს საკმაოდ მყარი, სტაბილური და ორგანიზებული გუნდი ჰყავთ. ის, რომ „დინამოს“ ეს გუნდი 18 ქულით უსწრებდა, შემთხვევით არ მოხდებოდა. ახლა სხვაობა შევამცირეთ და ვნახოთ, რა იქნება.

**— თქვენ პირველ პრესკონფერენციაზე ისიც თქვით, რომ საჩემპიონო რბოლაში კოზირები „ტორპედოს“ აქვსო, თუმცა, ალბათ, ნახავდით, რომ „ტორპედოს“ რამდენიმე ნაკლიც აქვს — ქუთაისელები ფლანგებიდან ვერ უტევენ და მრავალფეროვნად ვერ თამაშობენ...**

— ქუთაისელთა სიძლიერეს ის განაპირობებს, რომ გუნდს უკვე რამდენიმე სეზონია, რაც ერთი მწვრთნელი წვრთნის — „ტორპედო“ შეკრული გუნდია. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ამ მწვრთნელმა ის ტაქტიკა შეიმუშავა, რა დონის ფეხბურთელებიც ჰყავს. ცხადია, „ტორპედოს“ ნაკლოვანებები აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ ამისთვის შესაბამისად უნდა მოვემზადოთ. მიხარია, რომ „დინამო“ დღითი დღე სერიოზული გუნდი ხდება, პროფესიულად ვუყურებთ მომავალს. თუ ერთხელ ფეხი დაგვიცდება, ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ მომავალშიც ასე იქნება. წინსვლას აუცილებლად გავაგრძელებთ. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს ფეხბურთელებს, რომლებმაც იციან, თუ რას მოვითხოვ მათგან და შეუძლიათ ამის გაკეთება. მიზანს, ასე ვთქვათ 1/4 გვაშორებს.

**— ზოგადად, ჩვენს ჩემპიონატზე და მასში მონაწილე გუნდებზე რა აზრი შეგექმნათ?**

— ქართული გუნდები სოლიდურად და გამართულად თამაშობენ, მაგრამ მათი ძალიან უშლით ხელს ცუდი მოედნები.

**— ალბათ, უკვე თქვენც იცით, რომ ჩვენს ჩემპიონატში გარიგებული თამაშები ტარდება და რამდენიმე გუნდი, სულაც წინასწარ არის მოლაპარაკებული, ერთმანეთს ხელი შეუწყონ და სხვები ჩაძირონ...**

— ყველაფერი ეს სიბინძურეა, მაგრამ მე არანაირად არ დავუშვებ, რომ ჩვენ თამაში ვიყიდოთ ან რაიმე სხვა დაუშვებელ ხერხს მივმართოთ. მე მსურს, რომ „დინამომ“ არა მარტო სამშობლოში, არამედ მის გარეთაც ითამაშოს ფეხბურთი და თავი წარმოაჩინოს. ყოველმა ჩვენგანმა, ვინც ქართულ ფეხბურთშია, უნდა იბრძოლოს კორუფციისა და უმსგავსოების წინააღმდეგ.

მასმედიას შეუძლია, ამ საკითხში დიდი როლი ითამაშოს, რათა ყოველი სიბინძურე გამოაშკარავდეს. ჟურნალისტებმა ფეხბურთის ფედერაციაზე ზეწოლა უნდა განახორციელონ, რათა ძალიან დიდი თანხებით დაისაჯონ ის გუნდები თუ პიროვნებები, რომლებიც ამას იმსახურებენ. თუ სურს საქართველოს და ქართულ ფეხბურთს, რომ ევროპულ სარბიელზე გავიდეს და იქ რამე დაამტკიცოს, უპირველესად ეს პრობლემა უნდა მოიხსნას.

**— „დინამოს“ დავუბრუნდეთ. გუნდს მეკარის პრობლემაზე უფრო მწვავედ თავდასხმის საკითხი უდგას. ფაქტია, „დინამო“ ნახევარდაცვის ხარჯზე ცდილობს ამ ნაკლის გამოსწორებას. მიგაჩნიათ, რომ ალეკო გოგიბერიშვილის გამოჯანმრთელებით „დინამოს“ შეტევითი პოტენციალი უფრო გაიზრდება და თავდასხმაში არსებული პრობლემები ძველებურად მწვავედ აღარ დადგება?**

— გუნდში ახლა ორი კარგი მეკარე გვყავს, ერთი ახალგაზრდაა. ძალიან კარგია, რომ ორი კარგი მეკარის „პრობლემა“ შეგვექმნა — საქმე ასარჩევად გვაქვს. გოგობერიშვილმა კი გამოჯანმრთელების შემდეგ გუნდთან ერთად ხუთშაბათს პირველად ივარჯიშა. მისი დაბრუნება გუნდს გააძლიერებს და „დინამო“ უფრო ლამაზადაც ითამაშებს. თავდასხმაში მართლაც მცირე კონკურენციაა. ცხადია, მომავალი სეზონისთვის ფორვარდი უნდა გამოვძებნოთ. როცა ამისი დრო დადგება, ვისურვებდი, რომ ტანმაღალი ფორვარდი მოვიწვიო გუნდში. არ შეიძლება გუნდში მხოლოდ ორი მაღალი დონის ფორვარდი გვყავდეს, უნდა იყოს აუცილებლად ოთხი, რადგან აქედან 2 ან 3 თავდამსხმელი იყოს დამრტყმელი ძალა გუნდისთვის.

**— საქართველო — სამხრეთ აფრიკის მატჩზე და მასში მონაწილე დინამოელებზე რას იტყვით?**

— საინტერესო და კარგი საყურებელი თამაში გამოდგა. დავინახე, რომ თქვენს ნაკრებში ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია. თანაც გუნდს 4-5 წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. მსურს, მადლობა ვუთხრა ნაკრების მწვრთნელს, რომ სანაკრებოდ ენდო საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს და მათაც დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ მაღალ დონეზე თამაში. ჩივაძემ აშკარად დაგვანახა, რომ ყველას აქვს შანსი, ნაკრებში მოხვდეს. ჰოდა, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებმაც უფრო მეტი უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე — ამით მათ კარგი შანსი ეძლევათ ნაკრებში დამკვიდრებისთვის. მე კიდევ ერთი დეტალი შევნიშნე — ის ქართველი ფეხბურთელი, ვისაც უცხოეთში კარგად ვერ აეწყობა საქმეები, დაზღვეული უნდა იყოს, რათა სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში ნაკრებში მაინც ითამაშებს. ასეთი ფეხბურთელების საქართველოში ერთი წლით მაინც ჩამოსვლა ეროვნულ ჩემპიონატის დონეს ასწევდა და გულშემატკივრებშიც მეტი ინტერესი გაჩნდებოდა. ერთი წლის შემდეგ კი მათ ისევ შეეძლებათ, უცხოეთში გააგრძელონ კარიერა.

**— თბილისში როგორ მოეწყვეთ, სამუშაოს გარდა რითი ხართ დაკავებული?**

— აქამდე სასტუმრო „ვილა ბერიკაში“ ვცხოვრობდი, ახლახან კი ერთი კოხტა ბინა ავილე. სამუშაო დღე დილის ცხრის ნახევარზე მეწყება და საღამოს რვა საათზე მიმთავრდება. მხოლოდ ამის მერე მაქვს თავისუფალი დრო, რომელსაც კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად ვატარებ — გია იმნაძე, გია ფირცხალავა, გივი ნოდია, საშა ჩივაძე. მათთან ყოფნის დროსაც მთავარი თემა ფეხბურთი და თბილისის „დინამოა“.

**— თბილისში მანქანით არ დადიხართ, უფრო სწორად, საჭესთან არ ჯდებით. რატომ, ჩვენ ქუჩებში არსებული მოძრაობის გამო?**

— უბრალოდ, მანქანა ახლა მივიღე. მანამდე გია იმნაძეს დავყავდი თავისი ავტოთი. მანქანის ტარების კი არ მეშინია, პალერმოშიც მანქანით დავდიოდი და თბილისში რატომ უნდა მეშინოდეს?!

**— ქართულ ღვინოს უეჭველად დააჭაშნიკებდით და, ალბათ, გულრწფელადაც გვეტყვით, მოგეწონათ თუ არა.**

— პირველ რიგში ქართულ სამზარეულოს შევაქებ. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ მოიტანენ ხოლმე საჭმელს და მაგიდაზე დაახვავებენ — ეს არ მომწონს. ისე კი დღის განმავლობაში არაფერს მივირთმევ, მხოლოდ საღამოს ვვახშმობ და მხოლოდ თეთრ ღვინოს ვსვამ. ჩემი ვაჟიშვილი ღვინის ბიზნესშია და შემიძლია ვთქვა, რომ ღვინისა ცოტაოდენი მეც გამეგება. გულდასაწყვეტია, მარტო თეთრ ღვინოს რომ ვსვამ — ჩემმა ვაჟმა გასინჯა ქართული წითელი ღვინო და მითხრა, რომ მსოფლიო სტანდარტების დონისააო.

**— თქვენს ოჯახზე კიდევ გვითხარით რამე.**

— ჩემი მეუღლე მალე, კათოლიკური აღდგომის შემდეგ ჩამოვა თბილისში — ბინა ხომ უკვე მაქვს. ოჯახის დანარჩენი წევრები კი მაშინ ჩამოვლენ ჩემთან სტუმრად, როცა მოიცლიან. ჩამოვლენ აგრეთვე ჩემი მეგობრებიც. აქ ჩამოსვლით და რეპორტაჟის გასაკეთებლად ძალიან დაინტერესებულნი არიან ხორვატი ჟურნალისტებიც.

მყავს ქალიშვილიც და მისგან ორი შვილიშვილი. ვაჟი კი აპრილში ელოდება ბავშვს. ასე რომ, მალე სამი შვილიშვილი მეყოლება. დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტი მეყოლება — ბავშვები ძალიან მიყვარს და ვისურვებდი, ათი შვილიშვილი მყავდეს.

**დავით თავართქილაძე**

---

გიო ახვლედიანის სვეტი

## უცნაური თამაში

ოთხშაბათის ქარიან შუადღით საქართველოს ნაკრებმა 4:1 მოუგო სამხრეთ აფრიკის ნაკრებს „ლოკომოტივის“ სტადიონზე. ეს ახალი ამბავი არ არის, სამი დღის წინანდელია და ამ უცნაურ ამხანაგურ თამაშზე აქამდეც ბევრი დაიწერა.

საქართველოს ნაკრებსაც აკლდა თავისი ვარსკვლავები და აფრიკელთაც ვერ ჩამოიყვანეს მათ პირობაზე სამი მთავარი კაცი შონ ბარტლეტის თამადობით. თამაში ამხანაგური იყო და საკვირველიც, ჩვენი ნაკრები იშვიათად თამაშობს ნამდვილ ტესტს დამგვანებულ ამხანაგურს, აქ კი საერთოდაც მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდი გვეწვია. მათ მწვრთნელს, ვისაც ერთ დროს პელეს მხარდამხარაც კი უთამაშია ნიუ იორკის „კოსმოსში“, ჰგონებია, რომ საქართველო სლოვენიას ჩამოჰგავს თამაშის მანერით.

აბა, ამისა რა გითხრათ და თუნდაც ამიტომ იყო უცნაური შეხვედრა. სამხრეთ აფრიკა იმიტომ ჩამოსულიყო, რომ სლოვენებს ვგავართ და ეს გამოცდილება მსოფლიო ჩემპიონატზე გამოადგებათ. ძნელი სათქმელია რა გამოცდილება მიიღეს აფრიკელებმა აქ თამაშით, თუმცა ის კი გამოსცადეს, როგორ უნდა ითამაშოს ცხრა კაცმა თერთმეტის წინააღმდეგ. ამხანაგურ შეხვედრაში ორი კაცის ერთი გუნდიდან გაძევება არც კი გამიგონია, თუმცა, როცა ფეხბურთელი გასაძევებელია, რაღას იზამ? განა, ამით არ იყო უცნაური თამაში? აფრიკელთა მწვრთნელი მოგებით იმუქრებოდა. რა ძალებით? აი, კიდევ ერთი უცნაურობა.

და საერთოდ, რა შესძინა ამ თამაშმა გუნდებს? აფრიკელებს რომ შეეშალათ და მაკედონიაში, უკეთეს შემთხვევაში კი ხორვატიაში რომ უნდა გაფრენილიყვნენ დავადგინეთ. აი, ჩვენ რა შეგვმატა ამ შეხვედრამ გარდა გამარჯვებით გამოწვეული სიხარულისა, ძნელი სათქმელია. გიორგი დემეტრაძის ბენეფისი დიახაც რომ საამო საცქერი იყო, მაგრამ იმას იქეთ რა არის? რა არის ახალი? ამისას ვერაფერს მოგახსენებთ.

ეს უცნაური თამაში იყო და მისი მნიშვნელობის გადამეტება ისეთივე უაზრობაა, როგორც ის, რომ ჩვენ ალჟირელებს ვეთამაშოთ, მათი თამაშის მანერა კამერუნელების მსგავსია და მსოფლიო ჩემპიონატზე გამოგვადგება-თქო.

მსოფლიო ჩემპიონატისაგან შორს ვართ. სამხრეთ აფრიკა იაპონია-კორეაში მიემგზავრება. კარგი, ჩვენი ამბისა ჩვენ უკეთ გაგვეგება, მაგრამ ისინი რატომ ჩამოვიდნენ? მართლა იმიტომ ხომ არა, რომ სლოვენიელებს ვგავართ? თუ ასეა, რატომ არ ვართ მსოფლიო ჩემპიონატზე? მაშინ აფრიკელები ლუბლიანაში ჩავიდოდნენ, ამათი თამაში ქართველებისას ჰგავსო.

# GEHE, DEKA!

## უთხრა ჰახმა დეკანოსიძეს და 90 წუთი ათამაშა



გიორგი დეკანოსიძე

**ბუნდესლიგაში** ალზევების მოსურნე „ფიურტი" ბერლინში ერთ-ერთ კონკურენტ „უნიონს" ფრედ კი ეთამაშა, მაგრამ ჰოიგენ ჰახის ბიჭები ქულას დაკარგულად არ თვლიან. ეს რომ ასეა, თავად გიორგი დეკანოსიძემაც დაგვიდასტურა, როცა გუშინ ფიურტში შევეხმიანეთ.

— პირიქით, ქულა შევიძინეთ. რთული თამაში გამოდგა. მომენტები ორივე გუნდს გვქონდა, ერთ ეპიზოდში ჩვენი თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ ვერ ივარგა. ერთი საგოლე შანსი მეც მქონდა, ჯარიმისას მეკარემ ბურთი სასწაულებრივად, ცხრიანიდან მოხსნა. ნამატჩევს ჰოიგენ ჰახმა გარჯა შემიქო, კმაყოფილი ვარო — გვითხრა გიორგიმ.

მისივე თქმით, ახლა დარჩენილი თამაშებიდან (სეზონის დამთავრებამდე 5 ტურია დარჩენილი) სამი შინ ელით და სამივე რომ მოიგონ, პირველ ბუნდესლიგაში გადასასვლელად ეს ცხრა ქულაც ჰყოფნით.

ჩვენთვის კი სასიამოვნო ის გახლდათ, რომ ჰოიგენ ჰახმა გიორგი დეკანოსიძეს „ფიურტის" ძირითადში პირველად ანდო ადგილი და არც უნანია. მწვრთნელმა ჩვენებური ჰავბეკად, შუაში ათამაშა, მას ბურთის დროულად ამოტანა და შეტევების ორგანიზება დაავალა. ქართველმაც ჰახის შეგონება ისმინა და მასწავლებელიც კმაყოფილი დატოვა.

**გიორგი გუგაძიძე**

# ძოძუაშვილმა შვილობილი დაიბრუნა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი გივი კვარაცხელია თბილისური „ლოკომოტივიდან" რიგის „სკონტოში" გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერაფრით მოიკიდა.

ახალგაზრდა კაცისთვის უთამაშებლობა დამღუპველია, მით უფრო, როცა საყრდენის პოზიციაზე „სკონტოში" ჩვენებური, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი ალექსანდრე რეხვიაშვილი უკონკურენციოა.

დიდი ხანი იცადა კვარაცხელიამ და უსაშველო რომ შეიქნა, გაცლა ამჯობინა. მისი გზა კვალის გამოცნობას დიდი გულთმისანობა არ სჭირდება, გივი საქართველოში დაბრუნდა.

მისი მსურველი ჩემპიონობისთვის მებრძოლი ორი კლუბი — „ტორპედო" და „ლოკომოტივი" იყო. არც ისაა ძნელი ამოსაცნობი, ორიდან რომელს აირჩევდა სამშობლოში მობრუნებული ნახევარმცველი.

„მე სიამოვნებით ვითამაშებ ყველა გუნდში, სადაც ძოძუაშვილი იქნება მწვრთნელი" — ჩანაფიქრი გაგვიმხილა კვარაცხელიამ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში. იგი უსიტყვოდ ენდობოდა მწვრთნელს, ძოძუაშვილის ძალისხმევით დააღწია თავი „დინამოში" სათადარიგოობას და „ლოკომოტივის" ერთ-ერთ ლიდერადაც მისი ხელშეწყობით გახდა.

მაშ ასე, კვარაცხელია „ტორპედოსა" და ძოძუაშვილს ენდო. რიონისპირელებმაც ფედერაციაში უკვე გადაიხადეს უცხოეთიდან დამატებული მოთამაშისთვის სავალდებულო საურავი, 1000 ლარი. ფეხბურთის ფედერაციამ ლატვიიდან მოთამაშის სატრანსფერო ფურცელი უკვე გამოითხოვა და პასუხიც თუ დროულად მოვიდა, არ არის გამორიცხული, კვარაცხელიამ კვირასვე ითამაშოს ყოფილი კლუბის წინააღმდეგ.

როგორც „ტორპედოს" სელექციონერმა ვლადიმერ პანოვმა გვითხრა, კვარაცხელია ქუთაისშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

**დათო დანელია**

# ჯინჭარაძე ლოკომოტივმა ხუთიანზე ჩაიბარა

**რუსეთის** პირველ ლიგაში კიდევ ერთი ყოფილი ტორპედოელი პაატა ჯინჭარაძე ითამაშებს.

შარშან თბილისის „დინამოდან" სარატოვის „სოკოლში" გადასული ქართველი ნახევარმცველი კლუბს ვერ შეეწყო და იშვიათად ჩნდებოდა ძირითად შემადგენლობაში.

ახლა კი კლუბის ხელმძღვანელობამ მასთან დროებით განშორება გადაწყვიტა. 27 წლის ქართველით პირველლიგელი ჩიტის „ლოკომოტივი" დაინტერესდა. ჯინჭარაძე „ლოკომოტივმა" წინასასეზონო თურქულ შეკრებაზეც იახლა და რამდენიმე საკონტროლო მატჩშიც ათამაშა.

თურქეთიდან დაბრუნებული „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ ჯინჭარაძის მზადყოფნა მოიწონა, მისი დამატება საბოლოოდ გადაწყვიტა და გუშინწინ ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში ძირითად შემადგენლობაში ათამაშა. ჯინჭარაძის დებიუტი იღბლიანი გამოდგა — „ლოკომოტივმა" საშინაო მატჩში 2:1 სძლია „ყუბანს". ქართველი მატჩის ბოლოსწინა წუთზე შეცვალეს, მისი თამაში კი ხუთი ქულით შეაფასეს.

კლუბებს შორის მოლაპარაკების შემდეგ გაირკვა, რომ ქართველი ნახევარმცველი ახალ კლუბში განათხოვრების წესით, ექვსი თვით ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ პაატა ჯინჭარაძეს ადრე თბილისის „მორკინალში", ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოში" უთამაშია. მანამდე კი კვიპროსულ კლუბებში ბურთაობდა.

**კახა ზალამბერიძე**

# ნახეს ქართლში აფხაზეთი...

გორი
26 მარტი
15 საათი
ცენტრალური
1 500 მაყურებელი

**დილა 1:1 აფხაზეთი**

1:0 ხორგუაშვილი (25), 1:1 ცაავა (84პ)

**დილა:** სოლოლაშვილი (ილურიძე 46), გ. ჩიტაია (ა. ლაბაძე 46), რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე (რაზმაძე 46), საყვარელიძე (ა. ხმალაძე 46), ფეზუაშვილი, ხორგუაშვილი, დ. მაისურაძე, ჯობაძე, გოგინაშვილი (მ. ბურნაძე 46), რევაზიშვილი

სათადარიგო: არუთინიანი

მწვრთნელი: ვოვა ხაჩიძე

**აფხაზეთის ნაკრები:** ქვაჩახია, გოგიტაძე (ლატარია 46), ზ. კვეკვესკირი, გაბისკირია, ბერიანიძე (კაჭარავა 46), ივქრიანი, ჭანტურიძე (ლ. თოლორდავა 46), ზალამბერიძე, რუსია, ცაავა (დარსანია 46), ხუროძე (ბართაია 46)

სათადარიგო: მ. ჯიშკარიანი

მწვრთნელი: ბონდო კაკუბავა

**მსაჯი:** მერაბ მალაღურაძე (თბილისი)

**27 მარტს** გორმა საქველმოქმედო-ამხანაგურ თამაშს უმასპინძლა. ქართლში აფხაზეთის ნაკრები მიიღეს, ბევრი გაიხსენეს, ფეხბურთიც ითამაშეს და ბოლოს ბანკეტზეც მოილხინეს.

მხოლოდ 90 წუთი არ უმეგობრია სტუმარმასპინძელს. „ცენტრალურზე" მისულმა 1 500 ქომაგმა სანახაობრივი დაპირისპირება იხილა.

გორის სტუმრებმა, პარლამენტარმა გია გვაზავამ, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მურად ანჯაფარიძემ, ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა დიმიტრი ჭანტურიამ და სოხუმის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სერგო ფიფიამ აფხაზეთის საპატიო დიპლომები გადასცეს პრეზიდენტის რწმუნებულს შიდა ქართლში ირაკლი ბოჭორიძეს, „დილას" პრეზიდენტ გელა ჩხეიძეს და კლუბის დირექტორ ალეკო მიხანაშვილს. საჩუქრები სტუმრებმაც მიიღეს და თავიანთი წილი კარგი თამაშისთვის ფეხბურთელებსაც ერგოთ. აფხაზეთის ნაკრებიდან მეკარე ქვაჩახია, ნახევარმცველი იური გაბისკირია და ვეტერანი გრიგოლ ცაავა გამოარჩიეს, ხოლო გორელთაგან სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი და ხორგუაშვილი გახდნენ საუკეთესონი.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია მადლობას უხდის სოხუმის „ცხუმისა" და ეროვნული გუნდის ყოფილ მოთამაშეს გიორგი ჩიხრაძეს გამოჩენილი გულისხმიერებისთვის და გაწეული დახმარებისთვის. გიორგი თავის ყოფილ კლუბს საფეხბურთო ამუნიციით შეეწია და როგორც ვიცით, ეს პირველად არ მომხდარა.

**გამუკა ძგანტალიანი**





ალექსანდრე იაშვილს (შუაში) და ფოლკერ ფინკეს „ფრაიბურგი" გასავარდნად არ ემეტებათ

# ღმერთი ქვემოთაც ღმერთია

## იაშვილი უალტერნატივოა — ამბობს კიკერი

**გაბო ოქროპირიძე**
**ბერლინიდან**



**დიდი შანსია,** მომავალი სეზონიდან ბუნდესლიგამ ქართველი ქომაგების ინტერესი დაკარგოს — გერმანულ ელიტარულ ლიგას უქართველებოდ დარჩენა ემუქრება, არჩილ არველაძის „კიოლნს" ალბათ მამალმერთიც ველარ უშველის, „ფრაიბურგის" მდგომარეობა კი შოკში ჩავარდნილ იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც შესაძლოა, გონს ვერ მოეგოს.

დღეს, კათოლიკური აღდგომის წინა დღეს, „ფრაიბურგი" კოტბუსში ჩადის. რა მნიშვნელობა ენიჭება ამ შეხვედრას, ცხრილში ჩახედვითაც კარგად ჩანს. ზედიზედ ცხრა თამაშმოუგებელ „ფრაიბურგს" გამარჯვება ჰაერივით სჭირდება, მასპინძელთა მოგების შემთხვევაში კი „კოტბუსი" საბოლოოდ დაიგულებს თავს სამშვიდობოს. ამიტომაც, დღეს ამ აღმოსავლეთგერმანულ ქალაქში დიდ ვნებათაღელვას ელიან.

სტუმრები შეხვედრას შესუსტებული შემადგენლობით ხვდებიან. კუნთგაწყვეტილი კაპიტანი, ფრაიბურგელთა მთავარი იმედი მეკარე რიხარდ გოლცი, როგორც გაირკვა ამ სეზონში ველარ დაეხმარება თავის გუნდს, ისევე როგორც, ჯვარედინიოგგაწყვეტილი იბრაჰიმ ტანკო, ასევე ტრავმირებულია რუსი ვლადიმირ ბუტი, ხოლო აბდერ რამდანე დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სულ ახალი გამოჯანმრთელებულნი არიან დიარა, კულიბალი, სელიმი, კონდე და ჰერმელი, გუნდის თავკაც ფოლკერ ფინკეს მდგომარეობა სრულიად ცხადი გახდება. დღევანდელ მატჩში დაუბრუნდება ალბათ ძირითადს ნაგრიპალი ლევან ცქიტიშვილი, რომელიც, სავარაუდოდ, ბოლო მატჩში საზიზღრად მოთამაშე ტობიას ვილის შეცვლის. მიუხედავად თავდასხმის ხაზის სუსტი თამაშისა, ისევ ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ იაშვილ-სელიმის დუეტს. „კიკერის" აზრით, ტანკოს ტრავმის გამო ჩვენებური უალტერნატივო ფეხბურთელია. რა იქნება დღეს კოტბუსში? ერთი ცხადია, სტუმრებმა რომც წააგონ, ქომაგები ავტობუსს გზას აღარ გადაუკეტავენ. მოგეხსენებათ, „ფრაიბურგის" ისტორიაში ასეთი რამე პირველად სამი კვირის წინ მოხდა, როცა ჰამბურგში „ზანკტ პაულისთან" 0:1 მარცხის მერე გაწბილებული სტუმართა ქომაგები საყვარელი გუნდის ავტობუსის წინ გაწვნენ, ფეხბურთელები გალანძღეს და კაი ხანი სტადიონიდან არ უშვებდნენ. იმ თამაშის მერე კლუბის პრეზიდენტი აჩიმ შტოკერი ფინკესთან, ახალ მენეჯერ ბორნემანთან და სამ ფეხბურთელთან (მიულერი, ჰერმელი და ვილი) ერთად ფან-კლუბის 150 წარმომადგენელს შეხვდა, სადაც ქომაგებს ჩადენილი საქციელიც მოუნანიებიათ და დაპირებიან, ეგეთი რამე აღარასოდეს გამეორდება, თუნდაც ელიტიდან რომ გავვარდეთო. შტოკერმა კი ქომაგთა ის საქციელი თავისი უარით ახსნა: „მესმის ქომაგების, თამაშის წინ ისინი მოვიდნენ და 18 ათასი ევროს დამატება მთხოვეს, რათა მატერებელი ექირავებინათ და „ზანკტ პაულისთან" გუნდს საქომაგოდ წამოყოლოდნენ, მე უარი ვუთხარი, რადგან მათი რიცხვი არც ისეთი დიდი იყო. ამიტომ მთელი თანხის გაღება თავად მოუხდათ და როცა გუნდის უსუსური თამაში ნახეს, ცხადია, ძალიან გაღიზიანდნენ".

ალბათ, გეცოდინებათ, ბოლო დროს „ფრაიბურგში" ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, ძველი მენეჯერი რეტიგი ახალმა, ბორნემანმა შეცვალა. რეტიგს ბოლო დროს ქომაგები საყვედურობდნენ, კელის გაყიდვით მიღებული 3,2 მილიონი ევროთი ახალი არავინ შეუძენიაო, ამაზე რეტიგი პასუხობდა, ახალი ფეხბურთელის შეძენა ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნების გარანტია სულაც არ არისო, ახლა კი, გავარდნის შემთხვევაში, „ფრაიბურგს" ექნება იმისი საშუალება, რომ მოთამაშეებს არსებული ხელფასი არ შეუმციროს, ამით წამყვანი ფეხბურთელები შეინარჩუნოს და ელიტაში დასაბრუნებლად იბრძოლოს. ცნობისთვის იმასაც გეტყვით, რომ რეტიგი ქომაგების საყვედურების გამო სულაც არ წასულა გუნდიდან, არც უსაქმოდ დარჩენილა. იგი მენეჯერის ფუნქციებს უკვე კიოლნში ასრულებს.

კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია: გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა ახიმ სარშტედმა დათვალა და აღმოაჩინა, რომ მიმდინარე სეზონში 13 ფეხბურთელმა 18-ჯერ მიიღო ისეთი ტრავმა, 6 კვირაზე მეტი დროით რომ მოუხდათ დასვენება.

ზოგად ამბებს მოვეშვათ და დღევანდელ მატჩს დავუბრუნდეთ. მიუხედავად გუნდის ღრმა კრიზისისა, მაინც იმედიანადაა ფოლკერ ფინკე, რომელსაც სჯერა, რომ მისი გუნდი ამ წარუმატებელ სერიას მალე შეწყვეტს და ძველ სახეს დაიბრუნებს, მთავარია, მას ამაში ფეხბურთელთა მორიგმა ტრავმებმა არ შეუშალოს ხელი. იგი არ გამორიცხავს, რომ ეს აღმასვლა შეიძლება დღევანდელ შეხვედრაშივე დაიწყოს. რა აძლევს ფინკეს ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს? იგი „კიკერთან" წინასამატჩო ინტერვიუში არ განმარტავს, თუმცა კი აღიარებს, ეს თუ არ მოხდა და „ფრაიბურგი" გავარდა, მაინც გუნდში დავრჩებიო. საერთოდაც, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გუნდის ასეთი კრიზისისა, არავის ამოუღია ხმა მწვრთნელის შეცვლის თაობაზე, არც ქომაგებს, არც პრეზიდენტს და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ჟურნალისტებს. ამის მიზეზი ყველამ იცის: ფოლკერ ფინკე „ფრაიბურგში" ღმერთია! ღმერთის კრიტიკა კი აბა, სად გაგონილა?

ორიოდე სიტყვა „კოტბუსზეც" ვთქვათ, დღეს ამ გუნდის ქომაგები სამი მიზეზის გამო მორიგ სამ ქულას ელიან. პირველი მიზეზი ისაა, რომ მათმა გუნდმა ბოლო ხუთი საშინაო მატჩიდან ყველა მოიგო, საერთო ანგარიშით 12:1, „ვერდერი" — 2:1, „ჰერტა" — 1:0, „ჰანზა" — 3:0, „შალკე" — 2:0, „ზანკტ პაული" — 4:0. მეორე მიზეზი „ფრაიბურგის" კრიზისი გახლავთ, დღესდღეობით მათ ყველა უგებს და რატომ არ უნდა მოვუგოთ ჩვენ? კითხულობენ ქომაგები. მესამე მიზეზი, ის არის, რომ ქომაგი საყვარელი გუნდისგან ნებისმიერ მეტოქესთან გამარჯვებას ელის, ჰოდა, კოტბუსელებიც დარწმუნებულნი არიან, ყველაფერი მათთვის სასიკეთოდ დასრულდება. მასპინძლებს განსაკუთრებით თავიანთი ბოსნიელების ეიმედებათ. ამ გუნდის ღირსებას პიპლიცა, ტოპიჩი, აკრაპოვიჩი და ჰუჯოროვიჩი იცავენ და ყველანი წამყვან მოთამაშეებად ითვლებიან. დღეს გაიერი მინდორზე ფაქტობრივად უძლიერეს შემადგენლობას გაიყვანს, მხოლოდ დისკვალიფიცირებული როსტი არ ეყოლება.

ბოლოს კი ისევ „ფრაიბურგზე". ბევრს მაინც ჰგონია, რომ გუნდის ასეთი თამაშის მიუხედავად, მესამე უიღბლო („კიოლნისა" და „ზანკტ პაულის" შემდეგ), ვისაც გაისიდან მეორე ბუნდესლიგაში მოუწევს ბურთის გორება, „ნიურნბერგი" იქნება, რადგან ამ გუნდს დარჩენილ ექვს შეხვედრაში „ლევერკუზენისა" და „ბაიერნის" მასპინძლობის „სიამოვნება" ელის, „შალკეს" კი თავად ესტუმრება. ფინკეს შეგირდები კი ლიდერთა წარმომადგენლებიდან მხოლოდ „კაიზერსლაუტერნს" ხვდებიან და ისიც შინ.

# მკვდარ ბელამის ცოცხალი ბატისტუტა სჯობს

**„ნიუკასლ იუნაიტედის“** ნახევარმცველ კრეიგ ბელამის იტალიის ჩემპიონ „რომას“ ხელმძღვანელებმა მიაქციეს ყურადღება. იმასაც იუწყებიან, რომაული კლუბი თანახმაა, უელსელი ფეხბურთელის ხელში ჩასაგდებად გაბრიელ ბატისტუტას ან მარკო დელვეკიოს შეელიოსო. აქვე დავაზუსტოთ, რომ გაბრიელ ბატისტუტას ბრიტანეთში შესაძლო გადაბარგება მოულოდნელი სიახლე არ გახლავთ. მისი ყიდვის სურვილი აქამდე ლონდონის „ჩელსისაც“ გამოუთქვამს.

ბელამის დავუბრუნდეთ, რომელიც 24 თებერვლის შემდეგ ტრავმის გამო არ გამოჩენილა „ნიუკასლის“ შემადგენლობაში და თითქოს ეს არის მიზეზიო, ბობი რობსონის გუნდს გუშინდლამდე, ხუთი თამაში ვერ მოეგო.

ბელამი „ნიუკასლში“ შარშან „ქოვენთრიდან“ გადავიდა და პირველივე სეზონში ალან შირერთან ერთად გუნდის გამოკვეთილი ლიდერი გახდა. უელსელს „ნიუკასლის“ რიგებში უკვე 15 გოლი დაუგროვდა.

შევახსენებთ იმასაც, რომ ბელამი ცოტა ხნის წინ სკანდალში გაეხვა. სტუდენტი გოგონასთვის სახეში სილის გალაწუნების გამო პრობლემები ჰქონდა პოლიციასთან და თითქმის ყველა ბრიტანული გაზეთი მის უმსგავსო საქციელზე წერდა.

ახლა ბელამი ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და როგორც ვარაუდობენ, უახლოეს დღეებში დაუბრუნდება გუნდს.

**ნიკა შუბლაძე**





„რომას“ კრეიგ ბელამი მოეწონა, გაბრიელ ბატისტუტა კი აითვალწუნა

# ფრთხილად, ყურუმსალობა ისჯება!

**იტალიური** სერია B-ს ლიდერს, „ემპოლის“, შესაძლოა ექვსი ქულა შეკრიჭონ და ამის მიზეზი მათი დოპინგ-ოინბაზობა იქნება. არადა, როგორია, ეს ამბავი ხდება გაზაფხულზე, როდესაც სეზონი დასასრულს უახლოვდება და ტოსკანელებს სერია A-ს კონტურები გამოეკვეთათ. ამ ამბავზე გუშინაც ვწერდით და განვავრცოთ.

საკითხი იმიტომ წამოიჭრა, რომ მავანთ და მავანთ შენიშნეს — მატჩის შემდგომ ტესტირებებზე „ემპოლი“ ფეხბურთელებს ცვლიდა, ერთის მაგივრად მეორეს უშვებდა და რაღაც ასეთები. არადა, მეორე მხრივ, ვერავინ იტყვის, რომ ტოსკანელები დოპინგს მოიხმარენ, ასეთი ფაქტი არ არსებობს.

ერთი სიტყვით, საქმე რაღაც ყურუმსალობასთან გვაქვს და ამიტომ იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ანტიდოპინგურმა კომისიამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას გუნდის ექვსი ქულით დამოკლება და მისი ექიმის, ფრანჩესკო ამანატის ოთხი წლით ფეხბურთიდან მოკვეთა ურჩია.

ექვსი ქულის დაკარგვის შიშით ამანატი, ხუ[illegible] თავად კლუბმა გა[illegible] ვისუფლა თანამდებობიდან, [illegible] მის [illegible] ჩვენი კლიენტი მხოლოდ და მხოლოდ კანონების მცირე დარღვევაშია მხილებულიო.

სხვათა შორის, ოლიმპიური კომიტეტის ანტიდოპინგურმა კომისიამ კლუბის პრეზიდენტის დასჯაც მოითხოვა — ფაბრიციო კორსი 2 ათასი ევროთი დავაჯარიმოთ სპორტული კორექტულობისა და პრინციპების დარღვევისთვისო.

და ამ კვირაში, „ემპოლის“ საწვრთნელ ცენტრს სინჯარიანთა მთელი ლაშქარიც ეწვია და უკლებლივ ყველა ფეხბურთელს ანალიზი აუღო. ახლა ოლიმპიური კომიტეტი, ფეხბურთის ფედერაცია თუ ყველა სხვა რანგის ჩინოსანი მის პასუხს დაელოდება.

ეჭვი კი ორმა შეხვედრამ გამოიწვია. ერთი მათგანი 3 მარტს გაიმართა და „ემპოლის“ მეტოქე „პისტოიეზე“ იყო, ხოლო მეორე 17 მარტს შედგა, სადაც „ემპოლი“ „რეჯინას“ შეხვდა.

**ბაკუნა ძიდია**

## Copa Toyota Libertadores '2002

### ლიბერტადორესის თასი 2002

I ჯგუფი. V ტური

**ალიანსა (პერუ) 0:3 სან კაეტანო (ბრაზილია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან კაეტანო | 5 | 4 | 0 | 1 | 14:3 | 12 |
| სერო პორტენო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| კობრელოა | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| ალიანსა | 5 | 0 | 1 | 4 | 0:14 | 1 |

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კალენდარი

## უეფამ თქვა და ლაპარაკი მორჩა!

### II ჯგუფი

რუმინეთი, დანია, ნორვეგია, ბოსნია, ლუქსემბურგი

**2002 წელი**

**7-8 სექტემბერი**
ნორვეგია — დანია
ბოსნია — რუმინეთი

**12-13 ოქტომბერი**
დანია — ლუქსემბურგი
რუმინეთი — ნორვეგია

**15-16 ოქტომბერი**
ნორვეგია — ბოსნია
ლუქსემბურგი — რუმინეთი

**2003 წელი**

**29-30 მარტი**
ბოსნია — ლუქსემბურგი
რუმინეთი — დანია

**1-2 აპრილი**
ლუქსემბურგი — ნორვეგია
დანია — ბოსნია

**7-8 ივნისი**
დანია — ნორვეგია
რუმინეთი — ბოსნია

**10-11 ივნისი**
ლუქსემბურგი — დანია
ნორვეგია — რუმინეთი

**6-7 სექტემბერი**
ბოსნია — ნორვეგია
რუმინეთი — ლუქსემბურგი

**9-10 სექტემბერი**
ლუქსემბურგი — ბოსნია
დანია — რუმინეთი

**11-12 ოქტომბერი**
ნორვეგია — ლუქსემბურგი
ბოსნია — დანია

### III ჯგუფი

ჰოლანდია, ჩეხეთი, ავსტრია, ბელარუსი, მოლდოვა

**2002 წელი**

**7-8 სექტემბერი**
ავსტრია — მოლდოვა
ჰოლანდია — ბელარუსი

**12-13 ოქტომბერი**
მოლდოვა — ჩეხეთი
ბელარუსი — ავსტრია

**15-16 ოქტომბერი**
ავსტრია — ჰოლანდია
ჩეხეთი — ბელარუსი

**2003 წელი**

**29-30 მარტი**
ჰოლანდია — ჩეხეთი
ბელარუსი — მოლდოვა

**1-2 აპრილი**
ჩეხეთი — ავსტრია
მოლდოვა — ჰოლანდია

**7-8 ივნისი**
მოლდოვა — ავსტრია
ბელარუსი — ჰოლანდია

**10-11 ივნისი**
ჩეხეთი — მოლდოვა
ავსტრია — ბელარუსი

**6-7 სექტემბერი**
ჰოლანდია — ავსტრია
ბელარუსი — ჩეხეთი

**9-10 სექტემბერი**
ჩეხეთი — ჰოლანდია
მოლდოვა — ბელარუსი

**11-12 ოქტომბერი**
ავსტრია — ჩეხეთი
ჰოლანდია — მოლდოვა

### VI ჯგუფი

ესპანეთი, საბერძნეთი, უკრაინა, ჩრდ. ირლანდია, სომხეთი

**2002 წელი**

**7-8 სექტემბერი**
საბერძნეთი — ესპანეთი
სომხეთი — უკრაინა

**12-13 ოქტომბერი**
ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია
უკრაინა — საბერძნეთი

**15-16 ოქტომბერი**
საბერძნეთი — სომხეთი
ჩრდ. ირლანდია — უკრაინა

**2003 წელი**

**29-30 მარტი**
სომხეთი — ჩრდ. ირლანდია
უკრაინა — ესპანეთი

**1-2 აპრილი**
ჩრდ. ირლანდია — საბერძნეთი
ესპანეთი — სომხეთი

**7-8 ივნისი**
ესპანეთი — საბერძნეთი
უკრაინა — სომხეთი

**10-11 ივნისი**
ჩრდ. ირლანდია — ესპანეთი
საბერძნეთი — უკრაინა

**6-7 სექტემბერი**
სომხეთი — საბერძნეთი
უკრაინა — ჩრდ. ირლანდია

**9-10 სექტემბერი**
ჩრდ. ირლანდია — სომხეთი
ესპანეთი — უკრაინა

**11-12 ოქტომბერი**
საბერძნეთი — ჩრდ. ირლანდია
სომხეთი — ესპანეთი

### VII ჯგუფი

თურქეთი, ინგლისი, სლოვაკეთი, მაკედონია, ლიხტენშტაინი

**2002 წელი**

**7-8 სექტემბერი**
თურქეთი — სლოვაკეთი
ლიხტენშტაინი — მაკედონია

**12-13 ოქტომბერი**
სლოვაკეთი — ინგლისი
მაკედონია — თურქეთი

**15-16 ოქტომბერი**
თურქეთი — ლიხტენშტაინი
ინგლისი — მაკედონია

**2003 წელი**

**29-30 მარტი**
ლიხტენშტაინი — ინგლისი
მაკედონია — სლოვაკეთი

**1-2 აპრილი**
ინგლისი — თურქეთი
სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი

**7-8 ივნისი**
სლოვაკეთი — თურქეთი
მაკედონია — ლიხტენშტაინი

**10-11 ივნისი**
ინგლისი — სლოვაკეთი
თურქეთი — მაკედონია

**6-7 სექტემბერი**
ლიხტენშტაინი — თურქეთი
მაკედონია — ინგლისი

**9-10 სექტემბერი**
ინგლისი — ლიხტენშტაინი
სლოვაკეთი — მაკედონია

**11-12 ოქტომბერი**
თურქეთი — ინგლისი
ლიხტენშტაინი — სლოვაკეთი

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## D ჯგუფი: ს. კორეა, პოლონეთი, აშშ, პორტუგალია



**ფართობი:** 92 391 კმ²
**მოსახლეობა:** 10 040 000
**დედაქალაქი:** ლისაბონი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1914 წელს
ფიფას წევრი 1923 წლიდან
უეფას წევრი 1954 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** ჟილბერტუ პარსა მადაილი
**გენერალური მდივანი:** ანტონიუ ფერეირა სეკეირა
**სტადიონი:** „ნასიონალი“ (60 000) „დაშ ანტაში“ (75 000)
**მწვრთნელი:** ანტონიუ ოლივეირა
**კაპიტანი:** ჟორჟე კოშტა
**ფორმა:** წითელი მაისურა, მწვანე ტრუსი, წითელი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „ბენფიკა“, „პორტუ“, „სპორტინგი“, „ბელენენსეში“, „ბოავიშტა“
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 6



### არის ასეთი ქვეყანა

პორტუგალია არის ევროპის კიდეზე, ატლანტიკის პირას მოფენილი, მზეს მიფიცხებული ქვეყანა.

პორტუგალია არის არცთუ მაინცდამაინც მდიდარი, ჯადოსნური მხარე, სადაც თავდება ევროპა და იწყება ახალი სამყარო.

პორტუგალიაში ევროპის ადამიანებმა პირველებმა გასინჯეს ფორთოხალი, ყავა და წიწაკა. მოსახლეობის სიმცირის გამო, პორტუგალიელებმა, ევროპის ერთ დროს უპირველესმა ზღვაოსნებმა იმგვარი სიჩაუქით ვერ აითვისეს უცხო მიწები, როგორც ეს ინგლისელებმა და ესპანელებმა მოახერხეს და იმპერიაც ვერ შექმნეს. ამის მიუხედავად, მსოფლიოში მაინც არის რამდენიმე ქვეყანა, სადაც ტკბილ პორტუგალიურ ენაზე ლაპარაკობენ.

ამათგან უგანთქმულესი ბრაზილიაა. ბრაზილია დიდი პორტუგალიაა, პორტუგალია კი პატარა ბრაზილია — ასე ამბობენ პორტუგალიაში.

ამ ქვეყნის კალმით აღწერა შეუძლებელია. წარმოუდგენელია მთას შეფენილი ლისაბონის აღწერა, კაშკაიშის ზღვისპირა კლდეების ტილოზე აღბეჭდვა, ფადოს მუსიკით შობილი განცდების გამოხატვა.

პორტუგალია სანახავი ქვეყანაა, ცხელი ნიავითა და შავტუხა გოგოებით, ფერმკრთალი არისტოკრატებითა და კეთილი კონდუქტორებით — არცთუ მოვლილი, დაბზარული, მოლილინე და მელანქოლიური, სადაც შუადღით თვლემენ და შუაღამით ვახშმობენ, სადაც ოკეანის სუნთქვა სხეულში შემოდის და სადაც ცხოვრობდნენ მოუსვენარი ვასკო და გამა, მეოცნებე უფლისწული ენრიკე და ბუნების სულით ანთებული მარკიზი დე პომბალი.

დაიძინეთ და როცა ყველაზე ლამაზ სიზმარს ნახავთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პორტუგალია დაგსიზმრებიათ.

**ირაკლი ბამყრელიძე**



# ახლა ჩვენი დროა

## პორტუგალიელებო, ტელევიზორიდან ფინალისკენ, იარ!

**პორტუგალიელთა** საუკეთესო სამსოფლიოჩემპიონატო გამოსვლად 1966 წელს ინგლისის მსოფლიოს პირველობაზე ასპარეზობა ითვლება. იქ, ეგებ ვინმეს შეხსენება სჭირდებოდეს და, პირინეელები ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ ინგლისელებთან დამარცხდნენ, ხოლო მესამე ადგილისათვის მატჩში საბჭოეთის ნაკრებს სძლიეს 2:1. თავის მეორე მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრებმა 1986 წელს ითამაშა. მას მერე ფეხბურთის იქაურ ქომაგს საპლანეტო ფორუმებზე მონაწილეობა მხოლოდ ტელემაყურებლის რანგში თუ შეეძლო.

წლეულს პორტუგალიელები კორეაიაპონიაში ლიანგად გამგზავრებას გეგმავენ. მათი აზრით, ახლა ისეთი ნაკრები ჰყავთ, რომელსაც საერთაშორისო სარბიელზე გადამწყვეტი სიტყვის თქმა ხელეწიფება. იქაური სპეციალისტები ქვეყნის ამჟამინდელ ნაკრებს უკანასკნელი ათწლეულების თავიანთ საუკეთესო გუნდად მიიჩნევენ და თვლიან, რომ ტექნიკის თვალსაზრისით მათ მოთამაშეებს მსოფლიოში ბადალი არა ჰყავთ.

პორტუგალიის ნაკრებს ევროპის შესარჩევ ჯგუფებს შორის ერთ-ერთ ურთულესში მოუხდა ბრძოლა. მისი უმთავრესი მეტოქეები იქ ჰოლანდიისა და ირლანდიის ნაკრებები იყვნენ. მაგრამ ლუის ვან გაალის შეგირდების ადრეეტაპზევე ძლევის შემდეგ პორტუგალიელებმა ჯგუფის ლიდერობა იკისრეს და ამ სტატუსს ბოლომდე აღარ შელევიან. ისეთ სუსტ ნაკრებებს კი, როგორებიც ესტონეთის, კვიპროსისა და ანდორის გუნდებია, ისინი შინაც და გარეთაც უპრობლემოდ გაუსწორდნენ და ჯამში 27 გოლი შეუყარეს.

ნაკრების მწვრთნელი ანტონიუ ოლივეირა იმავე სისტემის მიმდევარია, რომლისაც უმბერტუ კოელიუ, ევრო-2000-ზე პორტუგალიელთა გამძღოლი კაცი გახლდათ. ეს სისტემა 4 მცველით, 5 ნახევარმცველითა და ერთადერთი შემტევით თამაშს გულისხმობს, თუმც მეორე, 4-4-2 სქემაც აქვს.

პორტუგალიელები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ნაკრები ძალდაუტანებლად გავა ჯგუფური ეტაპიდან, სადაც მისი მეტოქეები სამხრეთ კორეის, პოლონეთისა და აშშ-ის ნაკრებები იქნება. აქ ისინი სულ მცირე 7, იდეალურ ვარიანტში კი 9 ქულას გეგმავენ. უმთავრეს რაყიფად პოლონეთის ნაკრებს მიიჩნევენ, თუმცა მაინც იმის ეიმედებათ, რომ ფიგუს და კომპანიას არც ერჟი ენგელის შეგირდთა გაცამტვერება გაუჭირდებათ. მერე კი... მერე კი პორტუგალიელები ან იტალიელებს შეეხლებიან, ანაც ხორვატებს. მაგრამ მათ არც ეს აკრთობთ — პორტუგალია ახლა ისე ძლიერია, რომ ყველანაირი დაბრკოლების გადალახვა შეუძლიაო, ამბობენ იქ.

ოლივეირას გუნდს ყოჩებად უჩაუქესნი, ლუიშ ფიგუ და მანუელ რუი კოშტა ეყოლება. მათ გამოცდილებასა და დიდოსტატობას ჰარმონიულად შეერწყმება სერჟიუ კონსეისაუს, ნუნუ გომეშის, ფერნანდუ კოუტუსა და პედრო პაულეტას სიჭაბუკე და ნიჭიერება. ერთი ეგაა, რომ მცირე დაეჭვებას ნაკრების დაცვის ხაზი იწვევს — ჟორჟე კოშტასა და კოუტუს წყვილი უკვე დიდი ხანია პორტუგალიელთა უკანახაზის საფუძველს შეადგენს, მაგრამ მას აშკარად აკლია ის სიმარდე, რაც თუნდაც პოლონელი ემანუელ ოლისადებეს დასაურვებლად იქნება საჭირო, რომ აღარაფერი ვთქვათ მომდევნო ეტაპებზე ტიერი ანრისა ანაც მაიკლ ოუენის წინააღმდეგ შესაძლო თამაშის შესახებ... კრიტიკოსები კოშტასა და კოუტუს ზედმეტ სიფიცხესაც უმუნათებენ. უკანასკნელის უდისციპლინობა ხომ საყოველთაოდ ცნობილი ამბავია.

ასეა თუ ისე, ამ ეტაპზე პორტუგალიელთა სავარაუდო თერთმეტეული ასე გამოიყურება: მეკარე დასტურ ვიტორ ბაია იქნება, კოშტასა და კოუტუს ჯუფთის მარჯვნიდან ან კარლუშ სეკრეტარიუ ამოუდგება ანაც ბეტუ სევერუ, მარცხნიდან — რუი ჟორჟე; ნახევარდაცვაში ჟოაუ პინტუ, ნუნუ კაპუშუ, ლუიშ ფიგუ და მანუელ რუი კოშტა განლაგდებიან, შემტევის ადგილს კი ან ნუნუ გომეში ანაც პაულეტა დაიჭერს, ან ორივე ერთად — კონკრეტულ მატჩში არჩეული კონკრეტული სქემის შესაბამისად.

ნუნუ გომეშს არც ისე კარგი სეზონი აქვს „ფიორენტინაში“, მაგრამ სანაკრებო დონეზე იგი ნიადაგ ჩინებულად გამოდის. პაულეტა კი ნაკრებშიც უხვად გოლიანობს და ფრანგულ „ბორდოშიც“.

პორტუგალიის ნაკრების ბოლოდროინდელი მდგომარეობის შესახებ წარმოდგენას ფინეთთან შინ 1:4 წაგებული მატჩიც შეგიქმნიდათ. თუმცა ამ შეხვედრაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგანაც მის დაწვრილებით მიმოხილვას ვინძლო „სარბიელის“ წინა ნომერშიც გაეცნობოდით.

**ლევან ძელაურაძე**



სიმაო, ჟორჟე კოშტა და ლუიშ ფიგუ ჭყრჭყრობით მოედანზე გასვლით ხარობენ

### განრიგი

**5 ივნისი**
სუვონი (კორეა). 13.30 საათი
„სუვონ ვორლდ ქაფ სტადიუმი“
პორტუგალია – აშშ

**10 ივნისი**
ხენჯუ (კორეა), 15.30 საათი
„ხენჯუ ვორლდ ქაფ სტადიუმი“
პორტუგალია – პოლონეთი

**14 ივნისი**
ინჩეონი (კორეა). 15.30 საათი
„ინჩეონ მუნჰაკ სტადიუმი“
პორტუგალია – ს. კორეა

*მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით*

### ოპტიმალური შემადგენლობა




### გზა მსოფლიოსკენ

**შესარჩევი ეტაპი. II ჯგუფი**

03.09.2000
ესტონეთი 1:3 პორტუგალია
07.10.2000
პორტუგალია 1:1 ირლანდია
11.10.2000
ჰოლანდია 0:2 პორტუგალია
28.02.2001
პორტუგალია 3:0 ანდორა
28.03.2001
პორტუგალია 2:2 ჰოლანდია
02.06.2001
ირლანდია 1:1 პორტუგალია
06.06.2001
პორტუგალია 6:0 კვიპროსი
01.09.2001
ანდორა 1:7 პორტუგალია
05.09.2001
კვიპროსი 1:3 პორტუგალია
06.10.2001
პორტუგალია 5:0 ესტონეთი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 10 | 7 | 3 | 0 | 33:7 | 24 |
| ირლანდია | 10 | 7 | 3 | 0 | 23:5 | 24 |
| ჰოლანდია | 10 | 6 | 2 | 2 | 30:9 | 20 |
| ესტონეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:26 | 8 |
| კვიპროსი | 10 | 2 | 2 | 6 | 13:31 | 8 |
| ანდორა | 10 | 0 | 0 | 10 | 5:36 | 0 |

### ტიტულები

მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1): 1966
ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი (2): 1984, 2000



ლეო კირხი

# კირხი კრახის მოლოდინში

## მედიამაგნატმა მსოფლიო იყიდა

*ლეო კირხი — ეს ძალიან ცნობილი სახელია დღევანდელ სპორტულ სამყაროში. არა, მას არასოდეს დაუმყარებია რეკორდები, არ მოუგია მედლები. მედლები კი არა, 76 წლის ტელემაგნატი იმ მცირერიცხოვან ბავარიელებს მიეკუთვნება, რომელთაც ფეხბურთი გულს ვერ უტოკებთ და მიხაელ შუმახერის ბოლიდით ქროლვასაც სრულიად გულგრილად უყურებენ.*

*მოხუცი ლეო სპორტით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც 70-ს გადააბიჯა. დაინტერესდა და პრაქტიკულად ფორმულა 1-იც დაისაკუთრა და დიდი ფეხბურთიც...*

**კირხის** სახელი სპორტულ პრესაში 90-იანი წლების შუა ხანებში გამოჩნდა, სწორედ იმ დროს, როდესაც საფეხბურთო ევროპაში სუპერლიგაზე დაიწყო ლაპარაკი — სუპერკლუბების სუპერფეხბურთი, ცხადია, სუპერშემოსავლით. ამ მომხიბლავი წინადადების ავტორი ავსტრალიელ მედიამაგნატ რუპერტ მერდოკთან ერთად ლეო კირხიც იყო. პირველად სწორედ მაშინ დაიწყო უეფას ჩემპიონთა ლიგის ალტერნატიულ ტურნირზე ლაპარაკი. ამ ახალ ტურნირში კი სპორტულ პრიორიტეტებს შოუ-ბიზნესის ტექნოლოგიები შეცვლიდა. უეფასთვის ეს ახალი საშიშროება გახლდათ, რომლის წინაშეც „ბოსმანის წესით" მოსული საფრთხე გაფერმკრთალდა.

საფეხბურთო ევროპის დაშლის თავიდან ასაცილებლად უეფა პრაქტიკულად ევროპის ბობოლა კლუბების დიქტატის ქვეშ მოექცა, ეს დიქტატი კი წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო მძიმდება. თანამედროვე ევროპულ ფეხბურთში „მანჩესტერ იუნაიტედის", „რეალის", „იუვენტუსისა" და ძმათა მათთა თანხმობის გარეშე არც ერთი სერიოზული სპორტულ-ფინანსური საკითხი არ წყდება.

მერდოკმა კირხამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწყო საფეხბურთო ოქროს საბადოს დამუშავება. მისმა ტელეკომპანია SKY-მ, ინგლისის ჩემპიონატის და ასევე რამდენიმე სუპერკლუბის მატჩების ტელეტრანსლაციის უფლება იყიდა. ასე რომ, მილიონობით გულშემატკივარს მოუწია მერდოკის ტელეკომპანიის სატელიტური ანტენების შესყიდვა. გარდა ამისა, ზოგიერთი მატჩის ნახვის მსურველებს დამატებით უნდა გაეკრათ ჯიბეზე ხელი. ფეხბურთი, როგორც სატყუარა ფასიან სატელიტურ ტელეკომპანიებზე — ეს სვლა წაგების ყოველგვარ შანსს გამორიცხავს.

კირხი მერდოკის გაკვალულ გზას დაადგა და უფრო შორსაც წავიდა. ლეომ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში ბუნდესლიგის მატჩების ჩვენების უფლება იყიდა და ამაში 1,4 მილიარდი დოლარი გაიღო. მაგრამ ეს არაა მთავარი, ლეომ მის მიერ კონტროლირებადი KIRCHGRUPPE („კირხის ჯგუფის") მეშვეობით მსოფლიოს 2002 და 2006 წლების ჩემპიონატების ჩვენებაზე ტენდერი მოიგო. ღირებულება 2,6 მილიარდი დოლარია. თანაც ფიფასთან დადებული კონტრაქტი ამ ორი ტურნირის ჩვენების უფლების სხვა სატელიტურ არხებზეც მიყიდვას კრძალავს. ასე რომ, კირხმა კორეა-იაპონიისა და გერმანიის მუნდიალები პრაქტიკულად სათავისოდ დაიგულა. ფიფას კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გამძლეობა არ აღმოაჩნდა და ფულს დახარბდა. როგორც ცნობილია, სოკ-ი, ფინანსური ზარალის მიუხედავად, ოლიმპიადების ჩვენების უფლებას მხოლოდ საზოგადოებრივ ტელევიზიებზე ჰყიდის.

ფიფას წუწკობის შედეგი მალევე გამოჩნდა. ვინც არ გადაიხდის, ჩემპიონატს ვერ ნახავს — ასე მსჯელობდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ექსკლუზიური უფლების მფლობელ „კირხის ჯგუფში" მაშინ, როდესაც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატთან შედარებით 10-40-ჯერ აწიეს ფასები.

შოკი მართლაც დიდი იყო, იმდენად დიდი, რომ ერთი წლის განმავლობაში ევროპის მხოლოდ სამ ქვეყანაში იყიდეს მატჩების ჩვენების უფლება, ისიც ახალგამომცხვარმა კომპანიებმა, რომელთა მიზანი ბაზარზე დამკვიდრებაა, თუნდაც ძალიან დიდი დანახარჯების ხარჯზე. თუმცა ბევრმა გერმანელმა იცოდა, რასაც აკეთებდა. ნელ-ნელა სხვა ბობოლა ტელეკომპანიებმაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს. კირხი გაღებული ინვესტიციების ორმაგად ამოღებას გეგმავს. ვისაც ახალი ფასები არ მოსწონს, ფეხბურთს ვერ ნახავს. ასე მაგალითად, შვეიცარიაში, სადაც ფიფასა და უეფას შტაბბინებია განთავსებული, ფეხბურთს შესაძლოა ვერც ნახავენ. ჯერჯერობით არ მოინდომეს ფულის გადახდა და იმიტომ.

უახლოესი ორი მუნდიალის პრივატიზაციის შემდგომ რაღა გასაკვირია, რომ მსოფლიოს ფეხბურთში მომხდარი ცვლილებები კირხის უჩინარ ხელს მიეწერება. აი, თუნდაც ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის მოულოდნელი და უცნაური (რბილად რომ ვთქვათ) განცხადება მსოფლიოს ჩემპიონატების ყოველ ორ წელიწადში გამართვის შესახებ. ეს იდეა ძალიან ჩამოჰგავს „კირხის ჯგუფის" დევიზს: მეტი ჩემპიონატი — მეტი შემოსავალი.

კირხის „გმირობების" შემდეგ გერმანიის მიერ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის უფლების მოგებასაც ეჭვის თვალით უყურებენ, აქაც კირხისეული პრაგმატიზმი გამოსჭვივისო. საერთოდ (ანუ ხალხის დასანახად) 2006 წლის მსოფლიო თასის გერმანიაში გამართვა ფრანც ბეკენბაუერის დიდ დამსახურებად ითვლებოდა და ახლაც ასეა, მაგრამ სკანდალი, რომელიც გერმანელთა გამარჯვებას თან ახლდა, ბევრ კითხვას ბადებს. ლობიზმი ხომ კირხის მთავარი იარაღია ეკონომიკურ ბრძოლაში. მისი მედია-იმპერია ჰელმუტ კოლის მთავრობის სასათბურე პირობებში გაიფურჩქნა 80-90-იან წლებში. კირხი აღწევს იმას, რაც ჩაფიქრებული აქვს, 2006 წლის მუნდიალის მის სამშობლოში გამართვა კი ლეო კირხისათვის უფრო მომგებიანი იყო.

„კირხის ჯგუფი" ფორმულა 1-საც დაეპატრონა. მართალია, არა ისე, როგორც თავიდან ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ ფაქტია, რომ რბოლების ჩვენების უფლება 2009 წლამდე კირხელებს ეკუთვნით. ამ სიამოვნებაში კირხმა 1,3 მილიარდი დოლარი გადაუხადა „ფორმულას" ტელეტრანსლაციის უფლებისა და მარკეტინგის მფლობელ ჰოლდინგ SLEC-ს.

კირხის მიზანი ტელეტრანსლაციის უფლებების გაყიდვა იყო, SLEC-ის 58 პროცენტის მფლობელ „კირხის ჯგუფს" ამის გაკეთება უნდოდა კიდეც, „ფორმულას" ხომ 350 მილიონიანი აუდიტორია ჰყავს, მაგრამ, ფიფასაგან განსხვავებით, „ფორმულას" საჯინიბოებმა მედიავეშაპს ულტიმატუმი წაუყენეს, ტელეტრანსლაციის უფლებების გაყიდვისთანავე დამოუკიდებელ რბოლებს ჩავატარებთო. კირხი იძულებული გახდა, ამას შეგუებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

კირხის უკანდახევა მარტო ფორმულელების დაჟინების შედეგი როდია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კირხის იმპერია კანცლერ ჰელმუტ კოლის გერმანიაში, სასათბურე პირობებში, თითქმის უკონკურენციოდ ვითარდებოდა. მაგრამ 1998 წლის არჩევნებმა ბევრი რამ შეცვალა, უპირველესად კი კირხის მეგობარ-პარტნიორი ქრისტიან-დემოკრატები. მათი დამარცხების პირობებში ლეოს მდგომარეობა ისე საიმედოდ აღარ გამოიყურება, როგორც ადრე.

„კირხის ჯგუფმა" შეცდომებს უხშირა. მისი აქციები ეცემა, საკრედიტო დავალიანებები, რომელთა დაფარვას დაუყოვნებლივ ითხოვენ, 12,2 მილიარდ დოლარს ანუ კირხის აქტივების თითქმის ნახევარს აღწევს. არც სატელიტური ანტენები იყიდება გეგმიურად. 3 მილიონის ნაცვლად ანტენები მხოლოდ 2,2 მილიონმა გერმანელმა შეიძინა. კირხის კომპანიონი მერდოკი PREMIER WORD-იდან თავის 1,5 მილიარდიანი წილის გატანას ითხოვს. „კირხის ჯგუფის" წინაშე გაკოტრების საშიშროებაც კი დადგა. მართალია, თავად ტელემაგნატის აზრით, ვითარება საგანგაშო სულაც არ არის, მაგრამ კრიზისი სახეზეა.

ამ კაცის გავლენა დღევანდელ ფეხბურთზე იმდენად დიდია, რომ წინასწარ ერთმნიშვნელოვნად ვერავინ შეაფასებს ამ მოვლენას. თუ „კირხის ჯგუფი" კრიზისს დაძლევს, მაშინ ყველამ გერმანელი ტელემაგნატის თამაშის წესებით უნდა ითამაშოს. ხოლო როგორია თამაშის წესები, ამას რამდენიმე მაგალითით დავინახავთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კირხმა მნიშვნელოვნად გააძვირა მსოფლიოს ჩემპიონატების ჩვენების უფლების ფასი. ინგლისურ BBC-ს და ITV-ს კირხმა 2002 წლის მუნდიალის ჩვენების უფლებისათვის 225 მილიონი დოლარი მოსთხოვა, თავად ინგლისელების განცხადებით, მათი „ჭერი" სულ 83 მილიონს შეადგენდა, ანუ 10-ჯერ მეტს, ვიდრე საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ტელეტრანსალაციის უფლებაში გადაიხადეს. ეს საქმე სასამართლოთი გაგრძელდა, თუმცა მას შემდეგ, რაც კირხი BBC-სა და ITV-ს დაემუქრა, რომ უფლებებს სატელიტურ BSKYB-ის მიჰყიდიდა, ინგლისელები 225 მილიონის გადახდას დაყაბულდნენ.

თუმცა რაღა ინგლისი, გერმანიაში ადგილობრივმა ARD-მ და ZDF-მ მხოლოდ კანცლერ გერჰარდ შრიოდერის ჩარევის შემდეგ მიიღეს მსოფლიოს ჩემპიონატის არასრულად (მხოლოდ 25 მატჩი) ჩვენების უფლება. არადა, გერმანულმა ტელეკომპანიებმა მათთვის სარეკორდო 140 მილიონი დოლარი გაიღეს. გერმანიაში მუნდიალის მატჩების უმეტესობას (39 მატჩი) კირხის ფასიან არხებზე გაუშვებენ. ფრანგულ ტელეკომპანია TF1-ს კი მუნდიალის ჩვენება 155 მილიონი დაუჯდა.

როგორც ვხედავთ, კირხს დიდი ძალა აქვს. ახლა ბევრს მსჯელობენ იმაზე, თუ რა მოხდება, თუ „კირხის ჯგუფი" კრიზისიდან ვერ გამოვიდა. ამ შემთხვევაში, დღეს, როდესაც ფული სულ უფრო და უფრო უკან აყენებს წმინდა სპორტულ პრიორიტეტებს, კირხის გაქრობის შემთხვევაში ვაკუუმს სწრაფად ამოავსებენ სხვა „კირხები", რომლებიც, ზუსტად ისევე იმოქმედებენ, როგორც ლეო კირხი.

**სერგი ძორიძე**



რუპერტ მერდოკს დახეთ, რა ნორჩი ცოლი ჰყოლია!

# პელეს ჩაქუჩი დაჰკრეს

## ნაღდია თუ ყალბია, მყიდველის გასარჩევია

**მავანმა** ტელეფონის ყურმილში ძალიან გრძელი რიცხვი — 157 750 ათასი წარმოთქვა, მერე ლონდონში სამამდე დაითვალეს, დარბაზს თვალი გადაავლეს და რომ შეხედეს, ხელის ამწევი აღარავინ გამოჩნდა, ჩაქუჩს მძლავრად დასცხეს, თან დაიძახეს — გაყიდულია. აი, ასე გადაიხადა ვიღაც კოლექციონერმა ერთ ოფლიან მაისურაში თავში ნახსენები რაოდენობის გირვანქა, რაც დაახლოებით 225 ათასი დოლარია.

მაშინ, როცა არსებობს სახელმწიფო, რომელსაც უშიშროებისა და საჰაერო თავდაცვისთვის ვერ შეუგროვებია ამდენი თანხა (თუმცა ვინც ვერ შეაგროვა, თავის თავს დააბრალოს), ვინც აგროვებს, უფლება აქვს, თუნდაც გამონაცვალ საცვალში გადაიხადოს ორი ამდენი.

ისე, იმ კაცმა იმიტომ გაიღო ამდენი ფული ერთ მაისურაში, რომ ის უბრალო არ გახლდათ და პელეს მესამედ მსოფლიოს ჩემპიონად გახდომის დღეს ეცვა, თორემ არამც და არამც არ მოტყუებულა და სხვა დროს უბრალო, თუნდაც ახალ მაისურაში, ალბათ, 200 გირვანქაზე მეტი არ გადაუხდია. 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში პელეს ნაცვამი ზედა სამოსი კი ახლა ყველაზე ძვირია აქამდე შეკერილ ყველა მაისურას შორის.

საერთოდ ვინ რაში რას და რამდენს აძლევს, მისივე პირადი საქმეა, ჩვენ კი დაახლოებით თვენახევრის წინანდელი გავიხსენოთ, რაც ამ ამბავთან პირდაპირ კავშირშია.



ყველაზე ძვირი მაისურა მსოფლიოში

როცა პირველად გაცხადდა „კრისტი" პელეს მაისურას ჰყიდისო, 1970 წელს ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა მარიო ზაგალომ ერთი ამბავი ატეხა და ჟურნალისტებს უთხრა, პელეს ხსენებული ფინალური მატჩის პირველ ტაიმში სხვა მაისურა ეცვა, მეორეში კი სხვა, ერთი მე მაჩუქა და დღემდე ვინახავ, ხოლო მეორე ჩემს თანაშემწე ადმილდო შიროლსო. შიროლი ახლა ვერ დაგვემოწმება, რამეთუ გარდაცვლილია, მაგრამ მისი ვაჟი თურმე თვალის ჩინივით ინახავს მამის ნაანდერძებ მეფის კვართს. ხოლო „კრისტი" რას ყიდის ჩემთვის უცნობიაო, დასძინა ზაგალომ.

„კრისტი" რა მაისურასაც ჰყიდიდა და რომელიც გაიყიდა, იმაზე ითქვა, ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ პელემ, როგორც მიღებულია, იტალიელ როსატოს გაუცვალა, მერე 22 წელიწადი გავიდა და მაისურა როგორღაც „კრისტის" დახლზე მოხვდაო.

ამ დავაში ყველაზე კომპეტენტურ ადამიანს — პელეს კი აღარ ახსოვს, ვის აჩუქა მაისურა. მეხსიერებაში მხოლოდ ის ჩამრჩა, რომ ფინალის შემდეგ გახარებული ხალხი ზურგზე მახტებოდა. აბა, მაშინ მაისურა ვის ედარდებოდაო — თქვა ფეხბურთის მეფემ. და მართლაც რა იცოდა მან, თუ რა ძვირფასი ჩაქუჩი დაჰკრავდა იმ ამბიდან 22 წლის შემდეგ ლონდონში, თორემ ბოლო-ბოლო თავად შეინახავდა მისსავე ნაცვამს.

ხოლო ზაგალოს პრესაში ნალაპარაკევი აუცილებლად მიაღწევდა იმ კოლექციონერის ყურამდე, რომელიც თანახმაა ერთ მაისურაში მეოთხედი მილიონი დოლარი გადაიხადოს. თუმცა ნუღარ ჩავეძიებით, ალბათ, თავისივე წყაროებით გამოიძია, რომ ის სწორედ „ნაღდ" მაისურას ყიდულობდა. ზემოთ ვთქვით, რომ უფლება და ნება მისია.

საერთოდ კი, „კრისტიმ" 1989 წლის შემდეგ მიჰყო ხელი ფეხბურთთან დაკავშირებული რელიქვიების და ექსპონატების გაყიდვას. დღეის ჩათვლით სულ 277 სხვადასხვა მედალი, მაისურა, ბუცი, მატჩის პროგრამა და სხვადასხვა სუვენირი გაიყიდა, რომელთა საერთო ფასი 456 ათასი გირვანქაა.

„საუცხოოა, მომავალში ახალ-ახალი მსოფლიოს ჩემპიონატი თუ საერთაშორისო მატჩი ჩატარდება, გასაყიდ ნივთების რაოდენობაც გაიზრდება, ძველ ნივთებს კი კიდევ უფრო მეტად დაე[...] დება ფასი" — ხელებს იფშვნეტს „კრისტის" აუქციონერი და საფეხბურთო ნიმუშების მომავალი აუქციონის მოწყობას 24 სექტემბერს გეგმავს.

პელეს მაისურასთან ერთად იმ დღე[...] გაყიდულ ორ გამორჩეულ ექსპონატსაც წარმოგიდგენთ:

— 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიო[...]ნის, ინგლისის ნაკრების და „ევერტო[...]ნის" მცველ რეი უილსონის ოქრო[...] მედალი 80 ათას გირვანქად გაიყიდა[...]

— 1963 წლის თასების მფლობე[...]ლთა თასის მომგები „ტოტენჰემის" ჩ[...] დილოირლანდიელი ნახევარმცველი[...] დენი ბლინჩფლოუერის მედალი 10 ათა[...] გირვანქად შეიძინა მავანმა ფანმა, რო[...]მელიც ბლინჩფლოუერის თამაშს თურ[...]მე ოთხი წლის ასაკიდან ადევნებდ[...] თვალს. საინტერესოა, რომ ეს მედალ[...] ადრეულ წლებში დაიკარგა და 19[...] წელს ვიღაცამ შემთხვევით იპოვა [...] ლონდონის ერთ-ერთ საიუველირო მ[...]ღაზიაში ჩააბარა.

**ნიკა ფუბლა[...]**

# იტალია

პაპუნა კედია



კრისტიან ვიერის, სტეფან დალმას და ალვარო რეკობას მწვრთნელი გამოწურვას უპირებს

# ნაკალ და დაგეკარგები

## იუვენტუსი ტურინს ეყრება

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| რომა | - | ბოლონია |
| უდინეზე | - | ბრეშა |
| პერუჯა | - | კიევო |
| ფიორენტინა | - | ინტერი |
| იუვენტუსი | - | ლაციო |
| მილანი | - | პარმა |
| ატალანტა | - | პიაჩენცა |
| ვერონა | - | ტორინო |
| ლეჩე | - | ვენეცია |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 28 | 17 | 8 | 3 | 51:25 | 59 |
| რომა | 28 | 15 | 11 | 2 | 44:20 | 56 |
| იუვენტუსი | 28 | 15 | 10 | 3 | 50:22 | 55 |
| ბოლონია | 28 | 14 | 6 | 8 | 35:30 | 48 |
| კიევო | 28 | 12 | 9 | 7 | 47:39 | 45 |
| მილანი | 28 | 11 | 11 | 6 | 38:29 | 44 |
| ლაციო | 28 | 10 | 10 | 8 | 38:28 | 40 |
| ტორინო | 28 | 9 | 9 | 10 | 32:34 | 36 |
| პერუჯა | 28 | 10 | 6 | 12 | 30:38 | 36 |
| ატალანტა | 28 | 10 | 6 | 12 | 33:43 | 36 |
| ვერონა | 28 | 10 | 5 | 13 | 35:42 | 35 |
| პარმა | 28 | 9 | 7 | 12 | 34:38 | 34 |
| ბრეშა | 28 | 7 | 12 | 9 | 34:42 | 33 |
| პიაჩენცა | 28 | 8 | 8 | 12 | 39:37 | 32 |
| უდინეზე | 28 | 8 | 7 | 13 | 35:44 | 31 |
| ლეჩე | 28 | 5 | 9 | 14 | 30:45 | 24 |
| ფიორენტინა | 28 | 5 | 7 | 16 | 28:51 | 22 |
| ვენეცია | 28 | 3 | 7 | 18 | 25:51 | 16 |

**დღეს** ყურადღების ცენტრში უფრო „რომა“ ...ა „იუვენტუსია“. მიზეზიც გასაგებია: სკუდე-...ოს ამ ორ მაძიებელს გამარჯვება სჭირდება. ...ინააღმდეგ შემთხვევაში „ინტერი“ მეტისმეტად ...ახიფათო უპირატესობას მოიპოვებს და ძალიან ...ელად დასაწევი გახდება. ეს ყველაფერი კი ...ტომ, რომ ერთი კვირის წინ „ინტერმა“ „სან ...როზე“ „რომას“ 3:1 მოუგო, ხოლო „იუვენტუ-...მა“ თავს ნება მისცა პარმაში 0:1 წაეგო.

...არადა, სეზონის დამთავრებამდე, დღევანდელის ...თვლით, ექვსი ტურიღა რჩება.

...დღეს საქმე ასეა: „ინტერი“ ფლორენციას მიემგ-...ვრება, სადაც ფაქტობრივად გავარდნილ „ფიორე-...ინას“ უნდა შეეჯიბროს, ეს შეხვედრა მილანელ-...თვის, საყოველთაოდ, გასეირნებად არის მიჩნეუ-..., მართალია, დიპლომატიურობა გვავალდებულებს ...ვამატოთ, რომ ზოგადად ფეხბურთში, კერძოდ კი ...ალიურ კალჩოში გასეირნებები არ არსებობს, მა-...ამ თუ გუნდებს შორის ძალთა თანაფარდობას ...ითვალისწინებთ და ამას მოტივაციის ფაქტო-...აც დავამატებთ („ინტერი“ უკვე ჩემპიონის ტი-...ლის სურნელს გრძნობს, „ფიორენტინაში“ კი ...ნააშლილობა გრძელდება), გამარჯვების მეტი შა-..., ბუნებრივია, „შავ-ლურჯებს“ რჩებათ.

...ი, „ინტერის“ დაწინაურებით შეწუხებულ კონკურენტებს კი საქმე სხვანაირად აქვთ. კერძოდ, „რომა“ მეოთხე ადგილზე მყოფ „ბოლონიას“ მასპინძლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან რთული შეხვედრა ელის. თავად განსაჯეთ, ბოლონიელები მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში აპირებენ თამაშს ანუ მათთვის დარჩენილ ტურებში ყველა ქულა ძვირფასია და არავის შეეპუებიან. გარდა ამისა, წინა ტურში, „ინტერთან“ შეხვედრაში ჩადენილ დანაშაულთათვის, ჩემპიონს ოთხი ფეხბურთელი ჰყავს დისკვალიფიცირებული — ჯონათან ძებინა ურუგვაელი ალვარო რეკობას სახეში ხელის დარტყმისთვის სამი თამაშით არის დასჯილი, ხოლო მარკო დელვეკიო, მარკოს ასუნსაო და კაფუ თითო შეხვედრიან სასჯელს იხდიან.

კეთილი, დისკვალიფიკაცია დისკვალიფიკაციად და არის კიდევ ერთი დიდი პრობლემა: „რომას“ სული და გული, ფრანჩესკო ტოტი, ოთხშაბათს, ინგლისში, სანაკრებო შეხვედრაში დაშავდა და კაცმა არ იცს, შეძლებს თამაშს თუ ვერა.

„იუვენტუსი“ „ლაციოს“ მასპინძლობს, მაგრამ, როგორც ჩანს, „ბებერი ქალბატონისთვის“ მასპინძლობა ერთობ არაფრისმომცემი ცნება ხდება. მხედველობაში კი ის გვაქვს, რომ ამასწინათ ტურინულმა კლუბმა საკუთარ ქომაგებს ოფიციალურად მიმართა, თუ ჩვენს მხარდაჭერას არ გააგრძელებთ, საშინაო შეხვედრების გამართვას სხვადასხვა ქალაქებში დავიწყებთო. აღსანიშნავია, რომ ამ განცხადების შემდეგ ფეხბურთელები და ქომაგები დღეს პირველად შეხვდებიან ერთმანეთს და არ არის გამორიცხული შეხვედრა ფრიად უსიამოვნოც გამოდგეს.

ერთი სიტყვით, როგორც მოგახსენეთ, პირველობის დასრულებამდე ექვსი ტური რჩება და ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატად „ინტერი“ ჩანს — გუნდი, რომელიც ბოლოს, 1988-89 წლების სეზონში, იტალიის ნაკრების დღევანდელმა თავკაცმა, ჯოვანი ტრაპატონიმ მიიყვანა ტიტულამდე. მილანელთა ახლანდელი მწვრთნელი, არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი აცხადებს, რომ ყველაზე მეტად იმ ეიფორიულ განწყობას უფრთხის, წინა კვირას „რომას“ დამარცხების შემდეგ რომ შენიშნა თავის მოთამაშეებს და ყველა ღონეს ხმარობს მათი ყურადღება ისევ მოედანს, ბურთს და ქულების დაგროვებას რომ დაუბრუნოს.

„ახლა ვცდი, მათგან მეტი გამოვწურო“ — თქვა კუპერმა.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, „ინტერი“ ფლორენციაში მიდის, იქაურ გულშემატკივარს კი ისე მობეზრდა საყვარელ კლუბში შექმნილი ფინანსური კრიზისი და ამის გამო წაგებული თამაშები, რომ „ინტერთან“ შეხვედრის ბოიკოტირებას ფიქრობს, მართლაც, როგორი გასაძლებია, ერთი პრეზიდენტი გაიქცა, ხოლო მეორე, ახალი, უგო პოჯი, აცხადებს, რომ შემდეგ კვირაში, კლუბის პატრონთა თათბირზე გადადგომის შესახებ გააკეთებს განცხადებას.

ახლა დაბლა ჩავიხედოთ: „ვენეცია“ „ლეჩეს“ სტუმრობს. ორივე გუნდი გაჭირვებულია, მაგრამ უფრო სავარაუდო ვენეციელთა დამარცხებაა და ისინი მომავალი სეზონიდან, სენსაცია იქნება, სერია B-ში თუ არ გამოვლენ.

# ინგლისი

დავით თავართქილაძე

# შირ-შარშლი

## მალკოლმ კრისტი — ორთავ, ცხვარის სინათლევ!

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| არსენალი | - | სანდერლენდი |
| ბოლტონი | - | ასტონ ვილა |
| ჩელსი | - | დერბი ქაუნთი |
| ლიდსი | - | მანჩესტერი |
| ლესტერი | - | ბლექბერნი |
| ლივერპული | - | ჩარლტონი |
| მიდლსბრო | - | ტოტენჰემი |
| საუთჰემპტონი | - | ფულემი |
| ვესტ ჰემი | - | იფსვიჩი |
| გუშინ | | |
| ნიუკასლი | - | ევერტონი |

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდზე და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 32 | 19 | 8 | 5 | 53:26 | 65 |
| მანჩესტერი | 32 | 20 | 4 | 8 | 78:41 | 64 |
| არსენალი | 30 | 18 | 9 | 3 | 60:32 | 63 |
| ნიუკასლი | 30 | 17 | 5 | 8 | 54:40 | 56 |
| ლიდსი | 31 | 14 | 12 | 5 | 44:30 | 54 |
| ჩელსი | 31 | 14 | 11 | 6 | 58:31 | 53 |
| ასტონ ვილა | 31 | 10 | 12 | 9 | 35:36 | 42 |
| ჩარლტონი | 31 | 10 | 11 | 10 | 35:36 | 41 |
| ტოტენჰემი | 31 | 12 | 5 | 14 | 41:45 | 41 |
| მიდლსბრო | 31 | 10 | 8 | 13 | 30:38 | 38 |
| საუთჰემპტონი | 31 | 10 | 7 | 14 | 38:46 | 37 |
| ვესტ ჰემი | 30 | 10 | 7 | 13 | 35:49 | 37 |
| ევერტონი | 31 | 9 | 9 | 13 | 33:39 | 36 |
| ფულემი | 31 | 8 | 11 | 12 | 30:38 | 35 |
| სანდერლენდი | 31 | 9 | 8 | 14 | 24:38 | 35 |
| ბოლტონი | 31 | 7 | 12 | 12 | 34:48 | 33 |
| ბლექბერნი | 30 | 8 | 8 | 14 | 39:41 | 32 |
| იფსვიჩი | 31 | 8 | 8 | 15 | 38:49 | 32 |
| დერბი ქაუნთი | 31 | 8 | 5 | 18 | 29:51 | 29 |
| ლესტერი | 31 | 3 | 10 | 18 | 21:55 | 19 |

**„ელანდ როუდს“** იტალიამოვლილი ინგლისის მენაკრებე ფეხბურთელები დაუბრუნდებიან — დღეს დევიდ ოლირის „ბავშვები“ წინა ტურში „ოლდ ტრეფორდზე“ შერცხვენილ მანჩესტერელებს ანუ იორკშირი ლანკაშირს დაუხვდება. ცხადია, კუთხური დაპირისპირება მოსატანი არ არის, მაგრამ ეგ კია, რომ ორივე გუნდს საკმაოდ სერიოზული მოტივაცია აქვს. „ლიდსი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, „მანჩესტერი“ პრემიერლიგის მორიგი ტიტულისთვის.

დევიდ ოლირის გუნდმა ბოლო სამი თამაში მოიგო და ამ სერიის სულისჩამდგმელი რობი ფაულერი გახლდათ — მან ბოლო ოთხ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. არის ალბათობა, რომ სამმა ტრავმირებულმა ლიდსელმა დღეს ითამაშოს — რიო ფერდინანდმა, ოლივიე დაკურმა და ერიკ ბაკემ.

სერ ალექსსაც ეიმედება, რომ ვინძლო როი კინს, უესლი ბრაუნსა და ოლე გუნარ სოლსკიაერს დაიხმარს. საეჭვოა პოლ სქოულზის, რონი იონსენის და რუუდ ვან ნისტელროის თამაში.

უნდა მოიგოს „არსენალმაო“, ვარაუდობენ ალბიონზე, „მეთოფეთა“ დაცვას მარტინ კიოუნი უბრუნდება და შესაძლოა ეშლი კოულმაც ითამაშოს. რეი პარლოუსა და რობერ პირესის გამოჯანმრთელებას კი ჯერ კარგი პირი არ უჩანს. მატჩის პროგნოზი მაინც ერთობ საჩოთიროა, რადგან „სანდერლენდი“ გასავარდნ ზონასთან ახლოსაა და მიმდინარე პრემიერლიგის ბოლო მატჩებსაც სრული კონცენტრაციით ჩაატარებს.

კაი ბრძოლას გვპირდება „სტემფორდ ბრიჯი“. წინა ტურში „ლივერპულთან“ ბოლო წამებზე დამარცხების მერე გაგულისებული „ჩელსი“ ბასრადაა ალესილი. კლაუდიო რანიერის გუნდს ჰოლანდიელი მარცხენაფლანგელი ბუდევინ ზენდენი დაუბრუნდება. ჯონ გრეგორის „დერბის“ კი უკანდასახევი გზა მართლაც რომ მოჭრილი აქვს. „ცხვრები“ თუ არ გაცხარდნენ, მალე გედის სიმღერასაც გამორჩებიან. გრეგორი იმედიანადაა, ყველანაირად ცდილობს, გუნდს საბრძოლო განწყობა შეუქმნას. მართალია, ბრანკო შტრუპარმა წინა წაგებულ მატჩში „ვილას“ ორი გოლი გაუტანა, მაგრამ „დერბიში“ მთავარი სატყვა მაინც უფრო სხვა ფორვარდს ეკუთვნის — ყოჩაღი მალკოლმ კრისტი დღეს ან ითამაშებს ან არა, მას ორთავა კუნთი აწუხებს.

ლიდერზეც ვთქვათ. „ლივერპულს“ ლამის ჩვევად ექცა, ქულები ისეთ მეტოქესთან დაკარგოს, რომელიც საჩემპიონო რბოლაში მისი უშუალო მეტოქე არ არის. მერსისაიდელებს დღეს კიდევ ერთ საშუალოსთან მოუწევთ ძიძგილაობა. ეს „ჩარლტონ ატლეტიკია“. ლივერპულელებს რომ სტივენ ჯერარდი არ ეყოლებათ, აღრეც გაუწყეთ. სამაგიეროდ, შანსია, მუხლს ტრავმის შემდეგ ჩეხი პატრიკ ბერგერი დაუბრუნდეს „ენფილდს“.

საინტერესოა, ამჯერად რას მოიმოქმედებს წინა ტურის გმირი და „მანჩესტერის“ მგვემელი „მიდლსბრო“. სტივ მაკლარენის გუნდს ზედმეტი ყვითლების გამო იტალიელი მცველი ჯანლუკა ფესტა მოაკლდება.

„ტოტენჰემში“ კი მატებაა — ტრავმების შემდეგ ნახევარმცველი სტივენ კლემენსი და შემტევი ლეს ფერდინანდი სამატჩო განაცხადში უნდა იყვნენ.

ჟან ტიგანას გაწვრთნილ „ფულემს“ ბოლო ექვსი პრემიერლიგური მატჩია, რაც ქულა ვერ აულია. „საუთჰემპტონს“ კი ერთი „სამქულიანიც“ ეყოფა, თავი რომ დაიარხეინოს, თუმც მასპინძლებს სამი წამყვანი მოთამაშე არ ეყოლებათ — ჯეიმს ბეტი, მეტ ლე ტისიე და აუგუსტინ დელგადო.

გადარჩენისთვის იშმაგებს „იფსვიჩიც“, თუმც მას ჟერმან რაიტი და სიქსტო პერალტა, ალბათ, ვერ შეეშველებიან. „ვესტ ჰემს“ კი ყველანი ჯანზე ჰყავს.

ასევე პრემიერლიგაში დარჩენისთვის მოლვაწე „ბლექბერნი“ განწირულ „ლესტერს“ ესტუმრება. ბლექბერნელებს დისკვალიფიცირებული ფორვარდი ენდი კოული არ ეყოლებათ.

მშვიდად ყოფნის უფლება არც „ბოლტონს“ აქვს. მას გუნდის პირველი მეკარე, ჯუსი იასკელაინენი მოაკლდება, რომელსაც ყვითელი ბარათები დაუგროვდა. „ვილას“ კი შესაძლოა კოლუმბიელი შემტევი ხუან პაბლო ანხელი დაუბრუნდეს.



პატრიკ ბერგერი „ლივერპულს“, ვინძლო, დღეს დაუბრუნდეს

# გერმანია

სოლომონ გულისაშვილი



# საინტერესოა! ზე რობერტო ზეკაცია!

**დღეს ლიდერი** „ლევერკუზენი" „ფრიც ვალტერ შტადიონზე" „კაიზერსლაუტერნს" ეწვევა. ცოტა ხნის წინ ანდრეას ბრემეს „წითელი ეშმაკუნები" ჯერაც საჩემპიონო ფერხულში ჩაბმულიყვნენ და ამბიციის უმაღლობასაც არ უჩიოდნენ, ბაიერნელთა მეკარე ოლივერ კანი ამტკიცებდა კიდეც, თუ ვინმე პირველობაში შეგვეცილება, „ლაუტერნი" იქნებაო, მაგრამ ბოლო დროს „წითლებმა" აშკარად მოუკლეს და ახლა მხოლოდ უეფას თასის საგზურისთვის თუ იბრძოლებენ. თუმცა ბრძოლა ბრძოლაა და ბრემეს გუნდი რომ იოლად არავის არაფერს დაუთმობს, ესეც ნაღდია. მით უმეტეს, რომ წინა ტურში „ეშმაკუნები" გადარეულ „შალკესთან" გელზენკირხენში 0:3 შერცხვნენ და ახლა საკუთარი მაყურებლის წინაშე გაბზარულის გამთელებას შეეცდებიან.

ლევერკუზენელთა მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი კი ფესვებს უბრუნდება. თავის დროზე „ტოპი" ლაუტერნელი ქომაგების კერპი იყო, ამ კლუბის მაისურით ბუნდესლიგაში 204 მატჩი ჩაატარა და 108 გოლი გაიტანა: „ძალიან მიხარია იქ დაბრუნება და ის ხმაურიც მომენატრა, მათ სტადიონზე რომ ისმის. ერთი სული მაქვს, ძველ მეგობრებს როდის შევხვდები. თუმცა ეს ნოსტალგია მატჩთან არაფერ შუაშია. ჩემი ფეხბურთელები ბოლომდე დაიხარჯებიან და რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავიმარჯვოთ" — ამბობს ტოპმიოლერი.

სტუმრებს დისკვალიფიცირებული ზე რობერტო და ილდირეი ბაშთურქი არ ეყოლებათ, მაგრამ ამ ძირითადი ნახევარმცველების არყოფნა მწვრთნელს არ აწუხებს: „შემადგენლობის ისეთი ვარიანტი მოვიფიქრე, მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი რომ გამოდგება — დასძენს „ტოპი" — სხვა მხრივ კი, ეს ტური „დიდი ხუთეულისთვის", შესაძლოა, გადამწყვეტიც იყოს, ვფიქრობ, 72 ქულის მომგროვებელი გუნდი წლეულს ჩემპიონი გახდება."

ზე რობერტო ვახსენეთ და ამ დღეებში, ჟურნალ „კიკერთან" ინტერვიუში, მიუნხენის „ბაიერნის" თავკაცობამ ბრაზილიელის გადაბირების სურვილი გამოთქვა: „ძალიან საინტერესო ფეხბურთელია — განაცხადა ოტმარ ჰიცფელდმა — მასთან მოლაპარაკება ჯერ არ დაგვიწყია და რომც დავიწყოთ, ამას უხმაუროდ, ზედმეტი პომპეზურობის გარეშე გავაკეთებთ." 27 წლის ზე რობერტოს „ლევერკუზენთან" კონტრაქტი მომავალ სეზონში უმთავრდება — თუ ბრაზილიელს გაყიდიან, აუცილებლად ხელში უნდა ჩავიგდოთო — არ მალავს ბაიერნელთა პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი.

„ბაიერნი", რომელმაც საზამთრო ჩავარდნის შემდეგ, ბოლო ექვს ტურში ხუთი თამაში მოიგო და ლიდერს ხუთი ქულით ჩამორჩება, დღეს დაშავებული ვილი სანიოლისა და დასჯილი სამუელ კუფურის გარეშე ითამაშებს ჰამბურგში. სამაგიეროდ, დაუბრუნდება ბუნდესნაკრების მოშუშებული ნახევარმცველი მეჰმეთ შოლი და პერუელი შემტევი კლაუდიო პიზაროც. მასპინძლებს კი, რომელთაც მრისხანე „ბაიერნისთვის" შინ ბოლოს 1996 წელს მოუგიათ, ტრავმირებული ირანელი თავდამსხმელი მეჰდი მაჰდავიკია და მცველი რაფაელ ვიკი არ ეყოლებათ.

და ისევ „ბაიერნზე". ჩემპიონთა ფრანგმა მცველმა ბიქსენტ ლიზარაზუმ ახლახან განაცხადა, რომ კარიერის დასრულება მიუნხენურ სუპერკლუბში სურს: „ეგებ „ბაიერნს" „რეალივით" მდიდრული იმიჯი არ აქვს, მაგრამ ხელმძღვანელობის საქმისადმი დამოკიდებულება და გუნდის თამაშის სტილი ფრიად ეფექტურია. ალბათ, კარიერას აქვე დავამთავრებ. ხოლო, თუ ვინმეს სურს გაიგოს, რა არის „ბაიერნი", კლუბის საფოსტო ყუთში ჩაიხედოს" — დასძენს 32 წლის ლიზარაზუ, ვისაც ყველა მთავარი ტიტული მოუგია, თუკი მსოფლიოში რამე არსებობს.

ჩვენებურთა „ფრაიბურგი", რომელსაც 26 იანვრის მერე, უკვე ცხრა ტურია აღარ გაუმარჯვია, ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ „კოტბუსს" ეწვევა. წინა ტურში შინ „გლადბახთან" წაგების მერე ფრაიბურგელთა სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, გულშემატკივართა ნაწილი მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს მიმართ უკვე აშკარა გულისწყრომასაც გამოთქვამს, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი ახიმ შტოკერი იმედიანადაა და ფინკეს სრულ [illegible]. არც გაემტყუნება, ფინკე თერთმეტი წელიწადია გუნდს მოძღვრავს, მასთან ერთად [illegible] შიც გადმოსული [illegible] გზურიც მოუპოვებია და ახლაც სხვებზე უკეთ იცის გადარჩენის წამალი.

გუშინდელ „კიკერში" კი საინტერესო სიახლე ამოვიკითხეთ: კობიაშვილი, იაშვილი და ცქიტიშვილი მატჩს ძირითადში დაიწყებენ, ხოლო სათადარიგოთა შორის ზამთარაძის გვარიც წერია. ზაზას მინდორზე გამოჩენა ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ ჩვენთვის მაინც სასიამოვნო ფაქტია.

„ფრაიბურგზე" ერთი ქულითა და ამდენივე ადგილით ზემდგომი „ნიურნბერგი" კი „ვოლფსბურგს" უმასპინძლებს. პირველ წრეში „მგლებმა" („ვოლფსბურგის" მეტსახელია) მოწინააღმდეგე 5:0 დაანგრიეს და ახლა კლაუს აუგენტალერის ბიჭები შურისძიებისთვის ემზადებიან. პირადი ანგარიში რომც არ იყოს, ყოველ ქულას ხომ უკვე ოქროს ფასი დაედო.

**XXIX ტური**

| | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰამბურგი | - | ბაიერნი |
| ნიურნბერგი | - | ვოლფსბურგი |
| გლადბახი | - | ჰერტა |
| კოტბუსი | - | ფრაიბურგი |
| შტუტგარტი | - | დორტმუნდი |
| მიუნხენი | - | ზანქტ პაული |
| ლაუტერნი | - | ლევერკუზენი |
| **ხვალ** | | |
| კიოლნი | - | შალკე |
| ვერდერი | - | ჰანზა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 28 | 18 | 5 | 5 | 67:31 | 59 |
| დორტმუნდი | 28 | 17 | 7 | 4 | 50:23 | 58 |
| ბაიერნი | 28 | 16 | 6 | 6 | 54:20 | 54 |
| შალკე | 28 | 16 | 6 | 6 | 46:27 | 54 |
| ჰერტა | 28 | 15 | 7 | 6 | 53:29 | 52 |
| ლაუტერნი | 28 | 15 | 4 | 9 | 50:41 | 49 |
| ვერდერი | 28 | 13 | 4 | 11 | 39:33 | 43 |
| მიუნხენი | 28 | 12 | 3 | 13 | 41:47 | 39 |
| შტუტგარტი | 28 | 10 | 8 | 10 | 33:33 | 38 |
| ვოლფსბურგი | 28 | 10 | 7 | 11 | 48:41 | 37 |
| ჰამბურგი | 28 | 9 | 8 | 11 | 40:46 | 35 |
| გლადბახი | 28 | 8 | 9 | 11 | 30:40 | 33 |
| ჰანზა | 28 | 8 | 6 | 14 | 28:41 | 30 |
| კოტბუსი | 28 | 8 | 5 | 15 | 28:49 | 29 |
| ნიურნბერგი | 28 | 7 | 4 | 17 | 25:50 | 25 |
| ფრაიბურგი | 28 | 5 | 9 | 14 | 28:49 | 24 |
| ზანქტ პაული | 28 | 4 | 9 | 15 | 29:53 | 21 |
| კიოლნი | 28 | 4 | 7 | 17 | 17:53 | 19 |

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია

**XXXII ტური**

| | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სევილია | - | რეალი |
| სოსიედადი | - | დეპორტივო |
| სელტა | - | ალავესი |
| ბარსელონა | - | ლას პალმასი |
| ტენერიფე | - | ვალენსია |
| **ხვალ** | | |
| ვილიარეალი | - | ბილბაო |
| სარაგოსა | - | ვალიადოლიდი |
| რაიო ვალეკანო | - | ბეტისი |
| ოსასუნა | - | მალაგა |
| მალიორკა | - | ესპანიოლი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 31 | 16 | 8 | 7 | 60:33 | 56 |
| ვალენსია | 31 | 15 | 11 | 5 | 38:25 | 56 |
| დეპორტივო | 31 | 16 | 6 | 9 | 48:36 | 54 |
| სელტა | 31 | 13 | 12 | 6 | 56:37 | 51 |
| ბეტისი | 31 | 13 | 12 | 6 | 35:26 | 51 |
| ბარსელონა | 31 | 14 | 8 | 9 | 51:30 | 50 |
| ბილბაო | 31 | 13 | 9 | 9 | 44:49 | 48 |
| ალავესი | 31 | 14 | 3 | 14 | 33:33 | 45 |
| მალაგა | 31 | 10 | 12 | 9 | 35:37 | 42 |
| ესპანიოლი | 31 | 11 | 8 | 12 | 38:44 | 41 |
| ვალიადოლიდი | 31 | 11 | 7 | 13 | 36:50 | 40 |
| სევილია | 31 | 10 | 9 | 12 | 43:36 | 39 |
| სოსიედადი | 31 | 10 | 6 | 15 | 38:43 | 36 |
| ლას პალმასი | 31 | 9 | 9 | 13 | 34:40 | 36 |
| მალიორკა | 31 | 9 | 7 | 15 | 34:41 | 34 |
| ვილიარეალი | 31 | 8 | 10 | 13 | 34:41 | 34 |
| ოსასუნა | 31 | 8 | 10 | 13 | 29:41 | 34 |
| რაიო ვალეკანო | 31 | 8 | 9 | 14 | 36:47 | 33 |
| სარაგოსა | 31 | 9 | 6 | 16 | 29:45 | 33 |
| ტენერიფე | 31 | 8 | 8 | 15 | 25:42 | 32 |

# ბედის ირონია

## მე მოვიყვანე, მევე გავანადგურებ

**დღეს** სან სებასტიანში „დეპორტივო" იქაურ „რეალ სოსიედადს" ხვდება და თუ მოიგო... აქ ცხრილს ჩავხედოთ და აღვნიშნოთ, რომ „რეალისა" და „ვალენსიას" წყვილად დამარცხების შემთხვევაში ლაკორუნიელები ლიდერად იქცევიან. „რეალისა" და „ვალენსიას" წყვილად დამარცხება კი სათქმელად იოლია, მაგრამ შესრულებისა რა მოგახსენოთ, ჰოდა, „დეპორტივოს" გაპირველების შანსიც ნაკლებად აქვს, თუმც მედალს ხომ ორი მხარე აქვს: „ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ეს თამაში შესაძლოა გადამწყვეტიც იყოს — თქვა გალისიელთა მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ — შევახსენე, რომ მომდევნო ორი შეხვედრა შინ გვაქვს, მოგება გვმართებს და „სოსიედადის" ჩათვლით სამივე მატჩს თუ მოვიგებთ, პირველ ადგილზე გადასვლის ჩინებული შანსი გვიჩნდება.

მაგრამ არც იმის ილუზია მაქვს, რომ სან სებასტიანში იოლი გასეირნება გველის. ქომაგთა მხარდაჭერით გამხნევებული „სოსიედადი" თავის „ანოეტაზე" ძალიან ძლიერია".

აქვე შევნიშნოთ, რომ ძლიერია თუ არა, „სოსიედადი" ცხრილის ქვედა ნაწილში ბოგინობს, ხოლო „დეპორტივოს" ბოლო ოთხი გასვლითი მატჩი მოგებული აქვს.

დღეს გალისიელებს არ ეყოლებათ დიეგო ტრისტანი და ლიონელ სკალონი, რომელთაც თითო მატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვთ მოსახდელი. ამათი შეცვლა ჰოლანდიელ როი მაკაისა და ექტორს მოუხდებათ, ასევე დაბრუნდა ვეტერანი ბრაზილიელი მაურო სილვა.

ბასკურმა გუნდმა კი, რაც ჯონ ტოშაკი რობერტო ოლაბემ შეცვალა, ორი თამაში მოიგო და გასავარდნთა ზონას თავი დააღწია, თუმც იმ ორ თამაშში „დეპორტივოს" დონის მეტოქე არ ჰყოლია. „თამამად ვაცხადებ, რომ ამჟამად „დეპორტივო" ევროპის საუკეთესო გუნდია, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით" — თქვა ოლაბემ.

„ბარსელონა" დისკვალიფიცირებულ აბელარდოს გარეშე დაუხვდება „ლას პალმასს", სამაგიეროდ, რივალდოს ტრავმა მოუშუშებია და ეგებ ითამაშოს კიდეც. ხოლო რაოდენ მნიშვნელოვანია კატალონიელთათვის სამი ქულა, ვინძლო, ახსნა არ სჭირდება.

„ბილბაოს" მიწასთან გასწორების მერე, ზედიზედ სამი მატჩის მომგები „სელტა" მეორე ბასკურ გუნდს, „ალავესს" გაეჯიბრება, ამჯერად საკუთარ მოედანზე და ვიტორიელთა ბოლოდროინდელ არეულ თამაშს თუ გავითვალისწინებთ, ფავორიტები, ცხადია, მასპინძლები არიან.

ლიდერი „რეალი" კვლავაც უფიგუოდ ჩადის სევილიაში, სადაც მასპინძლებს დედაქალაქელთათვის აგერ ათი წელია, ველარ მოუგიათ და არც ბოლო ოთხ ტურში უმარჯვიათ. მათ დისკვალიფიცირებული მექსიკელი ხერარდო ტორადოც დააკლდებათ, ხოლო „რეალში" ლუიშ ფიგუს, როგორც დამკვიდრდა, სანტიაგო სოლარი შეცვლის.

„ტენერიფე" რომ პრიმერადივიზიონის ბინადარია, ამაში რაფაელ ბენიტესის ხელიც ურევია — კაცისა, რომელიც ახლა „ვალენსიას" წვრთნის და დღეს კუნძულზე ბრუნდება. თითქოს ბედის ირონიაა, ბენიტესმა „ტენერიფე" პრიმერაში გადმოიყვანა და ახლა იმას უნდა ეცადოს, დაამარცხოს და ისევ სეგუნდაში დააბრუნოს.

მსგავსი ამბავი მოხდება მადრიდშიც, სადაც ხუანდე რამოსი „რეალ ბეტისს" ჩაუძღვება ყოფილი კლუბის, „რაიო ვალეკანოს" წინააღმდეგ სათამაშოდ. ვალეკანოელები ფსკერისკენ კი არიან, მაგრამ ბოლო სამი თამაში არ წაუგიათ, სევილიელებს კი სასჯელმოხდილი დენილსონი დაუბრუნდებათ.

„მალიორკამ" პრიმერაში თავის დასაგულებლად ეგებ უკეთესი შანსი ველარც ნახოს — მასთან „ესპანიოლი" ჩადის, რომელსაც ამ სეზონში სტუმრად ოდენ ერთხელ უმარჯვია და რა გასაკვირია, რომ ბალეარელები თავს არ დაზოგავენ.



რაფაელ ბენიტესი

ბოლოს კი გავიხსენოთ, რომ ამ კვირაში მწვრთნელი გამოიცვალა „სარაგოსამ". ლუის კოსტა მადრიდის „ატლეტიკოსა" და „სევილიას" ყოფილმა დამრიგებელმა მარკოს ალონსომ შეცვალა. „სარაგოსა" „ვალიადოლიდს" მასპინძლობს.

სარბიელი და კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

**გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 18.30 | 002 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.30 | 003 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 18.30 | 004 | კოტბუსი-ფრაიბურგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.30 | 005 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 18.30 | 006 | მიუნხენი-სტ. პაული | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | კიოლნი-შალკე | 4,0 | 3,4 | 1,7 |
| 20.30 | 009 | ვერდერი-ჰანზა | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XXIX ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | ჰანოვერი-შვაინფურტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 015 | ჰანოვერი-შვაინფურტი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 016 | კარლსრუე-ბაბელსბერგი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 017 | ალენი-როიტლინგენი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 18.00 | 018 | უნტერჰახინგი-არმინია | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 019 | ობერჰაუზენი-ვალდჰოფი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**1 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 020 | ბოხუმი-აინტრახტი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXVII ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 024 | ბრაუნშვაიგი-ფორტუნა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 025 | ბრაუნშვაიგი-ფორტუნა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 17.00 | 026 | აუე-დრეზდენი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 17.00 | 027 | ვატენშაიდი-ქემნიცი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 17.00 | 030 | ფერლი-ოსნაბრიუკი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 17.00 | 028 | ლევერკუზენი (მ)-ურდინგენი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 029 | დიუსელდორფი-მაგდებურგი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXVII ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 035 | ანსბახი-ბურგჰაუზენი | 3,6 | 3,3 | 1,85 |
| 17.30 | 036 | ზიგენი-კიკერსი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.00 | 037 | ოფენბახი-ერფურტი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.00 | 038 | ელვერსბერგი-ბაიერნი (მ) | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 18.00 | 039 | ტრიერი-რეგენსბურგი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 18.00 | 040 | მანჰაიმი-კაიზერსლაუტერნი (მ) | 1,7 | 3,3 | 4,2 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 042 | ლიდსი-მანჩესტერი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 19.00 | 043 | არსენალი-სანდერლენდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 044 | არსენალი-სანდერლენდი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 045 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 046 | ჩელსი-დერბი | 1,35 | 4,2 | 7,0 |
| | 047 | ჩელსი-დერბი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 048 | ლესტერი-ბლეკბერნი | 2,9 | 3,2 | 2,1 |
| 19.00 | 049 | ლივერპული-ჩარლტონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 050 | ლივერპული-ჩარლტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 051 | საუთჰემპტონი-ფულემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 052 | ვესტ ჰემი-იფსვიჩი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 21.35 | 053 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XXXXII ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 066 | ბირმინგემი-გრიმსბი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 067 | ბირმინგემი-გრიმსბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 068 | ბარნსლი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 069 | ქრიუ-შეფილდი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 070 | სიტი-ნოტინგემი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 071 | სიტი-ნოტინგემი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 072 | მილუოლი-სტოკპორტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 073 | მილუოლი-სტოკპორტი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 074 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 075 | პრესტონი-პორტსმუთი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 076 | უოლსოლი-ჯილინგემი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 19.00 | 077 | ვესტ ბრომვიჩი-ბარნსლი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 078 | უიმბლდონი-როტერჰემი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**ინგლისი. II დივიზიონი**

**XXXXII ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 092 | ბრენტფორდი-სტოკი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 093 | ბრისტოლი-რედინგი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 094 | ჩესტერფილდი-კარდიფი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 19.00 | 095 | კოლჩესტერი-ბრაიტონი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 19.00 | 096 | ნოტსი-ბორნმუთი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 097 | ოლდემი-კემბრიჯი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 098 | ოლდემი-კემბრიჯი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 099 | პიტერბრო-უიკომბი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 100 | პორტ ვეილი-უიგანი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 101 | სუინდონი-ბლეკპული | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 102 | ტრანმერი-ქუინზ პარკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 103 | რექსემი-ჰადერსფილდი | 3,5 | 3,2 | 1,9 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XXXXII ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 118 | ექსეტერი-ლინკოლნი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 119 | ჰალი-დარლინგტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 120 | კიდერმინსტერი-საუთენდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 121 | მაკლსფილდი-იორკი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 122 | მენსფილდი-რაშდენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 123 | ოქსფორდი-ჰარტლპული | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 124 | პლიმუთი-როვერსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 125 | როჩდეილი-ლეიტონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 126 | სკანთორპი-ჩელტენემი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 127 | შრუსბერი-ტორკი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 128 | სუონსი-ლუტონი | 3,5 | 3,2 | 1,9 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**გადადებული მატჩი**

**1 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 141 | მარსელი-ოსერი | 2,6 | 2,8 | 2,6 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

**გადადებული მატჩები**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 152 | ნანსი-მარტიგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

**1 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 153 | სტრასბური-ისტრი | 1,4 | 3,4 | 7,5 |

**იტალია. სერია „ა". XXIX ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 154 | ატალანტა-პიაჩენცა | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 18.00 | 155 | ფიორენტინა-ინტერი | 6,0 | 3,5 | 1,45 |
| 18.00 | 156 | ლეჩე-ვენეცია | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 18.00 | 157 | მილანი-პარმა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 18.00 | 158 | პერუჯა-კიევო | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 18.00 | 159 | რომა-ბოლონია | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 160 | უდინეზე-ბრეშა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 18.00 | 161 | ვერონა-ტორინო | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.30 | 162 | იუვენტუსი-ლაციო | 1,6 | 3,2 | 5,6 |

**იტალია. სერია „ბ". XXIX ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 163 | ბარი-პისტოიეზე | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 18.00 | 164 | ჩიტადელა-ანკონა | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 18.00 | 165 | კროტონე-ემპოლი | 4,4 | 2,9 | 1,8 |
| 18.00 | 166 | მესინა-კომო | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 18.00 | 167 | მოდენა-ვიჩენცა | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 18.00 | 168 | რეჯინა-კალიარი | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 18.00 | 169 | სალერნიტანა-ჯენოა | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 18.00 | 170 | სამპდორია-ნაპოლი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 18.00 | 171 | სიენა-კოზენცა | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 18.00 | 172 | ტერნანა-პალერმო | 2,2 | 2,7 | 3,4 |

**იტალია. სერია „ც1-ა". XXIX ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 173 | ალძანო-პადოვა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 174 | არეცო-ლუმეზე | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 18.00 | 175 | ჩეზენა-ტრიესტინა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 176 | ლუკო-ლივორნო | 3,2 | 2,7 | 2,2 |
| 18.00 | 177 | მონცა-ტრევიზო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 178 | პიზა-კარარეზე | 1,95 | 2,7 | 4,2 |
| 18.00 | 179 | სპალ-ალბინოლეფე | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 18.00 | 180 | სპეცია-ლუმეცანე | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 18.00 | 181 | ვარეზე-რეჯანა | 1,65 | 2,8 | 5,6 |

**იტალია. სერია „ც1-ბ". XXIX ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 182 | ასკოლი-ფერმანა | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| 18.00 | 184 | დი სანგრო-აკილა | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 185 | ჯულიანოვა-ტარანტო | 2,3 | 2,4 | 3,4 |
| 18.00 | 186 | ნოჩერინა-კატანია | 2,9 | 2,6 | 2,5 |
| 18.00 | 187 | პესკარა-ლანჩანო | 1,7 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 188 | სორა-ლოდიჯანი | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 189 | ტორესი-კიეტი | 1,95 | 2,4 | 4,4 |
| 18.00 | 190 | ვიტერბეზე-პეზარო | 1,6 | 2,8 | 6,5 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

**XXXII ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 191 | სევილია-რეალი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 23.15 | 192 | სოსიედადი-დეპორტივო | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 24.00 | 193 | სელტა-ალავესი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 24.00 | 194 | ბარსელონა-ლას პალმასი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 195 | ბარსელონა-ლას პალმასი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 00.30 | 196 | ტენერიფე-ვალენსია | 3,1 | 3,0 | 2,2 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 197 | ვილიარეალი-ბილბაო | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 198 | სარაგოსა-ვალიადოლიდი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 20.00 | 199 | ოსასუნა-მალაგა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 200 | მალიორკა-ესპანიოლი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 201 | რაიო-ბეტისი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIV ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 202 | ელჩე-ატლეტიკო | 2,8 | 2,7 | 2,4 |
| 20.00 | 203 | ნუმანსია-ოვიედო | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 21.30 | 204 | ალბასეტე-ხიმნასტიკი | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 21.30 | 205 | კორდობა-პოლი ეხიდო | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 21.30 | 206 | ლეგანესი-ფეროლი | 2,3 | 2,7 | 3,0 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 207 | მურსია-ხერესი | 2,8 | 2,6 | 2,6 |
| 20.00 | 208 | ლევანტე-ეიბარი | 2,4 | 2,5 | 3,0 |
| 20.00 | 209 | სალამანკა-ხაენი | 1,75 | 2,8 | 4,4 |
| 20.00 | 210 | უელვა-ბურგოსი | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 20.00 | 211 | სპორტინგი-რასინგი | 2,4 | 2,6 | 3,0 |
| 20.00 | 212 | ბადახოსი-ესტრემადურა | 1,9 | 2,8 | 4,0 |

**პორტუგალია. I ლიგა. XXIX ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 213 | სალგეიროში-ალვერკა | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 20.00 | 214 | ბეირა მარი-ფარენსე | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 20.00 | 215 | სეტუბალი-გიმარაეში | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 20.00 | 216 | ვარზიმი-სანტა კლარა | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.00 | 217 | მარიტიმუ-ფერეირა | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 22.00 | 218 | პორტუ-ჟილ ვისენტე | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 219 | პორტუ-ჟილ ვისენტე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 00.15 | 220 | ბენფიკა-ბრაგა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 221 | ბენფიკა-ბრაგა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 01.00 | 222 | ბოავიშტა-სპორტინგი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**1 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 223 | ბელენენსეში-ლეირია | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**პორტუგალია. II ლიგა. XXIX ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 224 | ოვარენსე-მაია | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 225 | ნავალი-რიუ ავე | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.30 | 226 | აკადემიკა-ავეში | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 227 | ამადორა-პორტიმონენსე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.00 | 228 | ოლივეირენსე-კამპომაიორენსე | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 20.00 | 229 | პენაფიელი-ლეცა | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.00 | 230 | ფელგეირაში-ლამაში | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 231 | მორეირენსე-ესპინიუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 232 | მორეირენსე-ესპინიუ 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 20.00 | 233 | ნასიონალი-შავეში | 1,7 | 3,1 | 4,2 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 234 | ბრედა-გრააფსხაპი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 235 | ბრედა-გრააფსხაპი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 22.30 | 236 | როდა-სპარტა | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.00 | 237 | ალკმაარი-ტვენტე | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 23.00 | 238 | ნაიმეგენი-სიტარდი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 239 | ნაიმეგენი-სიტარდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 240 | ვიტესი-აიაქსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 17.30 | 241 | ფეიენოორდი-ვალვაიკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 242 | ფეიენოორდი-ვალვაიკი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |

**1 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 243 | პსვ-ჰერენვენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.30 | 244 | უტრეხტი-დენ ბოსხი | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. XXIX ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 251 | ვენდამი-ზვოლე | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 22.30 | 252 | კამბური-მაასტრიხტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 22.30 | 253 | იგლსი-ვოლენდამი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 254 | ჰაარლემი-ტელსტარი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**ბელგია. I დივიზიონი. XXIX ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 255 | სტანდარდი-გენკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 256 | სტ. ტრუიდენი-ლუვიე | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 23.00 | 257 | შარლერუა-ლიერსი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 23.00 | 258 | ლომელი-ბრიუგე | 4,0 | 3,4 | 1,7 |
| 23.00 | 259 | გენტი-აალსტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 23.00 | 260 | ბეერსხოტი-ლოკერენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.00 | 261 | ვესტერლო-ბევერენი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 23.00 | 262 | მუსკრონი-ანტვერპენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**1 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 263 | მოლენბეკი-ანდერლეხტი | 4,2 | 3,3 | 1,7 |

**ბელგია. II დივიზიონი გადადებული მატჩი**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 264 | ვირტონი-დაინცე | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**საბერძნეთი. XXII ტური**

**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 265 | ეგალეო-ქსანთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 266 | პანაჰაიკი-არისი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 18.00 | 267 | აკრატიტოსი-ირაკლისი | 2,6 | 3,1 | 2,3 |
| 18.00 | 268 | ოლიმპიაკოსი-ოფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 269 | ოლიმპიაკოსი-ოფი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 270 | აეკ-პანიონიოსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 271 | აეკ-პანიონიოსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 272 | იონიკოსი-ეთნიკოსი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 273 | პაოკ-პანათინაიკოსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**ჩეხეთი. XXIV ტური**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.15 | 274 | იაბლონეცი-სპარტა | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| 20.00 | 275 | დრნოვიცე-ლიბერეცი | 3,5 | 3,1 | 1,95 |
| 20.00 | 281 | სლავია-ბლშანი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 282 | სლავია-ბლშანი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 20.00 | 283 | სიგმა-პრიბრამი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.15 | 276 | ჟიჟკოვი-ოპავა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 277 | ჟიჟკოვი-ოპავა 0:1 | 1,3 | 3,6 | 4,0 |
| 18.00 | 278 | ბანიკი-სინოტი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.30 | 279 | ჰ. კრალოვე-ბრნო | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.30 | 280 | ტეპლიცე-ბოჰემიანსი | 2,0 | 3,1 | 3,2 |

**პოლონეთი. პლეი-ოფი. VIII ტური**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 284 | პოლონია-რუხი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.30 | 285 | ვისლა-ოდრა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 286 | ვისლა-ოდრა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 287 | კატოვიცე-ლეგია | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 21.15 | 288 | ამიკა-პოგონი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**პოლონეთი. პლეი-აუტი. VIII ტური**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 290 | ოსტროვეცი-შლიონსკი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 17.30 | 291 | რადომსკო-ვიძევი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 17.30 | 292 | გურნიკი-სტომილი | 1,7 | 3,1 | 4,2 |

**თურქეთი. XXIX ტური**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 295 | ტრაბზონი-რიზე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 16.30 | 296 | ისთანბული-ქოჯაელი | 1,7 | 3,2 | 4,0 |
| 16.30 | 297 | გაზიანთეფი-ანკარაგუჯუ | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 21.00 | 298 | დიარბაქირი-გალათასარაი | 4,0 | 3,2 | 1,75 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 299 | გოზთეფე-მალათია | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 16.30 | 300 | სამსუნი-იოზგათი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 16.30 | 301 | ბურსა-დენიზლი | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 302 | გენჩლერბირლიგი-ფენერბაჩე | 4,0 | 3,2 | 1,75 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. XXXII ტური**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 306 | კლაიდი-ეარი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 307 | ფოლკირკი-არბროთი | 2,1 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 308 | ინვერნესი-ეიდრი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 309 | პარტიკი-როსი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 310 | სტ. მირენი-რეითი | 1,85 | 3,3 | 3,3 |

**შოტლანდია. II დივიზიონი. XXXII ტური**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 313 | კლაიდბენკი-სტენჰაუსმუირი | 1,65 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 314 | კოუდენბიტი-მორტონი | 2,0 | 3,3 | 3,0 |
| 19.00 | 315 | ფორფარი-სტრანრაერი | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 316 | ჰამილტონი-ალოა | 2,3 | 3,4 | 2,4 |
| 19.00 | 317 | ქუინი-ბერვიკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. XXXII ტური**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 320 | ალბიონი-მონტროუზი | 1,95 | 3,4 | 3,1 |
| 19.00 | 321 | ბრეჩინი-პიტერჰედი | 1,75 | 3,4 | 3,5 |
| 19.00 | 322 | ისტ ფაიფი-ქუინს პარკი | 1,75 | 3,4 | 3,5 |
| 19.00 | 323 | ელგინი-დამბარტონი | 2,5 | 3,4 | 2,3 |
| 19.00 | 324 | სტირლინგი-ისტ სტირლინგი | 2,2 | 3,3 | 2,8 |

**ავსტრია. XXVIII ტური**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 325 | ადმირა-ბრეგენცი | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 18.30 | 326 | კერნტენი-რიდი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.30 | 327 | ზალცბურგი-ტიროლი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 20.15 | 328 | აუსტრია-შტურმი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 329 | გრაცერი-რაპიდი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**შვეიცარია. „ა“ ჯგუფი. VII ტური**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.45 | 330 | იანგ ბოისი-სტ. გალენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 331 | გრასჰოპერი-სიონი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 332 | გრასჰოპერი-სიონი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.30 | 333 | ლუგანო-ციურიხი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**1 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 334 | სერვეტი-ბაზელი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**შვეიცარია. „ა-ბ“ ჯგუფი. VII ტური**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 335 | ვილი-თუნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 336 | ვინტერთური-ლუცერნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**1 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 337 | აარაუ-ლოზანა | 1,9 | 3,1 | 3,2 |
| 19.15 | 338 | დელემონი-ქსამაქსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

**შვეიცარია. „ბ“ ჯგუფი. VII ტური**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 341 | ბადენი-ვადუცი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.30 | 342 | ლოკარნო-ივერდონი | 2,5 | 3,2 | 2,3 |

**რუსეთი. V ტური. 30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 343 | ლოკომოტივი-სოკოლი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 16.00 | 344 | შინიკი-დინამო | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 16.00 | 345 | როსტსელმაში-ზენიტი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 16.00 | 346 | კრილია-ზილ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 16.00 | 347 | როტორი-სატურნი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 348 | ცსკა-ალანია | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 349 | ანჟი-სპარტაკი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 16.00 | 350 | ტორპედო-ურალანი | 1,65 | 3,0 | 5,0 |

**დანია. XXIV ტური**
**1 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 351 | ოლბორგი-სილკებორგი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 352 | ორჰუსი-ვაილე | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 18.00 | 354 | მიდტიულანდი-ოდენსე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 355 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 20.05 | 356 | ბრიონდბიუ-ესბიერგი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**საფრანგეთი. თასი. ნახევარფინალი**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 357 | ბასტია-სედანი | 1,85 | 3,0 | 4,0 |

**31 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 358 | ლორიანი-ნიმი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

**კალათბურთი**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 534 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 1,4 | 12,0 | 2,1 |
| 04.30 | 535 | კლივლენდი-შარლოტი | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 536 | მემფისი-გოლდენ სტეიტი | 1,45 | 12,0 | 2,0 |
| 05.30 | 537 | ჩიკაგო-დენვერი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 05.30 | 538 | ჰიუსტონი-ფინიქსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 07.00 | 539 | პორტლენდი-სიეტლი | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 07.30 | 540 | კლიპერსი-იუტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |

**ჰოკეი**
**30 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 585 | ბოსტონი-კაროლინა | 1,9 | 3,4 | 2,3 |
| 24.00 | 586 | ფილადელფია-ბუფალო | 1,75 | 3,4 | 2,5 |
| 04.00 | 587 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | 1,8 | 3,2 | 2,5 |
| 04.00 | 588 | მონრეალი-პიტსბურგი | 1,8 | 3,2 | 2,5 |
| 04.00 | 589 | ოტავა-ტამპა ბეი | 1,55 | 3,5 | 3,1 |
| 04.00 | 590 | ვაშინგტონი-აილენდერსი | 1,9 | 3,2 | 2,4 |
| 04.30 | 591 | ფლორიდა-რეინჯერსი | 2,2 | 3,4 | 3,0 |
| 04.30 | 592 | დეტროიტი-ატლანტა | 1,35 | 3,6 | 3,6 |
| 05.00 | 593 | ნეშვილი-სტ. ლუისი | 2,3 | 3,0 | 2,1 |
| 06.00 | 594 | კალგარი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 06.00 | 595 | ფინიქსი-კოლორადო | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 07.00 | 596 | ედმონტონი-დალასი | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 07.00 | 597 | ვანკუვერი-ანაჰაიმი | 1,45 | 3,6 | 3,4 |
| 07.30 | 598 | სან ხოსე-კოლუმბუსი | 1,4 | 3,6 | 3,6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფორმულა 1. III რბოლა**
**(ბრაზილია. ინტერლაგოსი) 31 მარტი 18.00**
**801 რბოლის გამარჯვებული**

მ. შუმახერი ---------- 2,0
მონტოია ---------- 3,0
რ. შუმახერი ---------- 4,0
ბარიკელო ---------- 8,0
რაიკონენი ---------- 8,0
კულტჰარდი ---------- 8,0
ტრული ---------- 50,0
ჰაიდფელდი ---------- 50,0
ბუტონი ---------- 50,0
მასა ---------- 75,0

**802 უსწრაფესი წრე**

მონტოია ---------- 2,5
რ. შუმახერი ---------- 3,0
მ. შუმახერი ---------- 3,5
კულტჰარდი ---------- 5,0
რაიკონენი ---------- 6,0
ბარიკელო ---------- 10,0

**803 რამდენი პილოტი დაამთავრებს**
**(არ გამოეთიშება) რბოლას**

9 ან ნაკლები ---------- 3,0
10 ან 11 ---------- 3,5
12 ან 13 ---------- 3,5
14 ან მეტი ---------- 2,5

**ტურში გატანილი გოლები**

**30.03 18.30 781 გერმანია 1-ლი ბ.ლ. (29-ე)**
25 და ნაკლები -1,9; 27 და მეტი -1,9
**30.03 18.00 783 იტალია ა. (29-ე)**
23 და ნაკლები -1,9; 25 და მეტი -1,9
**30.03 23.00 784 ესპანეთი 1-ლი დ. (32-ე)**
26 და ნაკლები -1,9; 28 და მეტი -1,9
**30.03 20.00 785 პორტუგალია 1-ლი ლ. (29-ე)**
23 და ნაკლები -1,9; 25 და მეტი -1,9
**30.03 21.00 786 ბელგია 1-ლი დ. (29-ე)**
27 და ნაკლები -1,9; 29 და მეტი -1,9

| 1-ლი ტაიმი/მირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 მარტი** | | | | | | | | | | | |
| 18.30 | 701 | ჰამბურგი-ბაიერნი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 5,0 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 18.30 | 702 | ნიურნბერგი-ვოლფსბ. | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.30 | 703 | მიონხენგლ.-ჰერტა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 18.30 | 704 | კოტბუსი-ფრაიბურგი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 705 | შტუტგარტი-დორტმ. | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 18.30 | 706 | მიუნხენი-ზტ. პაული | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,1 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 707 | კაიზერსლ.-ლევერკ. | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 16.00 | 708 | ლიდსი-მანჩესტერი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 19.00 | 709 | არსენალი-სანდერლ. | 1,6 | 15,0 | 30,0 | 2,8 | 5,6 | 15,0 | 20,0 | 10,0 | 12,0 |
| 19.00 | 710 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 19.00 | 711 | ჩელსი-დერბი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 11,0 |
| 19.00 | 712 | ლესტერი-ბლექბერნი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 19.00 | 713 | ლივერპული-ჩარლტონი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 714 | საუთჰემპტონი-ფულემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 715 | ვესტ ჰემი-იფსვიჩი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.35 | 716 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.00 | 717 | ატალანტა-პიაჩენცა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 718 | ფიორენტინა-ინტერი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,0 | 20,0 | 10,0 | 1,9 |
| 18.00 | 719 | ლეჩე-ვენეცია | 1,8 | 10,0 | 20,0 | 3,0 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 720 | მილანი-პარმა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.00 | 721 | პერუჯა-კიევო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.00 | 722 | რომა-ბოლონია | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 723 | უდინეზე-ბრეშა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 724 | ვერონა-ტორინო | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.30 | 725 | იუვენტუსი-ლაციო | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.00 | 726 | სევილია-რეალი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 23.15 | 727 | სოსიედადი-დეპორტივო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 24.00 | 728 | სელტა-ალავესი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 24.00 | 729 | ბარსელონა-ლას პალმ. | 1,5 | 15,0 | 30,0 | 2,8 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 00.30 | 730 | ტენერიფე-ვალენსია | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| **31 მარტი** | | | | | | | | | | | |
| 20.30 | 731 | კიოლნი-შალკე | 6,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 5,0 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 20.30 | 732 | ვერდერი-ჰანზა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 20.00 | 733 | ვილიარეალი-ბილბაო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 734 | სარაგოსა-ვალიადოლ. | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 735 | ოსასუნა-მალაგა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.00 | 736 | მალიორკა-ესპანიოლი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.00 | 737 | რაიო-ბეტისი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,0 |

**921 მსოფლიო ჩემპიონატი**

არგენტინა .......... 4,0
ბრაზილია .......... 4,0
იტალია .......... 5,0
ინგლისი .......... 5,0
საფრანგეთი .......... 6,0
გერმანია .......... 8,0
ესპანეთი .......... 10,0
პორტუგალია .......... 15,0
ნიგერია .......... 25,0
პარაგვაი .......... 40,0
შვედეთი .......... 40,0
კამერუნი .......... 40,0
რუსეთი .......... 50,0
პოლონეთი .......... 50,0
ურუგვაი .......... 50,0
ირლანდია .......... 50,0
დანია .......... 50,0
ხორვატია .......... 50,0
ბელგია .......... 50,0
სამხრეთ აფრიკა .......... 50,0
მექსიკა .......... 50,0
იაპონია .......... 75,0
თურქეთი .......... 75,0
ეკვადორი .......... 75,0
სლოვენია .......... 100,0
კორეა .......... 100,0
აშშ .......... 100,0
ჩინეთი .......... 100,0
სენეგალი .......... 150,0
ტუნისი .......... 150,0
კოსტა რიკა .......... 150,0
საუდის არაბეთი .......... 250,0

**922. I ადგილი ჯგუფში**
**A ჯგუფი**

საფრანგეთი ---------- 1,2
ურუგვაი ---------- 5,0
დანია ---------- 5,0
სენეგალი ---------- 20,0

**923. B ჯგუფი**

ესპანეთი ---------- 1,4
პარაგვაი ---------- 4,0
სამხრეთ აფრიკა ---------- 8,0
სლოვენია ---------- 8,0

**924. C ჯგუფი**

ბრაზილია ---------- 1,15
თურქეთი ---------- 5,5
კოსტა რიკა ---------- 10,0
ჩინეთი ---------- 15,0

**925. D ჯგუფი**

პორტუგალია ---------- 1,5
პოლონეთი ---------- 3,2
კორეა ---------- 6,0
აშშ ---------- 10,0

**926. E ჯგუფი**

გერმანია ---------- 1.55
კამერუნი ---------- 3.8
ირლანდია ---------- 4.0
საუდის არაბეთი ---------- 20.0

**927. F ჯგუფი**

არგენტინა ---------- 1.6
ინგლისი ---------- 2.4
ნიგერია ---------- 6.0
შვედეთი ---------- 8.0

**928. G ჯგუფი**

იტალია ---------- 1,4
ხორვატია ---------- 5.0
მექსიკა ---------- 6.0
ეკვადორი ---------- 7.0

**929. H ჯგუფი**

რუსეთი ---------- 2.5
ბელგია ---------- 2.5
იაპონია ---------- 3.0
ტუნისი ---------- 7.0

ჩემპიონისა და ჯგუფში გამარჯვებულის გადამრავლება არ შეიძლება



REUTERS

ოლიმპია — აეკ ენდრიუ ბეტსმა ირჟი ველში გადათელა, მისმა აეკ-მა კი „ოლიმპია“

# ცქიტიშვილის ქეიფი გადაიდო

## ფაჩულია და ბოისა უქეიფოდ დარჩნენ

**როგორც** ჩანს, ზაზა ფაჩულიას „ულქერისა“ და ვლადიმერ „ოლიმპიასთვის“ მეორე ეტაპზე გასვლა მაქსიმუმი იყო. ეს ორია, ოთხ ცდაში რომ ვერ იხეირა და ფინალში თამაშის შანსი ორი ტურით ადრე მოისპო.

ისე, ვერც მესამე ქართველის გუნდს ულხინს. ნიკა ცქიტიშვილის „ბენეტონმა“ ორი საწყისი გამარჯვების შემდეგ სამალარიჩო სუფრის გაწყობა იწყო, მაგრამ წაგებები მიაყოლა და საქეიფოდ ჯერ არ სცხელა.

ასე რომ, სამივე ჩვენებურის გუნდმა წააგო, რაც აქამდე არ მომხდარა. ამის გაკეთება კი ყველაზე უგვანოდ „ულქერმა“ „მოახერხა“ რომელშიც ფაჩულიამ 12 წუთი ითამაშა და 4 ქულა მოინაგრა.

თურქეთს ვიტორიის „ტაუ“ სტუმრობდა. გუნდი, რომელსაც ჯგუფიდან გასვლის პრეტენზია და უნარი აქვს. ესპანელებმა წინა ტურში შინ წითელარმიული სილაქი აიკრეს და სტამბოლზე კბილალესილებმა გაილაშქრეს. საქებრადაც გამოუვიდათ. დიდინისგან კინწაკრავი ამერიკელი ცენტრის გარეშე დარჩენილმა „ულქერმა“ წინააღმდეგობა მომხდურთ ოდენ პირველ ნახევარში გაუწია. ფაჩულიას კონკურენტ ბად ელის ხელმძღვანელობამ კარისკენ მიუთითა და ჩვენებურის სათამაშო დროს ეს უმალ დაეტყო. დუჟინი წუთი ბევრი არაა, თუმც თურქეთში დაბუდებული ვირგლა ოკეანისგალმელი რომ ყოფილიყო, დიდი შანსია, ფაჩულიას ამდენი არ ებურთავა. ჩვენებური ვერც ისე კარგად გაისარჯა, სამიდან ორი ახლო სროლა ჩააგდო და ესპანელთ ამდენივე ბურთი მოუხსნა. მასპინძლები ერთხელ დაწინაურდნენ, სლოვენიელმა მილან გოლიოვიჩმა მისი მხოლობური შორიდან ჩააგდო და თურქები წამებით გაალიღერა. ანდალუზიელმა სერხი ვიდალმა, თხათა შორის ნაკლები რუხმა მგელმა ჭამოსო და მანაც ექვსმეტრსმიღმიდან გაისროლა. ამას იქით სტამბოლელთა გვემას ლუის სკოლა და ჰუგო სკონოჩინი შეუდგნენ, რომელთა უხეიროდ კუდშიმადევართ დიდინმა ზონური თავდაცვა უბრძანა, მაგრამ ძალას აღმართის აზვანში ხელს რა შეუშლიდა და ესპანელები 89:72 მოგებული მატჩის შემდეგ ცხრილის თავში მოექცნენ.

ზმაგო საგადინმა კლუბის ხელმძღვანელობას ადრიატიკის თასი შეაჩეჩა და ევროლიგაში თამაშს თამაშზე აგებს. ლიუბლიანელებს „ოლიმპია“ გამოტირებული ჰყავთ, თბილისელებსაც არა ჰგვანან, ნასტუმრევ ვარსკვლავთა ნაზვით თავი შეიწუხონ და „ჰალა ტივოლიმაც“ თითქმის ცარიელმა უმასპინძლა ათენის აეკ-ს.

მასპინძელთაგან განსხვავებით, ბერძნებს სათვალავში მოგება უჭყაოდათ და ფინალში გასვლის სურვილიც ასაზრდოებდათ. ამიტომაც იყო, ათენელებმა რომ მოინდომეს და სლოვენიელებს საქმე მალევე მოუმთავრეს. სტუმართა უკანახაზელი ჯეი არ ჰოლდენი დაცვის ბურჯიც იყო და შეტევისაც. მის 26-ქულიან ქისას კაკიუზისმა და დიკუდისმა 18-18 შემატეს, რამაც უმოტივაციო ოლიმპიელებს, რომელთა შორისაც ექვსწუთნათამაშევი და ორი ქულის მომხვეჭი ვლადიმერ ბოისაც იყო, გული დიდად არ დასწყვიტა. მთლად რომ არ შერცხვენილიყვნენ, საგადინის სამწუსომ მოინდომა და ბოლო მეოთხედი ორი ქულით მოიგო, თუმც დიდი ანგარიშით მარცხს მაინც ვერ ასცდა — 69:85.

თუ ფაჩულიას და ბოისას გუნდები ცოდვილობენ, ნიკა ცქიტიშვილის „ბენეტონს“ წინა ტურში კატალონიაში ფინალის საგზური ჯიბიდან ამოაცალეს, მაგრამ თუ იყოჩაღებს, წადილს მაინც აისრულებს. ბოლო ტურში ტრევიზოელებს ბოლონიისკენ (ოთხთა ფინალი იქ გაიმართება) მოზრდილი ნაბიჯის გადასადგმელად მცირედი დააკლდათ. მაიკ დანტონის ბიჭები პესაროში „სკავოლინის“ გვარიანად კი ებუღრავნენ, მაგრამ ბოლო წუთზე მასპინძლებმა არ დაანებეს და ბოლონიისკენ თავადაც გაიწივნენ.

მაღლებს ნაკლები საქმე ჰქონდათ, რადგან მატჩი კიკნათა დუელად ქცეულიყო. იქით „სკავოლინის“ ტანმორჩილი გამთამაშებელი მელვინ ბუკერი, აქეთ „ბენეტონის“ მთლად გალეული ტაიუს იდნი. მატჩის ბედიც მათმა შეხლამ გადაწყვიტა. ბოლო წუთზე ტრევიზოელმა ორჯერ კი ჩააგდო, მაგრამ აბა, რას მივიდოდა პესაროელთან, ვინაც უკანასკნელ 18 წამში(!) 6 საჯარიმო ხელისაუკანკალებლად ჩააგდო და თავის გუნდი ცხრილში „ბენეტონს“ გაუტოლა.

ჰო, მართლა, ცქიტიშვილმა კი ითამაშა, თუმც ვარსკვლავები არ უკრეფია. სამწუთიანი მცდელობა, სასროლი პოზიცია მოენახა, უშედეგოდ დაუსრულდა და ჩვენებურიც ერთ მეტოქის ფარზე მოხსნილ ბურთს დასჯერდა.

**ირაკლი ბერტაია**

## ევროლიგა

Euroleague

IV ტური. 27-28 მარტი

### E ჯგუფი

**სკავოლინი 101:98 ბენეტონი**

სკავოლინი: ბუკერი (26), ტუშეკი (21), ლ. მიდლტონი (18)

ბენეტონი: ნიკოლა (29), იდნი (24), ცქიტიშვილი (3 წუთი, 0 ქულა, 1 მოხსნა)

**ბარსელონა 77:59 სკიპერი**

ბარსელონა: რენციასი (20), დიგბე (14)

სკიპერი: ფუჩა (15), სავიჩი (13) კოვაჩიჩი (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 334:318 | 7 |
| ბენეტონი | 4 | 2 | 2 | 363:333 | 6 |
| სკავოლინი | 4 | 2 | 2 | 340:353 | 6 |
| სკიპერი | 4 | 1 | 3 | 319:352 | 5 |

### F ჯგუფი

**ურალ გრეიტი 104:113 რეალი**

ურალ გრეიტი: ლიადელისი (27), ავლეევი (23), პეგუშინი (17)

რეალი: ა. ანგულო (30), ერნანდესი (28), ვუჩევიჩი (21), ჯორჯევიჩი (16)

**კინდერი 77:71 ეფესი**

კინდერი: სმოდიში (24), გრიფიტი (15)

ეფესი: კამბალა (30), ოქური (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 4 | 4 | 0 | 311:263 | 8 |
| რეალი | 4 | 2 | 2 | 326:348 | 6 |
| ეფესი | 4 | 1 | 3 | 296:305 | 5 |
| ურალ გრეიტი | 4 | 1 | 3 | 345:362 | 5 |

### G ჯგუფი

**პანათინაიკოსი 88:78 ოლიმპიაკოსი**

პანათინაიკოსი: მიდლტონი (23), ბოდიროგა (18), მულაომეროვიჩი (16)

ოლიმპიაკოსი: ფორდი (33), რიზაშე (11), ფემერლინგი (10)

**ოლიმპია 69:85 აეკ**

ოლიმპია: მუეძინოვიჩი (17), ველში (14), ბოისა (6 წუთი, 2 ქულა)

აეკ: ჰოლდენი (26), დიკუდისი (18), კაკიუზისი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 3 | 1 | 320:298 | 7 |
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 1 | 321:303 | 7 |
| აეკ | 4 | 2 | 2 | 217:304 | 6 |
| ოლიმპია | 4 | 0 | 4 | 289:342 | 4 |

### H ჯგუფი

**ულქერი 72:89 ტაუ**

ულქერი: ერდენი (15), ილდირიმი (14), ფაჩულია (12 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი)

ტაუ: სკოლა (21), სკონოჩინი (16)

**ცსკა 81:77 მაკაბი**

ცსკა: გირიჩეკი (23), ვოლკოვისკი (19), თურქჯანი (18)

მაკაბი: ბაფმანი (17), მაკდონალდი (16), პარკერი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 4 | 3 | 1 | 341:305 | 7 |
| ცსკა | 4 | 3 | 1 | 322:299 | 7 |
| მაკაბი | 4 | 2 | 2 | 314:305 | 6 |
| ულქერი | 4 | 0 | 4 | 299:365 | 4 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კევინ გარნეტი სისხლის გუბიდან გმირად ამოვიდა

**28 მარტი**

**მინესოტა 113:111 დალასი**

მინესოტა: შჩერბიაკი (26), ბილაფსი (23 ქულა, 17 პასი), გარნეტი (20 ქულა, 18 მოხსნა), ნესტეროვიჩი (18)

დალასი: ნოვიცკი (34), ვან ექსელი (20)

**ჩიკაგო 79:99 ფილადელფია**

ჩიკაგო: როუზი (16), ფიზერი (15)

ფილადელფია: სნოუ (24), კლაქსტონი (17)

**ჰიუსტონი 74:101 საკრამენტო**

ჰიუსტონი: ტომასი (20 ქულა, 15 მოხსნა)

საკრამენტო: ვებერი (19), ბიბი (17)

**ატლანტა 83:85 ტორონტო**

ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (23)

ტორონტო: პეტერსონი (15), დევისი (15)

**მილუოკი 95:88 დენვერი**

მილუოკი: კასელი (29), რობინსონი (19)

დენვერი: ლენარდი (25), ჩინი (15)

**იუტა 112:91 კლივლენდი**

იუტა: კირილენკო (17)

კლივლენდი: დევისი (23)

საარაკო ბრძოლას უმასპინძლა მინეაპოლისმა. იქ დაბუნაგებული „მგლები“ კბილებალესილები დაუხვდნენ სამხრეთელ სტუმრებს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს მუხლებში ძალა წაერთვათ და შუადასავლურ დივიზიონში საპირველადგილო მარათონში ჩამორჩნენ. „დალასი“ პირიქით, იფურჩქნება, იმავ დივიზიონში ლიდერობს და კუდში მდევარ „სან ანტონიოს“ როგორღაც იგერიებს. ასე რომ, სტუმართა გამარჯვება უფრო ლოგიკური იქნებოდა.

არ გაუმართლა „დალასის“ მოგებაზე ფულჩასულ მეტოტალიზატორეთ, „დალასმა“ წააგო და დივიზიონში ლიდერობა „სან ანტონიოს“ გაუყო. „ეს ისეთი თამაშია, რომლის წაგებაც არ შეიძლება. ისევე როგორც პლეი ოფში, ასეთ მატჩებშიც ბოლომდე უნდა იბრძოლო, ზოგჯერ უნდა დაივიწყო, რომ რეგულარული სეზონის რიგით შეხვედრას ატარებ და თავს უნდა აიძულო, ბოლომდე დაიხარჯო. თუ გაიმარჯვე, ორმაგად გიხარია, ცხადია, წაგებასაც მეტად განიცდი. დღეს ჩვენ ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ახლა იმის გაფიქრება, რომ ერთი ზუსტი სროლის შემდეგ რადიკალურად საპირისპირო სიტუაციაში აღმოვჩნდებოდით, ნაკლებად გვამშვიდებს. ჩვენ ვალდებულნი ვიყავით, ეს მატჩი მოგვეგო“ — „დალასის“ მწვრთნელმა, პრესასთან ურთიერთობაში მჟავე დონ ნელსონმა თავს ბევრის თქმის უფლება მისცა, ამასთან, მის ნალაპარაკევში მისთვის შეუფერებელმა პესიმიზმა გაიჟღერა. ეტყობა, გულზე მწარედ მოხვდა მოძაბუნო „მინესოტასთან“ მარცხი.

„მინესოტა“ იმსახურებდა გამარჯვებას, ჯაბანი არც მეტოქე ჰყავდა და მატჩიც სასტიკ ხელ-ფეხთკვეთებაში დაიწყო. გუნდები დაუზვერავად შეებნენ ერთმანეთს და პირველ თორმეტწუთეულში 30-30 ქულა გაიხერხეს. მეორე მეოთხედში სტუმრებმა ძალების დაზოგვა განიზრახეს და სწორედ აქ შეცდნენ, რამაც ასე დასწყვიტა გული ნელსონს. მასპინძელთა დაბლებმა გადაქელეს „დალასის“ ქებული უკანახაზი, მაიკლ ფინლი და სტივ ნეში სრულიად უსარგებლონი გახადეს და დიდ შესვენებაზე 12-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

„დალასისთვის“ თორმეტქულიანი ჩამორჩენა კატასტროფა არაა და სტუმრებმა გერმანელ ლიდერ დირკ ნოვიცკის მეთაურობით მწარედ შემოუტიეს წინმყოფთ. მასპინძლებმა არ დათმეს სათამაშო უპირატესობა და სხვაობა 19 ქულამდე გაზარდეს. მესამე მეოთხედში რამდენიმე წუთი გაიბრწყინა ნოვიცკიმ, შემდეგ კი სცენაზე „მინესოტას“ ლიდერი კევინ გარნეტიც გამოვიდა, უფრო ზუსტად სცენიდან გავიდა.

გარნეტი მთელი თამაშის განმავლობაში აკონტროლებდა ფარს, ხოლო ნოვიცკი ამაოდ ცდილობდა მის პერიმეტრზე ამოყვანას. საბოლოოდ ის, რაც ვერ შეძლო ყოჩაღმა გერმანელმა, მოახერხა დუნე ჩინელმა ვანგ ჟიჟიმ თუ ჟიჟი ვანგმა. დალასელი აზიელის დევნაში ფარქვეშეთს მოშორებული წოწოლა გარნეტი ჩინელის ცრუმოძრაობას წამოეგო, მის ნაჩვენებ ბურთზე გოიმი ოყლაყივით ახტა და თავიც წააგო. ნახტომისას ფარისკენ დაძრულ ვანგს დაეცა, ჰაერში შეტრიალდა და მუხით ნაპირკეთებ ფიცარნაგს ხოტორა თავით დაენარცხა. გარნეტთან ერთად მთელ თუ არა, ლამის ნახევარ დარბაზს შეუწუხდა გული. მინესოტელი რამდენიმე წუთს არ ამდგარა იატაკიდან და კარგა მოზრდილი სისხლის გუბეც დააყენა თავქვეშ, მერე კი სხვებზე ჩამოყრდნობილი იქაურობას ძლივძლივობით გაეცალა.

გარნეტი ყველას შეეცოდა და, ალბათ, დალასელებსაც, მაგრამ ამან სტუმრებს თამაშში ხელი ვერ შეუშალა, პირიქით, ისინი უფრო ათამაშდნენ და ბეჯითად იწყეს ჩამორჩენის აღმოფხვრა. ბოლო მეოთხედში „დალასი“, ალბათ, დაწინაურებასაც მოახერხებდა, ისევ გარნეტს რომ არ ეყოჩაღა. დიახ, „მინესოტას“ ბოლო და მძიმე წუთებში დაუბრუნდა 211-სანტიმეტრა და თავზე 12-ნაკერდადებული ლიდერი და თუმც წუთში ოც-ოცი ქულა არ ჩაუგდია, რიგიანად ითამაშა. მისი დახმარებით „მინესოტამ“ შფოთიანად, მაგრამ მაინც მიიყვანა მატჩი სასურველ დასასრულამდე. „დალასს“ ჰქონდა მოგების შანსი, რომელიც სტივ ნეშმა გაფლანგა ბოლო წამებზე სამქულიანის აცილებით.

„კევინი ჩვენი გმირია, ყველანი ბედნიერები ვართ, რომ მას სერიოზული არაფერი შეემთხვა და იმითაც, რომ ის ჩვენ გვერდით იყო, არის და იქნება“ — ნამატჩევს ასე ემოციურად გამოიხატა „მინესოტას“ მწვრთნელი ფლიპ სანდერსი. მის დალასელ კოლეგა დონ ნელსონს კი რა შეგრძნებაც გაუჩნდა ნამატჩევს, დასაწყისშივე ვთქვით.

**ირაკლი ფირუზიშვილი**



კევინ გარნეტი დაჭრილიც კი მზეცივით საშიშია

# შავდები, შავდები... ქალთა ჩოგბურთო!

## ეს ერთმანეთთან არმოქიშპე დედმამიშვილებისა იყოს

**კი ბისკეინი. ჰარდი**
**ქალები. საპრიზო 2,860 მილიონი $**

**ნახევარფინალი**

**ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ) — მონიკა სელეში (აშშ) 4:6, 6:3, 7:6 (7:4); სერენა უილიამსი (8, აშშ) — ვინუს უილიამსი (2, აშშ) 6:2, 6:2**

ვინც სერენა უილიამსის მიერ ამ ტურნირზე ნათამაშები თუნდაც ერთი შეხვედრა იხილა, შეუძლებელია, გულგრილი დარჩენილიყო. და საქმე აქ მარტო მის ქალურ ღირსებებს როდი ეხება — ჩვენს შორის დარჩეს და, სერენას ზოგიერთი ღირსება იმდენად განვითარებული აქვს, რომ კაცი ვეღარ გაარჩევს, ქალურია იგი თუ კაცური! არა, ჩვენ უმთავრესად მის დამთრგუნველ საჩოგბურთო ტალანტზე ვსაუბრობთ და, მაინცდამაინც სქესურ (არა სექსურ) დისკრიმინაციაში თუ არ ჩამოგვერთმევა, ეს ტალანტიც უკვე სადღაც იმ მიჯნასთანაა, ქალურობა კაცურობაში გადასვლას რომ აპირებს.

რაღა ბევრი გავაიმასვქნათ, ამ ჩვენმა სერენამ გუშინ თავისი უფროსი და გამოიჭირა და, ქვეყანა რომ არ ელოდა და რუსის ბარაბანს რომ არ მოხვედრია, იმდენი უბაგუნა. ეს უკვე მეშვიდედ მოხდა, რაც რომ შავდები ერთმანეთს კორტზე შეეყარნენ და — მხოლოდ მეორედ, რაც რომ უმცროსმა უფროსის ჩოქბჯენში გადაყვანა მოახერხა. თანაც ყველაზე მოულოდნელი ის გახლდათ, რომ სერენამ ეს უმოწყალოდ, ბათქაბუთქითა და მხოლოდ 50 წუთში გააკეთა.

არადა, მზით ახურებულ კორტზე თავიდან გამოსული დების ნახვას არაფერი სჯობდა — ბარაქიანებს პირები დაელოთ და, ერთი ოჯახი ვართო, ეშხიანად მოთქვამდნენ. იყო მზე, ოფლი და ნათესაური სიალალე.

მერე კი... მერე კი გოგონებმა ჩოგნები გამოიღეს და კორტიდან მათი ერთობლივი გოდების ბოლო ჰანგი ჯერ არ აორთქლილიყო, სერენამ ვინუსს უმალ მისი გეიმი რომ გამოსტაცა. ამას საკუთარიც მიაყოლა და უმცირეს დროში მთელი პირველი სეტიც წაჰგვარა. ვინუსი უჩვეულოდ ფრთხილობდა, დარტყმებს აყოყმანებდა და, თუმც კი მეორე სეტი ოდნავ უკეთ დაიწყო, გამძვინვარებული დის წინააღმდეგ მაინც ვერაფერი გააწყო. მატჩბურთზე ვინუსმა მორიგად მიჰქარა და... მათი ნამატჩევი გადახვევა იმაზე გულცივი იყო, ვიდრე შარშან, აშშ-ის ღია ფინალის მერეო, ამბობენ!

„ასეთ ანგარიშს თავადაც არ ველოდი — იოცებდა მერე სერენა — ამ ტურნირზე მისი დამარცხება საერთოდ შეუძლებელი მეგონა. მას ხომ აქ 1997 წელს, ჰინგისთან მეორე წრეში წაგების მერე ერთი შეხვედრაც აღარ დაუთმია... მოკლედ, ძალიან ბედნიერი ვარ. ვფიქრობ, ამით თავიანთ უფროს დაძმებთან მოქიშპე ყველა უმცროს დედმამიშვილს შევეწიე. ჩვენ მომავალ დაპირისპირებას რაც შეეხება, ეგ ან იტალიის ღია პირველობაზე მოხდება, ანაც საფრანგეთისაზე. ამ მატჩმა ჩვენს ქიშპობას მეტი სიმწვავე შესძინა. საერთოდ კი, ჩემი მიზანი უპირველესი ჩოგნის მოხვეჭაა, ამას წლის დასაწყისშიც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ — ჩემი ადგილი იქაა, მღედრიონის კენწეროში".

ვინუსს კი შესამჩნევად მოეწყინა. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს არც მითამაშიაო, შეხვედრა დაწყებულიც არ მეგონა, უკვე ბოლო ბურთი რომ ავაცილეო, წუწუნებდა. ხოლო კითხვაზე, ნამატჩევს ერთმანეთს რა უთხარითო, ასე უპასუხა: „არც არაფერი, უბრალოდ, „კარგი თამაში იყო-მეთქი". ყველას ასე ვეუბნები ხოლმე". რაც შეეხება სერენას, ვინუსის აზრით, იგი ახლა გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე ერთი წლის წინ და ეგრე თუ გააგრძელა, გაისად უფრო კარგად ითამაშებს, ვიდრე წლეულსო.


REUTERS კი ბისკეინიდან

უილიამსებმა ასე ტკბილდურად დაიწყეს...

წაგებით კი აქ ვინუსს მართლაც 24 მატჩი იყო, არ წაეგო. 1998, 1999 და 2001 წლებში ფინალებშიც ემარჯვა და თუკი მოგებათა სერია უწყვეტი ჰქონდა, ეგ იმიტომ, რომ 2000-ში ტურნირს ტრავმის გამო თავიდანვე გამოაკლდა.

ხოლო სერენა — ეგებ ვინმეს არ გახსოვდეთ და — წლეულს საქმეში მხოლოდ სკოტსდეილის ტურნირიდან ჩაერთო, ავსტრალიის ღია პირველობის წინ კოჭის მურდლად დაშავების გამო, და უკვე პირველსავე ტურნირის ფინალში თავად ჯენიფერ კაპრიატი დააპანღურა.

ფინალში ჯენის ხელახლა მიტყეპვის შანსი 20 წლის სერენას კი ბისკეინშიც ექნება. ეს ამბავი კაპრიატისა და სელეშს შორის შემდგარი უმძაფრესი შეხლის შემდეგ გაირკვა, რომელშიც მონიკამ მოგებული პირველი სეტი ვერ შეინოვა და მატჩის მსვლელობისას თანდისთან ახურებულ მეტოქეს დანებდა. ხაზიდან ხაზამდე ფიცხელმა ხათქა-ხუთქმა შეხვედრა სამესამსეტო ტაიბრეიკამდე მიიყვანა და იქ ჯანი თუ იღბალი უკვე მშობლიურ ქალაქში მოჯომარდე ჯენის მხარეზე იყო.

„ჩვენთვისაც და მაყურებლისთვისაც ეს ნაღდი თრილერი გახლდათ. ჩვენ ყველაფერი გავიღეთ და კორტზე დავდეთ, შედეგად — ხალხმა უმაღლესი რანგის ჩოგბურთი იხილა — ჰყვებოდა კაპრიატი — ერთმანეთს ქულა-ქულა მივდევდით და მატჩის ბედიც სწორედ რამდენიმე ბურთმა გადაწყვიტა. ფინალი? ვნახოთ — რევანშზე ტკბილი, აბა, რა უნდა იყოს!"

თუკი ჯენი სერენას დამარცხებას შეძლებს, მათი პირადი ანგარიში გათანაბრდება. აქამომდე ნათამაშებ 7 შეხვედრაში შავგოგოს 4 მოგება შესძლებია, ამასთან ბოლო ორი შეხლა სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა. ეს ფაქტი და ისიც, რომ უმცროსი უილიამსი ახლა მაქსიმალობის პერიოდში მყოფ ფურივით მრისხანე ფორმაშია, მის შანსებს ოდნავ კი არა და, დასტურ უპირატესად წარმოაჩენს.

**კაცები. საპრიზო 3,575 მილიონი $**

**მეოთხედფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — მარატ საფინი (6, რუსეთი) 2:6, 6:2, 7:6 (7:4); როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) [illegible]**

ლეიტონ ჰიუიტი აქამდეც შლეგიანივით თამაშობდა, ხოლო მეოთხედფინალში მისი მეგობარი გოგოს, კიმ კლაისტერსის გავარდნის მერე მის სიშლეგეს დამატებითი სტიმული მიეცა. ოღონდ ეგ იყო, წინა შეხვედრებისგან განსხვავებით რუს მარატ საფინთან ცალკორტა თამაში აღარ გამოუვიდა და ჯერ წაგებული პირველი სეტის უკუგება მოუხდა, ხოლო ბოლოს — გადამწყვეტ ტაიბრეიკზე ბულრაობა.

ასეა თუ ისე, ამ მოგებით ჰიუიტმა კვლავაც განაგრძო ამერიკულ მაგარ საფარზე ჯერ კიდევ შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობიდან დაწყებული დაუმარცხებელი სერია და ზედიზედ 22-ე გამარჯვება მიითვალა. რაც შეეხება წაგებულ სეტს, ბოლო 10 შეხვედრაში ეს მის მიერ დათმობილი მხოლოდ მესამე სეტი იყო.

„იეს, ეს სერია მართლაც შთამბეჭდავია, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნება, თუკი წინა ორი ტურნირის მსგავსად აქაც ბოლომდე გავალ — ამბობდა ნამატჩევს — ეს კი ძალზედ ძნელი იქნება. წინ კიდევ ორი მატჩი მელის და დანარჩენი ბიჭებიც სასწაულ ჩოგბურთს თამაშობენ".

საკუთრივ ამ შეხვედრას თუ მივუბრუნდებით, მთელი ამ ორსაათიანი და 45-წუთიანი დავიდარაბიდან გამორჩევით სანახავი, ცხადია, მესამე სეტი გახლდათ. ავსტრალიელმა იქ რუსს სამი გეიმი გაუტეხა, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იძულებული ხდებოდა, საკუთარი გეიმიც დაეთმო.

„მარატი მძლავრი მოთამაშეა. თუკი ადრე რაღაც სისუსტეები ჰქონდა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მოუწყვლადი ხდება. ამიტომაც ძალზედ ძნელია, მის თამაშს გასაღები მოარგო — დასძენდა ჰიუიტი — იგი უცილოდ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეჩოგნეა".

ოღონდ მსოფლიოს ამ „ერთ-ერთ საუკეთესო მეჩოგნეს" გუშინ რამდენჯერმა ნერვებმა უმტყუნა და მსაჯის გადაწყვეტილებებით უკმაყოფილომ ხან ჩანთა დაწიხლა, ხანაც გინების კორიანტელი დააყენა. „ლეიტონი კი არასოდეს იმღვრევა — ამბობდა მერე — გონება ყოველთვის მყარად უპყრია და მიწყივ თავის თამაშს თამაშობს".

თვითმპყრობელ ჰიუიტს ნახევარფინალში როჯერ ფედერერთან ბრძოლა მოუწევს. შვეიცარიელმა, ვისაც 4 შეხვედრაში ერთი სეტიც და ერთი საკუთარი გეიმიც არ წაუგია, რუმინელი ანდრეი პაველი დაანგრია. იგი ახლა ჩინებულ ფორმაშია და, რამდენადაც ნერვული სისტემაც საკმაოდ მყარი აქვს, ვინძლო ტურნირის მეპირველეს ჯიქური წინააღმდეგობა შეაგებოს.

„მასთან რამდენიმე რიგიანი მატჩი მითამაშია. 5 მატჩიდან ერთი მომიგია კიდეც. ვიცი, როგორ და რანაირად შეიძლება მისი ძლევა. გული ისე მეუბნება, რომ უნდა შემომელახოს" — როჯერის ამ სიტყვებს რეალური ფასი გუშინ, გვიან საღამოს უნდა დასდებოდა.

თუკი ლეიტონის მიერ საფინთან ჩატარებული შეხვედრის სიმძაფრესა და, შესაბამისად, მის მიერ მეტი ძალ-ღონის დახარჯულობასაც გავითვალისწინებთ, მაშინ შვეიცარიელის ქადილს ეგებ მართლაც რამე საფუძველი ჰქონოდა.

**ლევან ძელაურაძე**




REUTERS კი ბისკეინიდან

ვინუსმა ცრემლით დაამთავრა, სერენამ კი გამარჯვებულის ომახით

# ზღაპრული ამბავი

## ქართულ ჭადრაკს ისევ ქალი თავკაცობს



ნინო გურიელს ნონა გაფრინდაშვილმა
ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტობა გადაულოცა

ასე, 120 წითელი მანდატის ერთსულოვანი ფრიალით გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყრილობამ ახალი პრეზიდენტი და სხვა ფუნქციონერები აირჩია. თუ წინა, რიგგარეშე და სკანდალურ ყრილობას დილიდან ღამემდე დებატები და გაყინულ დარბაზში ყოფნა დასჭირდა, ამჯერად ორ საათში ყველაფერი გაცხადდა და დარბაზის ტემპერატურაც მხოლოდ ძალიან მცივანებმა არ მოიწონეს.

პრეისტორია მოკლე და მარტივი იყო: ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი აღარ აპირებდა მომდევნო ვადით პრეზიდენტობისთვის კენჭისყრას და ახალი კანდიდატების რაოდენობამაც ძველი, კეთილი დრო მოგვაგონა. ფედერაციის სათავეში მოსვლის პრეტენზია მხოლოდ ნინო გურიელს გამოუთქვამს, ანუ ყრილობას უნდა გადაეწყვიტა, აირჩევდნენ გურიელს თუ არა. თუ არა... მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამგვარ სცენარზე დარბაზში კრინტი არავის დაუძრავს, ამიტომ ყრილობა სუფთა ფორმალობად იქცა, ფაქტობრივად, ყველაფერი თავიდანვე ნათელი გახლდათ.

მცირე ინტრიგას ბადებდა მხოლოდ ორხელისუფლებიანობის საკითხი. წინა ყრილობაზე ამ ტიპის მმართველობის შემოღებით საქართველოს ჭადრაკში არსებული კონფლიქტი აღმოიფხვრა (გარეგნულად მაინც) და ვითომ, თუ ახალი დაპირისპირება მოხდებოდა, ამავე თემის ირგვლივ უნდა მომხდარიყო, მაგრამ არაფერი — სრულ თანხმობასა და გაგებაში დიდ-პატარამ იმ იდეას დაუჭირა მხარი, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილი თავის პოსტზე უნდა დარჩენილიყო. აქტიურმა თამაზ გიორგაძემ აზრი განავრცო, აზმაიფარაშვილს ეს პოსტი იქამდე დავუმტკიცოთ, სანამ თვითონ სურსო, მაგრამ საზოგადოებას ეჩქარებოდა და ამ ამბავზე სერიოზული ლაპარაკი არ გაგრძელებულა.

საერთოდ, პირველი მიკროფონთან გაფრინდაშვილი მივიდა, გაარჩია თავისი პრეზიდენტობის ხანა, მადლობა მოახსენა ჯერ საქართველოს პრეზიდენტს და მერე ასლან აბაშიძეს: გაფრინდაშვილის სიტყვა სრულიად არაპოლიტიკური იყო. რესპუბლიკის პირველმა პირმა მადლობა სტამბოლის ოლიმპიადისთვის საჭირო თანხების თავისი ფონდიდან გამოყოფისთვის დაიმსახურა, ხოლო ასლან აბაშიძის და ქართული საჭადრაკო ბომონდის კარგი ურთიერთობები ცნობილია, ბათუმში ბოლო წლებია, ფართო საჭადრაკო ნაბიჯები იდგმება.

„ჭადრაკის სასახლე ოფიციალურად ჭადრაკის ფედერაციას დაუკანონდა" — ამოწურა გაფრინდაშვილმა წლების მანძილზე ყბადაღებული პრობლემა და მერე სასახლის პატარ-პატარა შენაძენები ჩამოთვალა: გაზი გავიყვანეთ და გათოშვა აღარ დაგვემუქრებაო, ალექსანდრ ფონ გლაიხის „ემ-ბი-ჯი ბანკმა" კომპიუტერული ოთახი გაგვიკეთაო და მისთანები.

კეთილი და პატიოსანი! დარბაზში სრული სიმშვიდე მეფობდა და არც ზურაბ აზმაიფარაშვილის გამოსვლით შეცვლილა რამე, თუმცა აზმაიფარაშვილის ორიოდე სიახლე მოგვეწონა: ორ თვეში საქართველო ევროპის პირად პირველობას უმასპინძლებს 50 ათას დოლარიანი საპრიზო ფონდით. ცხადია, ბათუმში და აქ ასლან აბაშიძის გვარი ერთხელაც დადებითი კონტექსტით გაისმა. მერე კი, როცა კიდევ რამდენიმე გამომსვლელმა თავისი სიტყვები ჩააბულბულა (ძირითადად რეგიონების ჭადრაკის ფედერაციის შეფებმა), როცა დარბაზმა კინაღამ თვლემა დაიწყო და გაფრინდაშვილმა „კამათის" შეწყვეტა გამოაცხადა, ჰარმონია უეცრად დაირღვა.

დისონანსი შემოიტანა ჟურნალ „გამბიტის" რედაქტორმა ავთანდილ წილოსანმა, რომელმაც სიტყვა ითხოვა. მასა და გაფრინდაშვილს შორის შედგა მძაფრი დიალოგი:

„— მე ვითხოვ სიტყვას!

— სიტყვას ვერ მოგცემთ, რადგან თქვენ ხართ სტუმარი და არა დელეგატი.

— მერე რა, 7 წელია, ჭადრაკის ჟურნალს გამოვცემ..." და ასე შემდეგ. ფორმალური ნებართვის ვერმიღების შემდეგ წილოსანი ტრიბუნაზე აიჭრა და ლანძღვითი შეფერილობის ორიოდე წინადადება წარმოთქვა ყოველგვარი კონკრეტული შინაარსის გარეშე. კიდევ კარგი, ცივილიზებული დასავლეთი არა ვართ, სადაც ამ დროს დაცვის მუტრუკებს უხმობენ-ხოლმე. წილოსანი წამში დაცხრა, ადგილს დაუბრუნდა და ერთი მცირე შფოთვის შემდეგ საერთოდ დატოვა დარბაზი.

მომხდარის მოტივები ჩვენთვის უცნობი დარჩა, იქნებ რამე პირადი იყო და ყრილობა კი ისევ პატივისცემის და ფორმალობათა მოსტუმრების ატმოსფეროში გაგრძელდა. გურიელი სრულიად ერთხმად და გაუჯანჯლებლად აირჩიეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად, აზმაიფარაშვილი თანაპრეზიდენტად დაუმტკიცეს. ახალი პრეზიდენტის პირველი ინიციატივა ნონა გაფრინდაშვილის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად არჩევა იყო. გაფრინდაშვილმა წითელი მანდატების კოლექტიურ ზესწრაფვას დაასწრო და სასტიკი უარი განაცხადა, მაგრამ ეს ის უიშვიათესი შემთხვევა იყო, როცა მას არაფერი ჰკითხეს.

კითხვაზე, როგორ გაგრძელდება მისი მოღვაწეობა, გაფრინდაშვილმა უპასუხა, რაც მთავარია, ჭადრაკს ვითამაშებ, ახლაც დუბაიში მივდივარ ტურნირზეო.

ზღაპრივით მორჩა ყველაფერი.

**დავით გულუა**



# F1

მესამე ეტაპი ბრაზილიის დიდი პრიზი

## ინტერლაგუში

სან პაულუ, 31 მარტი



ტრასის სიგრძე . . . . . . . . . . . . . . . . . 4.309 კმ
რბოლის დისტანცია . . . . . . . . . 71 წრე — 305.939 კმ

რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 21 საათზე

**შარშანდელი შედეგები:** 1 კულჰარდი (მაკლარენი); 2 მ. შუმახერი (ფერარი); 3 ჰაიდფელდი (ზაუბერი); 4 პანი (BAR); 5 ტრული (ჯორდანი); 6 ფიზიკელა (ბენეტონი)

**წრის რეკორდი:** 2000 — მ. შუმახერი (ფერარი) 1:14.755 (207,5კმ/სთ)

# ხვალ ფანტასტიკურ ფერარის ვნახავთ?

**ტრაგიკულად** დაღუპულ ბრაზილიელ მრბოლ ჟოზე კარლოს პაჩეს სახელობის „ინტერლაგუში" მეფორმულეებს მეოცედ მასპინძლობს. კიდევ ათი რბოლა რიო დე ჟანეიროში, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნელსონ პიკეს სახელიან „ჟაკარაპაგუას" ავტოდრომზე ჩატარდა.

სან პაულუს საშუალოდ ჩქაროსნული ტრეკი მთელ ფორმულაში ერთ-ერთი ურთულესია. ბევრ ადგილას უსწორმასწორო ასფალტი და საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობა, აუტანელ სიცხესთან ერთად, პილოტებს დამატებით სიძნელეებს უქმნის.

დევიდ კულჰარდმა „მაკლარენს" შარშან სარეკორდო, მეათე ბრაზილიური პრიზი მოუპოვა. „ფერარის" მხოლოდ ექვსი აქვს. პირადული მიღწევა კი ალენ პროსტისაა: ფრანგი „პროფესორი" 1982-1990 წლებში ექვსჯერ შედგა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე. რაც შეეხება კულჰარდს, ჩემპიონობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა წლევანდელი სეზონი მეტად უხეიროდ დაიწყო — ორჯერვე ვადამდე გამოეთიშა ბრძოლას თავისი ბედაურის უხეირობის მიზეზით. შოტლანდიელი სახვალიოდაც მთლად იმედიანად ვერაა — რა თქმა უნდა, მშვენიერი იქნებოდა შარშანდელი მიღწევის გამეორება, მაგრამ ახლა ისეთი ვითარებაა, რომ ერთი ორი ქულითაც კმაყოფილი ვიქნებიო.

უმთავრესი საინტერლაგუშო მოვლენა „ფერარის" უახლესი, საოცარი სუპერბოლიდის გამოჩენა უნდა გახდეს. ამბობენ, F2002 „სკუდერიის" კი არა, სრულიად სამეფო რბოლებისთვის რევოლუციური მოდელ-მოვლენააო. მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო ორიოდე თვის წინ პირველივე ჩასხდომისთანავე გაოცდნენ, ეს რა წინანდელთაგან გამორჩეული მანქანა გაუკეთებიათო. მაგრამ რაკი სუპერსიახლის სათანადოდ გამოცდა ვერ მოესწრო, სტარტი ღროებით გადაიდო. სადღეისოდ ტესტირებამ ისეთი შთამბეჭდავი შედეგები მოიტანა, რომ „ფერარის" ხელმძღვანელობამ, ცხადია, მიხაელთან შეთანხმებით, „ფანტასტიკის" სან პაულუში ჩატანა გადაწყვიტა. ოღონდ ეგაა, F2002-ით მხოლოდ მიხაელი ირბოლებს, რუბენსი კი შარშანდელით გამოვა, რომელიც, რასაკვირველია, სულაც არაა სუსტი და სწორედ ამ F2001-ით დააგროვა მიხაელმა ახალ სეზონში 14 ქულა და სატურნირო ცხრილის თავშიც იმყოფება.

### წლევანდელთა ბრაზილიური მონაგარი

| | | | ადგილი ჩასათვლელ ექვსეულში | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რბოლა | ვ/ფ | 92 | 93 | 94 | 95 | 96 | 97 | 98 | 99 | 00 | 01 | ქულა |
| მ. შუმახერი | 10 | - | III | III | I | I | III | V | III | II | I | II | 60 |
| კულჰარდი | 7 | 2 | | | | II | - | - | II | - | - | I | 22 |
| ვილნევი | 6 | 2 | | | | | - | I | - | - | - | - | 10 |
| ფრენცენი | 8 | 2 | | | - | - | - | - | V | III | III | - | 10 |
| პანი | 7 | 2 | | | - | - | VI | III | - | VI | | IV | 9 |
| ფიზიკელა | 6 | 2 | | | | | - | - | VI | - | II | VI | 8 |
| რ. შუმახერი | 5 | 3 | | | | | | - | - | IV | V | - | 5 |
| ტრული | 5 | 2 | | | | | | - | - | - | IV | V | 5 |
| ჰაიდფელდი | 2 | 1 | | | | | | | | | - | III | 4 |
| ბარიკელო | 9 | 7 | | - | IV | - | - | - | - | - | - | - | 3 |
| სალო | 4 | 1 | | | | - | V | - | - | | | | 2 |
| ირვინი | 9 | 6 | | - | - | - | - | - | - | V | - | - | 2 |
| ბატონი | 2 | - | | | | | | | | V | - | | 1 |
| დე ლა როსა | 2 | 1 | | | | | | | | - | - | | 0 |
| მონტოია | 1 | 1 | | | | | | | | | | - | 0 |
| რაიკონენი | 1 | 1 | | | | | | | | | - | | 0 |
| ბერნოლდი | 1 | 1 | | | | | | | | | | - | 0 |
| იონგი | - | - | | | | | | | | | | | 0 |

შენიშვნა: ვ/ფ — ვერ მივიდა ფინიშამდე;
ცხრილში არ არიან დებიუტანტები — სატო, მასა, მაკნიში, ვებერი



REUTERS

მიხაელ შუმახერი ხვალ ახალი „ფერარით" გაიქროლებს



# ვითარება სნოუბურდულია

**სპორტის** ზამთრის სახეობათა შორის ერთი ყველაზე ახალგაზრდა და ლამაზი სახეობა-სანახაობა — სნოუბორდი პოპულარობას საქართველოშიც იხვეჭს. ბოლო ორი წლის მანძილზე ჩვენში თხილამურები სნოუბორდზე დაახლოებით 100-მდე ახალგაზრდამ გაცვალა. შესაძლოა ამიტომაც, ამ სიახლეს ბევრი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა. ერთადერთი, ვინც ადრეც და ახლაც ქართველ სნოუბორდისტებს გვერდში უდგას, სპორტის ზამთრის სახეობების ფედერაციის თავკაცი გოგო თოფაძეა.

ამასწინდელ უქმეებზე გუდაურში გაიმართა საქართველოს ღია ჩემპიონატი, რომელშიც მხოლოდ საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. არ ჩამოსულან რუსები, ავსტრიელები, გერმანელები და სხვები, როგორც იგეგმებოდა. მიზეზი მრავალია, სამწუხარო სუბიექტურიც და გასაგები ობიექტურიც. თუმცა ამით ჩემპიონატის ორგანიზატორთა (პალიკო ბურდული, მამუკა ბურდული, ეროსი ელოშვილი, კახა კუნელაური და სპორტის ზამთრის სახეობების ფედერაცია) გარჯა არანაირად არ დაიწუნება.

ვაჟთა სლალომში პირველი ადგილი ახალგაზრდა მალხაზ ნაზლაიძემ დაიკავა, მეორე და მესამე ადგილებზე გიგა ბურდული და გიორგი კაიშაური გავიდნენ.

გიგანტურ სლალომში საუკეთესო დრო გამოცდილმა პალიკო ბურდულმა აჩვენა. მომდევნო ადგილებზე მალხაზ ნაზლაიძე და გიორგი ზაქაიძე გავიდნენ.

ქალებში, სლალომშიც და გიგანტშიც, პირველი იყო ნანა გველებიანი, მეორე ნინო ზაქაიძე, მესამე ლია ელბაქიძე.

იგეგმებოდა სნოუბორდის მესამე სახეობის — ბორდკროსინგის ჩატარებაც, მაგრამ აქ კორექტივები ამინდმა შეიტანა. შეჯიბრების ბოლო დღეს გუდაურში გადაუღებლივ თოვდა, ამიტომ აბსოლუტური გამარჯვებული და პრიზიორები ამჯერად ორი სახეობის ჯამით გამოვლინდნენ. ქალთა სამეული ასე გამოიყურება: გველებიანი, ზაქაიძე, ებრალიძე; ვაჟებში კი უძლიერესი იყო პალიკო ბურდული, რომელმაც მისთვის განკუთვნილი აბსოლუტური ჩემპიონის პრიზი, სიურპრიზის სახით, ორი შეჯიბრის ჩათვლაში მეორე ადგილზე გასულ მალხაზ ნაზლაიძეს გადასცა, როგორც ქართული სნოუბორდის ხვალინდელ დღეს. მესამე საერთო ჩათვლაში გიგა ბურდული იყო.

შეჯიბრების დასრულების შემდეგ სასტუმრო „ოზონში" გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე ბევრი ხუმრობდა, ყველა პრიზიორი ან ბურდულია ანდა ბურდულების ბიძაშვილ-დეიდაშვილიიო და ეს ასეც იყო. თუმცა ეს ამჯერად, მომავალში კი ბურდულების პაექრობაში სხვაც ბევრი ჩაერევა. ამის გარანტიას კი ის გარემოება იძლევა, რომ მომავალი სეზონიდან (2002 წლის შემოდგომიდან), გუდაურში ამოქმედდება სნოუბორდის პირველი სკოლა, რომელიც 10 წლის ასაკიდან ყველა მსურველს გააერთიანებს.

**თამარ მათიაშვილი**



პალიკო ბურდული

ეროვნული ბიბლიოთეკა



კლოდ სორელი

# საქართველო

**ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური**

**თბილისი. ეროვნული. 15 საათი**

# რუმინეთი



პეტრე მიტუ

6 აპრილს საქართველოს ნაკრები რუმინელებს მასპინძლობს და ევროპის ერთა თასის წლევანდელი მფლობელიც ამ მატჩში გაირკვევა. აქვე გაირკვევა 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო ეტაპის იოლ ჯგუფში მოხვედრი გუნდიც.

ერთა თასს წლეულს რუმინეთი ლიდერობს, ბორჯღალოსნები ქულით ჩამორჩებიან კარპატელებს. ორწლიანი ჯამური მონაგრით კი პირუკუა.

ასე რომ, თბილისში გადამწყვეტი ჯახია და მეტოქეები ამთავითვე შეუდგნენ სამზადისს.

## თბილისში კომენდანტის საათია

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა 30 მორაგბეს უხმო სანაკრებო შეკრებაზე, რომელიც სამშაბათს დაიწყება. აქედან ფრანგი მწვრთნელი ოცდახუთს შეარჩევს, მატჩის წინა დღეს კი იმ 22 კაცს დატოვებს, პეტრე მიტუს და კომპანიას რომ დაახვედრებს.

ამ მატჩის მნიშვნელობა კარგად იცის კლოდ სორელმა და აქამდე უჩვეულო ტური რეჟიმიც დააწესა. სამშაბათს ნაკრები, ალბათ, ეროვნულზე ივარჯიშებს, სადაც მატჩი გაიმართება. სამშაბათსვე პრესკონფერენცია მოეწყობა და ბორჯღალოსნები ყაზარმულ წესრიგზე გადავლენ. მორაგბეებს აეკრძალებათ ინტერვიუების მიცემა. ვარჯიშებზე ჟურნალისტების დასწრება დაშვებულია, ოღონდ მორაგბეებთან საუბარი არა. და კიდევ, როგორც საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა საფრანგეთიდან გვამცნო, სასტუმროში დაბინავებულ ბორჯღალოსანთა სიმყუდროვეს ჩიტიც ვერ დაარღვევს. ერთი სიტყვით, ნაკრებში კომენდანტის საათი გამოცხადდა.

სორელის მიერ გამოძახებული გაფართოებული, ოცდაათკაციანი შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

***ფორვარდები:*** *მევლუდ მთიულიშვილი (აჟანი), აქვსენტი გიორგაძე (ტულონი), ლევან ცაბაძე (კასტრი), გოდერძი შველიძე (ბეზიე), ტარიელ რატიანიძე (ბეზიე), ლევან ჯაველიძე (ნანტი), ვიქტორ დიდებულიძე (ფიზჟაკი), ვანო ნადირაძე (ბურგ ან ბრესი), მამუკა მაგრაქველიძე (ოში), სერგო გუჯარაიძე (კრეზო), კახა უჩავა (მასი), ვასილ კაცაძე (გრენობლი), გია ლაბაძე (ტულონი), ილია ზედგინიძე (ტულონი), ბესიკ უდესიანი (კრეზო), გრეგუარ იაშვილი (მეტრო-რასინგი), ზურაბ მჭედლიშვილი (ალბი), გიორგი ჩხაიძე (სენ ნაზერი);*

***უკანა ხაზი:*** *შოთა მოდებაძე (ნიმი), ირაკლი აბუსერიძე (ლოკომოტივი), პალიკო ჯიმშელაძე (გრენობლი), გუჯა იოვაძე (აგდი), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი), კახა ალანია (ლოკომოტივი), თედო ზიბზიბაძე (მაზამე), მალხაზ ურჯუკაშვილი (მაზამე), ბესიკ ხამაშურიძე (ტულონი), ირაკლი მაჩხანელი (შატორუ), ირაკლი გიორგაძე (ტულონი), გიორგი ბუგიანიშვილი (ლოკომოტივი).*

## ბუქარესტში ჩაუშესკუს დიქტატურაა

**საბოლოოდ** შემართულა რუმინეთის ნაკრები. კარპატელთა ეროვნული გუნდის ფრანგი დამრიგებელი ბერნარ შარეირი შეუვალია და აცხადებს, ქართველებს აუცილებლად მოვუგებთო. შარეირი გუნდს ორშაბათს ბუქარესტში შეკრებს და გენჩას ტყეპარკში უკრავს თავს. სორელის დარად მანაც ოცდაათკაციანი რაზმი გამოიძახა, საიდანაც ოცდაორს ხუთშაბათს თბილისში ჩამოიყვანს.

„მუხის ფოთლებს“ ყველა ჯანზე ჰყავთ. მათი უპირველესი ბომბარდირი და გუნდის კაპიტანი პეტრე მიტუ სრულად გამოჯანმრთელდა და იმუქრება კიდეც, შერყეული რეპუტაცია თბილისში უნდა აღვიდგინოთ, აუცილებლად მოვიგებთო.

შარეირი არც ამჯერად უღალატებს ბოლო დროს დამკვიდრებულ ტრადიციას და მორაგბეებს დღიურებს ჩამოურიგებს. დღიურში ყველაფერია ნათქვამი, რაც პროფესიონალ მორაგბეს სჭირდება, კვების რაციონიდან დაწყებული, ფიზიკური ვარჯიშებით და ტაქტიკა-სტრატეგიით დამთავრებული. ბოლო გვერდზე კი გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს აფორიზმია: „რაც არ მკლავს, მაძლიერებს“.

ნიცშეს ფილოსოფიით გატაცებულ შარეირს, მისი სიმკაცრისა და ზედისციპლინის გამო, რუმინულმა მედიამ რაგბის ჩაუშესკუ შეარქვა და დიქტატორადაც მოიხსენიებს. არცთუ სასიამოვნო მეტსახელი შარეირს არათუ აღელვებს, პირიქით, სიამოვნებს კიდეც: „მე ბევრგან მიმუშავია და ყველგან საშური დისციპლინა დამინერგავს. დისციპლინა წარმატების უპირველესი საწინდარია. თუ დიქტატორად მომიხსენიებენ, ამას რა სჯობს! ასე ხომ მოფერებით მეძახიან“.

შარეირს მართლაც ბევრგან უმუშავია. ჯერ იყო და, ლანგედოკ-რუსიიონის ოლქის გუნდს მწვრთნელობდა, მერე საფრანგეთის საუნივერსიტეტო რაგბის ხელმძღვანელობდა, შარშან კი საფრანგეთის ჭაბუკთა ნაკრებს ჩილეში გამართულ მსოფლიოს თასზე უთავკაცა და ფინალშიც გაიყვანა. იქ არ გაუმართლა, ახალი ზელანდიის ნაკრებთან დამარცხდა და მეორეობას დასჯერდა. იკმარებს თუ არა მეორეობას შარეირი, თბილისში ეს 6 აპრილს გამოჩნდება.

**ბაჩო სვანიძე**

## 9: ჩვენ თუ ირლანდია?

**დღეს** დასრულდება ჭაბუკ მორაგბეთა 34-ე მსოფლიოს თასი. საქართველოს ნაკრებმა რუსთა ძლევით უკვე დაიბევა მეთერთმეტე ადგილი, დღეს კი მეცხრე გუნდად გახდომაც შეეძლება. უმცროსი ბორჯღალოსნები 1998 წლის ჩემპიონ ირლანდიას ეთამაშებიან, რომელსაც მერვედფინალში ტურნირის მასპინძელმა იტალიამ მოუგო და ქვემო რვეულისკენ გაისტუმრა. გუშინ ტრევიზოში შევეხმიანეთ საქართველოს ნაკრების მენეჯერ დიმა ობოლაძეს და მომავალ მატჩზე დავეკითხეთ.

— დღეს ორჯერ ივარჯიშეს ბიჭებმა — დილით და საღამოს. თუ არ ჩავთვლით ბარკალაიას, სერიოზული ტრავმა არავის აწუხებს, ისე კი, მცირედი დაჟეჟილობები ბევრს აქვს. ხვალ მატჩამდე მსუბუქად წავივარჯიშებთ. რომ ვთქვათ, განწირულები ვართო, არ ვიქნებით მართალი. ირლანდია კია მსოფლიო რაგბის გრანდი, მაგრამ არც ჩვენ ვართ უიმედოდ. მეტოქეზე ბევრიც არაფერი ვიცით. მხოლოდ მათი მატჩების სტატისტიკური მონაცემები გვაქვს. ვიმედოვნებდით, ვიდეომასალას ვიშოვიდით, მაგრამ ჩვენზე მომაგრებულმა იტალიელმა ვერაფრით მოახერხა ფირის მოპოვება. მთავარია, ელიტაში დავრჩით და რუსეთსაც მოვუგეთ, ახლა მეცხრეობაზე ფიქრიც შეიძლება.



**NHL რეგულარული ჩემპიონატი**

## შერცხვა კაცი

**28 მარტი**

**კალგარი 2:2 დალასი 1:0 1:0 0:2 0:0**

**1:0 კონროი (13), 2:0 კონროი (37), 2:1 დიმაიო (57), 2:2 ტარჯონი (58)**

ჯერ კიდევ ორი კვირის წინ რობ დიმაიო არავის სჭირდებოდა. ვეტერანი ფორვარდი ეგრეთ წოდებულ „ვეივერ“ ანუ უარყოფილთა დრაფტზე არავინ ისურვა და მხოლოდ დალასმა იხსნა ფარმკლუბში გაგზავნისგან, ისიც ერთი კვირის შემდეგ. მადლიერმა ჰოკეისტმაც გუშინ გუნდს ქულა გადაურჩინა, გოლიც გაიტანა და პიერ ტარჯონსაც მიაწოდა ზუსტად შაიბა.

**ოტავა 3:4 ფლორიდა 1:2 1:0 1:2**

**1:0 უიმერი (1), 1:1 არვედსონი (5), 1:2 ოზოლინში (8), 2:2 მაკიჩერნი (37), 3:2 ალფრედსონი (51), 3:3 იოკინენი (53), 3:4 ჰუსელიუსი (60)**

ფლორიდელთა ახალბედა კრისტიან ჰუსილიუსმა გუნდსაც მოაგებინა და სეზონში მე-20 გოლიც გაიტანა, რითაც, კონტრაქტის თანახმად, 125 000 დოლარი პრემია დაიმსახურა.

**კაროლინა 4:1 ფილადელფია 1:0 3:0 0:1**

**1:0 კაპანენი (13), 2:0 ბრინდამორი (29), 3:0 ჰილი (35), 4:0 ი. სვობოდა (37), 4:1 რეკი (53)**

ფილადელფიელ ნილ ლითლს ექვსი წლის განმავლობაში 43-ჯერ მოუწია სათადარიგო მეკარის ადგილის დაკავებამ, მაგრამ ერთხელაც ვერ შევიდა ყინულზე და მხოლოდ გუშინ შედგა ნჰლ-ში მისი დებიუტი. თუმც ჯობდა, ისევ თადარიგში დარჩენილიყო.

**დეტროიტი 3:3 ნეშვილი 0:1 0:1 3:1 0:0**

**0:1 ტ. მონენი (10), 0:2 დელმორი (31), 1:2 ჰალი (44), 1:3 ჰარტნელი (47), 2:3 დრეპერი (57), 3:3 შენაჰანი (58)**

ჩემპიონატის ლიდერს კვლავ გაუჭირდა ნეშვილთან თამაში და ისევ ბრენდან შენაჰანმა იხსნა სამარცხვინო მარცხისგან, თუმც ამჯერად „წითელფრთიანებს“ რამდენიმე ლიდერი აკლდათ. ფრე სრულიად საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ დეტროიტმა ჩემპიონატში პირველი ადგილი გაინაღდოს.

**ვანკუვერი 4:3 კოლუმბუსი 1:2 2:1 0:0 1:0**

**1:0 ჰ. სედინი (9), 1:1 დაინინი (11), 1:2 სანდერსონი (17), 1:3 ქნუტსენი (24), 2:3 ბერტუცი (34), 3:3 ნესლუნდი (40), 4:3 ჯესელსი (65)**

ვანკუვერელმა ტოდ ბერტუციმ (გოლი და 2 პასი) ბოლო 9 მატჩში 18(9+9) ქულა მოიხვეჭა!

**ტორონტო 4:5 აილენდერსი 1:1 2:1 1:3**

**1:0 გრინი (3), 1:1 პეკა (19), 1:2 ბეიტსი (22), 2:2 მაკეიბი (27), 3:2 ველკი (30), 4:2 ჰილი (44), 4:3 ჰამრლიკი (50), 4:4 პერიში (50), 4:5 პერიში (53)**

**სენტ ლუისი 4:1 ბუფალო 0:0 4:0 0:1**

**1:0 სტილმანი (23), 2:0 ნეში (27), 3:0 ტკაჩუკი (30), 4:0 ტკაჩუკი (33), 4:1 შატანი (58)**

**მონრეალი 2:1 ტამპა 1:0 1:0 0:1**

**1:0 რიგი (2), 2:0 პერო (25), 2:1 პროსპალი (45)**

**სან ხოსე 2:3 კოლორადო 0:0 2:1 0:2**

**1:0 რიჩი (27), 1:1 ლარსენი (36), 2:1 ტორნტონი (39), 2:2 დრური (41), 2:3 მესიე (52)**

**ფინიქსი 1:2 ანაჰაიმი 0:0 0:0 1:1 0:1**

**1:0 ლემიე (55), 1:1 რუჩინი (60), 1:2 ტიტოვი (64)**

**ედმონტონი 2:2 ლოს ანჯელესი 1:1 0:1 1:0 0:0**

**0:1 პალფი (11), 1:1 ნიინიმაა (19), 1:2 ელორანტა (21), 2:2 მორო (41)**

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსტონი | 74 | 41 | 5 | 7 | 21 | 216:179 | 94 |
| ფილადელფია | 73 | 40 | 9 | 3 | 21 | 219:169 | 92 |
| კაროლინა | 74 | 31 | 14 | 5 | 24 | 198:203 | 81 |
| ტორონტო | 74 | 38 | 9 | 4 | 23 | 218:187 | 89 |
| ოტავა | 75 | 36 | 8 | 7 | 24 | 226:192 | 87 |
| აილენდერსი | 73 | 36 | 7 | 4 | 26 | 213:202 | 83 |
| ნიუ ჯერსი | 73 | 34 | 9 | 4 | 26 | 180:169 | 81 |
| მონრეალი | 74 | 30 | 12 | 3 | 29 | 186:194 | 75 |
| ვაშინგტონი | 74 | 31 | 10 | 1 | 32 | 204:225 | 73 |
| რეინჯერსი | 75 | 31 | 4 | 4 | 36 | 201:235 | 70 |
| ბუფალო | 74 | 30 | 9 | 1 | 34 | 190:186 | 70 |
| პიცბურგი | 73 | 28 | 7 | 4 | 34 | 183:215 | 67 |
| ტამპა | 73 | 25 | 10 | 4 | 34 | 157:188 | 64 |
| ფლორიდა | 74 | 21 | 7 | 5 | 41 | 161:225 | 54 |
| ატლანტა | 74 | 19 | 8 | 4 | 43 | 172:259 | 50 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 74 | 50 | 8 | 2 | 14 | 231:160 | 110 |
| კოლორადო | 74 | 41 | 7 | 1 | 25 | 187:153 | 90 |
| სან ხოსე | 74 | 38 | 8 | 3 | 25 | 214:180 | 87 |
| ჩიკაგო | 73 | 37 | 12 | 1 | 23 | 199:186 | 87 |
| ლოს ანჯელესი | 74 | 36 | 10 | 4 | 24 | 193:170 | 86 |
| ფინიქსი | 74 | 35 | 9 | 6 | 24 | 196:185 | 85 |
| სენტ ლუისი | 73 | 36 | 8 | 4 | 25 | 196:167 | 84 |
| ედმონტონი | 75 | 34 | 12 | 3 | 26 | 190:170 | 83 |
| ვანკუვერი | 75 | 36 | 6 | 3 | 30 | 226:195 | 81 |
| დალასი | 73 | 33 | 11 | 4 | 25 | 197:192 | 81 |
| კალგარი | 74 | 28 | 12 | 3 | 31 | 180:198 | 71 |
| მინესოტა | 73 | 25 | 11 | 7 | 30 | 175:206 | 68 |
| ნეშვილი | 74 | 26 | 13 | 0 | 35 | 178:203 | 65 |
| ანაჰაიმი | 75 | 27 | 7 | 3 | 38 | 165:185 | 64 |
| კოლუმბუსი | 74 | 20 | 8 | 5 | 41 | 149:222 | 53 |

პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები

## იმედის 16 წუთი

**ზუსტად** 16 წუთი, არც მეტი, არც ნაკლები, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კოლორადოს ფანებს შარშანდელი სათასო წარმატების განმეორების იმედი რწმენად ექციათ. საათის მეოთხედზე ოდნავ მეტი დაჰყო დენვერელთა ლიდერმა პეტერ ფორსბერგმა ყინულზე, 10 იანვრის შემდეგ პირველად. ამ წავარჯიშების მთავარი შედეგი ის იყო, რომ კოლორადოს სუპერვარსკვლავმა დაშავებულ ფეხში არანაირი ტკივილი არ იგრძნო. ამიტომაც გასრიალდა თუ არა, ჩინებულ ხასიათზე დადგა და ეს სიახარული დენვერული კლუბის კეთილმოსურნეთაც უმალ გადაედოთ.

„ნამდვილი საოცრებაა, რომ დღეს ყინულზე გასვლა შევძელი. მშვენივრად ვისრიალე და ვგრძნობ, ყველაფერი გეგმის მიხედვით ვითარდება“ — უთხრა პეტერმა მრავალრიცხოვან ჟურნალისტებს. მართალია, პეტერმა არც ამჯერად დაასახელა გუნდში დაბრუნების ზუსტი თარიღი, მაგრამ ის ცოტას როდი ნიშნავს, რომ შვედმა ყინულზე დაგეგმილზე 6 წუთით მეტი დაჰყო. ეს გვაიმედებს, რომ პლეი ოფში მაინც აუცილებლად ვიხილავთ სუპერფორვარდს.

შეგახსენებთ, რომ შარშან ფორსბერგმა პლეი ოფის დროს ელენთაზე გაიკეთა ოპერაცია და მას შემდეგ მხოლოდ იანვარში სცადა დაბრუნება, მაგრამ ეს მცდელობა ფეხის უმძიმესი ტრავმით დასრულდა.



REUTERS

მთელ კოლორადოს პეტერ ფორსბერგის იმედი აქვს

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ბიჭები დროშას აუდგნენ

ავსტრალიაში, ბელზ ბიჩის ახლოს მოსერფინგეთა დიდი ტურნირი მიმდინარეობს. ამ შეჯიბრში მსოფლიოს 45 საუკეთესო და სამი წილისყრით მოხვედრილი მოსერფე მონაწილეობს. თურმე ნუ იტყვით და, სპორტის ამ სახეობასაც ჰყოლია გულშემატკივრები. ნახეთ, როგორი მონდომებით აფენენ ბიჭები ავსტრალიის დროშას ოკეანის პირას.


REUTERS



REUTERS

# ინტერლაგუშზე

სან პაულუში, ინტერლაგუშის ტრეკზე მოისმის მოტორების ბღუილი. ამ კვირას ბრაზილიის დიდი პრიზი თამაშდება და კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია თავის საცოლე კონისთან ერთად შესცქერის, როგორ დასტრიალებენ მის მანქანას „უილიამსის“ მექანიკოსები. მიხაელ შუმახერის ტრეკზე გამოჩენას კი რეპორტიორთა გუნდის გამოცოცხლება ახლავს. შუმი „ფერარის“ ბოქსებისკენ მიემართება.



REUTERS

# აი, სუვენირები



REUTERS

ახლოთა მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში და სტუმართა მომლოდ... კორეელი და იაპონელი მასპინძლები ნელ-ნელა ქოქავენ სუვენირებისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების გასაღების მანქანას. თქვენს წინაშეა საქმიანობის ორი კორეული ნიმუში: საჩემპიონატო სათვალე და ახალი სიგარეტი, რომელს... განთქმული საფეხბურთო დევიზი (ფეხბურთი მსოფლიოს ენაა) ამშვენებს.



## ფეხბურთი

### იტალია

სერია C1/ბ. XXIX ტური

ბენევენტო 1:1 აველინო

### პოლონეთი

პლეი აუტი. VIII ტური

ზაგლემბე 1:0 გროცლინი

### ჰოლანდია

I დივიზიონი
გადადებული მატჩი

პსვ ეინდჰოვენი — ტილბურგი

გადაიდო

II დივიზიონი. XXIX ტური

დენ ჰააგი 2:1 ეინდჰოვენი
ემენი 2:0 ოსი
ვენლო 0:0 ჰელმონდი
როზენდალი 3:0 ექსელსიორი
დორდრეხტი 3:1 ჰერაკლესი

თასის ნახევარფინალი

აიაქსი (რეზერვ.ტიმი) 2:2დ.დ. (პენ 6:7, 2:2) უტრეხტი

### ინგლისი

პრემიერლიგა. XXXII ტური

ნიუკასლი 6:2 ევერტონი

I დივიზიონი. XLII ტური

უოტფორდი 0:0 ბრედფორდი
შეფილდ უენსდი 2:1 კოვენტრი

II დივიზიონი. XLII ტური

ნორთჰემპტონი 1:0 ბერი

III დივიზიონი. XLII ტური

ჰალიფაქსი 2:2 კარლაილი

### თურქეთი

XXIX ტური

ბეშიქთაში 0:0 ანთალიასპორი

### დანია

თასის მეოთხედფინალი

ნესტვედი (II) 1:5 კოპენჰაგენი
ოდენსე 1:1დ.დ. (პენ. 4:3, 1:1) ოლბორგი
ესბიერგი 1:0 აკადემისკი
რანდერს ფრაია (I) 3:2 სილკებორგი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge